საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი

Georgian Academy of Sciencies
K. Kekelidze Institute of Manuscripts

ზაზა ალექსიძე

კავკასიის ალბანეთის დამწერლობა, ენა და მწერლობა

აღმოჩენა სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში

ბიბლიურ-თეოლოგიური ინსტიტუტი
თბილისი
2003

ამ წიგნში შესწავლილია სინას მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტერში გამოვლენილი ქართულ-ალბანური პალიმფსესტის ქვედა ტექსტი, რომელიც წარმოადგენს ათიოდე საუკუნის წინ დაკარგული კაუკასიის ალბანეთის დაკარგული დამწერლობისა და მწერლობის უძველეს ძეგლს — ლექციონარს.

ნაშრომი განკუთვნილია კაუკასიოლოგიის სხვადასხვა დარგში მომუშავე სპეციალისტებისათვის. ამავე დროს, მას წაიკითხავს ყველა, ვისაც აინტერესებს დამწერლობათმცოდნეობა, ლიტურგიკული მწერლობა და სინას მთის სიძველეები.

This work provides an analysis (identification and decipherment) of the original lower layer of the Georgian-Albanian palimpsest which was discovered in St. Catherine's Monastery on Mt. Sinai..The text represents an ancient Caucasian Albanian Lectionary written in about the 5th century, but which disappeared around the 10th century.

This book is intended for a wide variety of scholars in Caucasian studies, as well as those interested in ancient scripts, liturgical studies and Sinai antiquities.

ტაბულებისა და ილუსტრაციების კომპიუტერული
დამუშავება — გიორგი ალექსიძე

ISBN 99940-755-1-9

© ზაზა ალექსიძე 2003
© Zaza Alexidze 2003

წინასიტყვაობა

სინას მთაზე 1411 წლამდე უცნობი ქართული ხელნაწერის აღმოჩენა ალბათ უნდა ჩაითვალოს საქართველოს ისტორიაში ქართული კულტურისა და მეცნიერებისათვის ყველა დროის ყველაზე დიდ აღმოჩენად თავისთავადაც, ხელნაწერების სიძველესა და შინაარსს თავი რომ დავანებოთ. მაგრამ საქმეც ის არის, რომ ეს აღმოჩენა უმნიშვნელოვანესი გამოდგა თავისი შინაარსითაც, რომლის შედეგების ბოლომდე გააზრებას ჯერ კიდევ დიდი დრო დასჭირდება.

სინას მთის აღმოჩენებში საერთაშორისო მეცნიერებისათვის, ალბათ, მაინც ყველაზე მთავარი იყო დაკარგული კავკასიის ალბანელი ხალხის დაკარგული მწერლობის, ენისა და დამწერლობის აღმოჩენა. ჩემთვის ამ აღმოჩენას სხვა ემოციური დატვირთვაც ჰქონდა. ალბანური ანბანი 1937 წელს ერევანში სომხურ ხელნაწერებს შორის აღმოაჩინა შემდგომში ხელნაწერთა ინსტიტუტის დამაარსებელმა და მისმა პირველმა დირექტორმა, ჩემმა სამეცნიერო ხელმძღვანელმა ილია აბულაძემ. აქედან ითელის მეცნიერული ალბანოლოგია თავის დაბადების დღეს. მე ბედნიერად ვთვლი თავს, რომ ილია აბულაძის შემდეგ განგებამ მე მარგუნა ხვედრად ალბანური ტექსტების აღმოჩენა და მათი გაშიფრვა. მით უმეტეს, რომ ეს წიგნი იწერება იმ დღეებში (2001 წლის დეკემბერში), როდესაც სრულდება ილია აბულაძის დაბადებიდან ასი წლისთავი.

*

სინას მთაზე ახლად აღმოჩენილი ხელნაწერების (მათ შორის ქართულ-ალბანური პალიმფსესტის) შესწავლა სერიოზულ მატერიალურ და ტექნიკურ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ხელნაწერთა ინსტიტუტის რამდენიმე ექსპედიციამ ამ სიძნელეების გადალახვა მხოლოდ ფართო საერთაშორისო თანამშრომლობის ნიადაგზე შესძლო. მე მინდა ამისათვის უღრმესი მადლობა მოვახსენო საქართველოს ძველსა (საბჭოთა) და ახალ მთავრობას (დამოუკიდებელი საქართველოს), საქართველოს საპატრიარქოს, წმ. ეკატერინეს მონასტრის ძმობას, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს, მაშინდელ საქპატენტს, საფრანგეთის

საელჩოს საქართველოში, სორბონის უნივერსიტეტს, ნორვეგიის ჰუმანიტარული დახმარების ფონდს (NHE), INTAS-ის, ფოლკსვაგენისა და სოროსის ფონდებს.

მე არასოდეს დამავიწყდება ის გულთბილი დამოკიდებულება და სრული თანადგომა მუშაობაში, რომელსაც იჩენდნენ ექსპედიციების მიმართ წმ. ეკატერინეს მონასტრის ბიბლიოთეკაში მუშაობისას სინა-რაითის არქიეპისკოპოსი დამიანოსი, წმ. ეკატერინეს მონასტრის ყოფილი ბიბლიოთეკარი (ამჟამად საბერძნეთში იოპანინას მონასტრის წინამძღვარი) მამა დიმიტრიოსი და ამჟამინდელი ბიბლიოთეკარი მამა სიმეონი.

ჩემთვის საერთოდ და, კერძოდ, სინური ხელნაწერების შესწავლაში ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩემს ხანგრძლივ თანამშრომლობასა და მეგობრობას პროფესორ ჟან-პიერ მაესთან (საფრანგეთის ინსტიტუტის — სიტყვაკაზმული მწერლობისა და წარწერათა აკადემიის — წევრი, საფრანგეთის სააზიო საზოგადოების პრეზიდენტი). ამ თემაზე მასთან ერთად ბევრი მოხსენება თუ ლექცია იქნა წაკითხული და გამოქვეყნებული საფრანგეთის ინსტიტუტში, სორბონის უნივერსიტეტსა და სააზიო საზოგადოებაში. ბევრი გააკეთა ქართულ-ალბანური პალიმფსესტის შესწავლის მხარდასაჭერად პროფესორმა იოსტ გიპერტმა. ვიწყებთ, აგრეთვე, ინტენსიურ თანამშრომლობას ალბანური ტექსტების ამოკითხვასა და ალბანური ენის გრამატიკული სტრუქტურის აღდგენაში უძიური ენის ყველაზე გამოჩენილ ექსპერტთან პროფესორ ვოლფგანგ შულცესთან.

უღრმესი მადლობით მინდა მოვიხსენიო ისინი, ვისმა ყურადღებამ, ალბანოლოგიის მიმართ ინტერესმა და თანადგომამ დიდი როლი ითამაშა ჩემი მუშაობის შედეგების რეალიზაციაში. ესენი არიან გამოჩენილი ნორვეგიელი მეცნიერი და მოგზაური, აწ განსვენებული ტურ ჰეიერდალი, ჩემი ნორვეგიელი მეგობრები ბიორნარ ვეგე და ტორე ზაიერსტადი, აშშ-ში გამომავალი ილუსტრირებული ჟურნალის "ინტერნაციონალური აზერბაიჯანის" გამომცემელი ბეტი ბლერი და ბევრი ჩემი ქართველი თუ უცხოელი კოლეგა.

შესავალი

დამწერლობა საკაცობრიო ცივილიზაციის ერთი უდიდესი მონაპოვართაგანია. უფრო მეტიც შეიძლება ითქვას: დამწერლობის წარმოშობა თვითონ არის კაცობრიობის ცივილიზაციის საწყისის მაჩვენებელი.[1] შემთხვევითი არ არის, რომ მეცნიერები ისტორიული ხანის ათვლას სწორედ დამწერლობის გაჩენის დროიდან იწყებდნენ ხოლმე.

აზროვნების სისტემის დახვეწასა და საზოგადოებებს შორის კონტაქტის გაძლიერებასთან ერთად დამწერლობის განვითარება საწერი მასალის ძიებასაც იწვევდა, რაც თავისთავადაც პროგრესთან იყო დაკავშირებული და მის ნიშანს წარმოადგენდა: თიხის დამუშავება, ქვაზე, კედელზე, მეტალზე, ხეზე, და ხის ქერქზე ამოკვეთის ტექნიკა და იარაღები, ქსოვილებზე ამოქარგვის ხელოვნება, პაპირუსის, პერგამენტის, ქაღალდის დამუშავება, საბეჭდი დაზგებისა და მანქანების შექმნა, კომპიუტერული სისტემების მოაზრება.[2]

დამწერლობის სისტემები ძირითადად ოთხი სახეობისაა: პიქტოგრამა,[3] იდეოგრამა, მარცვლოვანი წერის სისტემა და ანბანური. რა თქმა უნდა, არის შერეული ტიპის დამწერლობებიც.

სპეციალისტები თვლიან, რომ დამწერლობის სისტემათა ასეთი დალაგება არ მიუთითებს მათ იერარქიულ განლაგებაზე დაბლიდან მაღლისკენ, რადგან ყველა ამ სისტემით შესაძლებელია თავისი დროის ყველაზე რთული იდეების გადმოცემა. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ წერის ანბანური სისტემა ამ თვალსაზრისით მაინც კაცობრიობის შემოქმედების უმაღლესი პროდუქტია: იგი ასათვისებლად მოხერხებულია, ეკონომიურია და გაცილებით უფრო ზუსტად ასახავს იმ ენის ფონოლოგიურ სისტემას, რომლისთვისაც არის შექმნილი. ცხადია, სწორედ ამიტომ ანბანური დამწერლობა უფრო ძნელი შესაქმნელი იყო, ვიდრე სხვა სისტემები. იგი მოითხოვდა ლინგვისტური ცოდნისა და აზროვნების გაცილებით უფრო მაღალ დონეს, რადგან ანბანი ვერ შეიქმნებოდა მოცემული ენის ფონემებად

დაშლის, ბგერათა უსასრულო რაოდენობიდან კანონზომიერის შემთხვევითისგან გამორჩევის, ანუ ისეთი ბგერების გამოყოფის გარეშე, რომელთაც სიტყვის წარმოება შეუძლიათ.

ამიტომ არის, რომ წერის ანბანური სისტემა ქრონოლოგიურად ყველაზე გვიანი მოვლენაა და მასაც დიდი დრო დასჭირდა, რომ სილაბურ-ფონეტიკურიდან სუფთა ანბანურზე გადასულიყო. მაგრამ არც ეს გადასვლა მომხდარა უცბად. ძველი სემიტური დამწერლობები, მართალია, არსებითად ანბანურები იყო, ვინაიდან ყველა თანხმოვანს თავის შესაბამისი გრაფიკული ფორმა ჰქონდა, მაგრამ ხმოვანთა აღუნიშვნელობა, ან თანხმოვანი + ხმოვნის დიაკრიტიკული ნიშნებით აღნიშვნა მას, გარკვეული თვალსაზრისით, სილაბურ-ანბანურის ხასიათს უნარჩუნებდა. აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ ასე ჩაწერილი ტექსტები არც გასაგებად იყო ადვილი და წაკითხვის სხვადასხვაობასაც იწვევდა.

სრულ ანბანურ სისტემაზე გადასვლა, როდესაც თვითეული ფონემა (ხმოვანიცა და თანხმოვანიც) შესაბამისი გრაფემით გადმოიცემა, იყო ნამდვილი რევოლუცია დამწერლობის განვითარების ისტორიაში. ამ რევოლუციამ საკმარისად მალე ნახა პრაქტიკული ასახვა მრავალი ხალხის ცხოვრებაში, განსაკუთრებით აღმოსავლეთში, სადაც თითქმის ყველა ხალხმა შექმნა საკუთარი ანბანური დამწერლობა, რა თქმა უნდა, დამოუკიდებლობის სხვადასხვა ხარისხით.

ანბანური წერითი სისტემის უმაღლესად დახვეწილ, იდეალურ გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს ამიერკავკასიის ცივილიზებული ხალხების — ქართველთა, სომეხთა და ალბანელთა — ანბანები, რომელთა თვითეული გრაფემა ცალკე ფონემას გამოხატავს პოზიციისგან დამოუკიდებლად და სრულიად არა საჭიროებს დიაკრიტიკულ ნიშნებს. ამის გაკეთება, რა თქმა უნდა, ძალიან ძნელი იყო სომხურისა და ქართულისათვის, როგორც ფონოლოგიური, ისე გრაფიკული თვალსაზრისით, მათი ფონეტიკური სირთულის (ფონემათა სიმრავლის) გამო. რამდენად უფრო რთული უნდა ყოფილიყო წერის დამოუკიდებელი ანბანური სისტემის შექმნა კავკასიის ალბანელთა ანბანისათვის, რომლის ფონემათა რაოდენობა

ერთნახევარჯერ აღემატება ისედაც რთულ ქართულსა და სომხურს! მაგრამ ადამიანის გენიამ ამის გაკეთება შესძლო, ხოლო დროთა უკულმართობისაგან დაკარგული დამწერლობა და ამ დამწერლობით გადმოცემული ენის ბუნება მომჯალ თაობებს თითქმის ათი საუკუნის მანძილზე ამოუხსნელ გამოცანად დაუტოვა.

ანტიკურ ხანასა და ადრე შუა საუკუნეებში ამიერკავკასიის ტერიტორიაზე სამი განვითარებული სახელმწიფო და სამი ცივილიზებული ხალხი სახლობდა. სამივე ქვეყანა ერთ გეოპოლიტიკურ სივრცეში მოქმედებდა, ერთმანეთთან უმჭიდროესად იყო დაკავშირებული და ერთად უპირისპირდებოდა უძლიერეს გარეშე პოლიტიკურ და კულტურულ ძალებს. სამივე ხალხმა, როგორც ჩანს, დაახლოებით ერთდროულად შექმნა თავისი მწიგნობრული კულტურა და დაახლოებით ერთდროულად მიიღო ქრისტიანობა. ისტორიამ ისე ინება, რომ მისი ასპარეზიდან გაქრა ალბანეთის სახელმწიფო, ალბანი ხალხი, ალბანური კულტურა და მწერლობა. დარჩა მხოლოდ მათი მოგონება შედარებით მცირერიცხოვან წყაროებში და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე (ამჟამად ნაწილობრივ საქართველოშიც) მცხოვრები მცირერიცხოვანი ხალხის — უდების ბუნდოვან მეხსიერებაში.

ცხადია, შეუძლებელია კავკასიოლოგიის, მით უფრო ქრისტიანული კავკასიის შესწავლის დამაკმაყოფილებელ დონეზე ილაპარაკო, როდესაც ძალიან ცოტა იცი მისი დაახლოებით ერთი მესამედის შესახებ. ცოდნის ეს დეფიციტი პირველ რიგში ეხება ალბანი ხალხის ენას, ეთნიკურ წარმომავლობას, კულტურას, დამწერლობასა და მწერლობას. ალბანოლოგიის დონით დაუკმაყოფილებლობა და მისი გადალახვის დაჟინებული მცდელობა კავკასიისმცოდნეობას, როგორც მეცნიერებას, მთელი მისი არსებობის მანძილზე გასდევს.

ჩრდილოეთ კავკასიის არც ერთ ხალხს დღემდე არა აქვს საკუთარი დამწერლობა. მათი ტექსტები ჩაწერილია რუსული და ლათინური ენების ბაზაზე ყველაზე ადრე XVIII ს-ში. ამიტომ კავკასიური ენების ძველი და უძველესი მდგომარეობის შესახებ დღემდე მხოლოდ ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების მონაპოვრის საფუძველზე შეიძლებოდა მსჯელობა. ცხადია, ასეთი

ეითარება თეორიული პოსტულატების დოკუმენტური შემოწმების საშუალებას არ იძლეოდა.

ადრეული შუა საუკუნეების ალბანური ტექსტების აღმოჩენას და გაშიფრვას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს საერთოდ ენათმეცნიერებისათვის და განსაკუთრებით ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერებისთვის. ჯერ ერთი, მეცნიერებას პირველად ექნება ხელთ უძველეს ხანაში ლიტერატურულად დაფიქსირებული მთის კავკასიის ხალხის ენა და მეორეც, ამ ენის საფუძველზე შესაძლებელი გახდება მთის კავკასიის ენების შედარებითი შესწავლის საფუძველზე გაკეთებული დასკვნების შემოწმება ან კვლევის ახალი გზების დასახვა.

კავკასიის ალბანეთი ერთერთი უძველესი ქრისტიანული კულტურის ქვეყანაა მსოფლიოში. ტექსტი, რომელიც სინას მთაზე აღმოჩნდა, რა თქმა უნდა, ასევე ერთერთი უძველესი უნდა იყოს ქრისტიანული მწერლობის ძეგლებს შორის. ქრისტიანული მწერლობის ისტორიისა და ქრისტიანული მღვდელთმსახურების ადრინდელი ეტაპის რეკონსტრუქციის თვალსაზრისით ალბანურ ტექსტს ერთი უპირატესობა აქვს სხვა ენებზე არსებულ ძეგლებთან შედარებით. მან ძალიან ადრე განიცადა კონსერვაცია და განვითარების შემდეგ ეტაპებს მასზე გავლენის მოხდენა აღარ შეეძლოთ. თვალსაჩინოებისათვის ალბათ შეიძლება მაგალითად ქალაქ პომპეის ტრაგიკული ბედი მოვიტანოთ. ის, რაც პომპეისა და მისი მოსახლეობისათვის უბედურება იყო, დიდი ბედნიერება აღმოჩნდა მეცნიერებისათვის, რომელსაც შესაძლებლობა მიეცა დროისგან ხელუხლებელი ანტიკური ქალაქი შეესწავლა.

დაკარგული ენებისა და დამწერლობების მიმართ ინტერესი ბოლო ორი საუკუნის მანძილზე პერიოდულად იფეთქებს ხოლმე მეცნიერებასა და საზოგადოებაში. XIX-XX სს-ის მანძილზე ბევრი ძველი დამწერლობა გაიშიფრა, მაგრამ გასაკეთებელი მაინც საკმარისზე მეტი დარჩა. გაუშიფრავი დამწერლობების მიმართ ინტერესის გაძლიერება უმთავრესად დაკავშირებულია ხოლმე რაიმე დიდ აღმოჩენასთან ან დამატებითი მასალის გამოვლენასთან. ის

ინტერესი, რაც მეცნიერებაში კავკასიის ალბანეთის მწერლობის ძეგლის აღმოჩენამ გამოიწვია, იმედს იძლევა, რომ ტექსტის ამოკითხვასა და ალბანური ენის რეკონსტრუქციაში ბევრი ქვეყნის მკვლევარი მიიღებს მონაწილეობას. შესაძლოა, იგი ბიძგის მიმცემიც აღმოჩნდეს საერთოდ სხვა, დღემდე გაუშიფრავი დამწერლობებისკენ მეცნიერთა და მოყვარულთა მაძიებელი გონების მიბრუნებისა.

მრავალ მეცნიერს ან მოყვარულს აღმოუჩენია უცნობი დამწერლობით შესრულებული ტექსტები, მრავალ მეცნიერს ან მოყვარულს უმუშავია უცნობი დამწერლობების გაშიფრვაზე, მაგრამ შედეგით მიღებული ბედნიერების განცდა და პატივი მხოლოდ ერთეულებს ხვდომიათ წილად. დავიწყება იმათი, ვისაც მცდარი შედეგი მიულია ან სულ არა ჰქონია შედეგი, თუ კი მათი გატაცება ჯანმრთელი აზრის გამოვლენა იყო, ჩემი აზრით, ისტორიის უსამართლობაა. ყველა წარმატებული აღმოჩენა წარუმატებელი ცდების, შეცდომით განვლილი გზების ავტორთა მხრებზე დგას.

მათ ხსოვნას, ვისი სახელიც დაიწყო ისტორიამ ან მხოლოდ შეცდომებით დაიმახსოვრა, უძღვნის ამ წიგნს ავტორი.

თავი I

სინას მთის წმინდა ეკატერინეს მონასტერი

სინას მთის წმინდა ეკატერინეს სახელობის მონასტერი "არწუის ბუდესავით" შეყუჟულა სინას ნახევარკუნძულის სამხრეთით, უდაბნოსა და გრანიტის მთების ფერდობთა შესაყარში (იხ. დანართი, სურათი 1).

სამი დიდი რელიგიის ინტერესები იყრის თავს სინას მთაზე. იუდეველები თელიან, რომ ეს არის მათი ღმერთის იაჰვეს სამყოფი ადგილი; მუსლიმები აქ მუჰამედის აქლემის ნაკვალევს პოულობენ, მაგრამ მთავარი მაინც, დიდი ქრისტიანული ტრადიციაა ძველი აღთქმის უმთავრესი მომენტებით (შეუმწვარი მაყვლის ბუჩქი), წმ. ეკატერინე ალექსანდრიელის თაყვანისცემით[4], სინა-რაითის მოწამეთა ხსოვნით[5] და ა.შ.

სინას მთის ფერდობებზე ანაქორეტი ბერების სამყოფლების არსებობა დადასტურებულია უკვე IV ს-ის მოგზაურთა და პილიგრიმთა აღწერილობებში. მაგალითად, ეგერიას დღიურებში (383 წლის ნოემბერი — 384 წლის იანვარი[6]) ბერების სენაკების გარდა აღწერილია ეკლესიებიც მოსეს და ქორების მთებზე და, აგრეთვე, შეუმწვარი მაყვლის ბუჩქთან.[7] ამასვე ადასტურებს აქ აღმოჩენილი გვიან ანტიკური კერამიკა. იმავე ხანებით ათარიღებენ იმ ბურჯის ნაშთებს, რომელიც დღესაც დგას "შეუმწვარი მაყვლის" ბუჩქის ადგილას.

პირველი ეკლესია, როგორც ჩანს, წმ. ეკატერინეს მონასტრის ადგილზე აგებულ იქნა IV ს-ში, ტრადიციის მიხედვით კონსტანტინე დიდის დედის ელენეს მიერ. ეს ეკლესია შემონახული არ არის და, შესაძლოა, მოყვა VI ს-ში იუსტინიანე კეისრის (527-565) მიერ ღვთისმშობლის სახელზე აგებულ დიდ ბაზილიკაში (ხუროთმოძღვარი სტეფანე აილელი). წმინდა ეკატერინეს სახელობის მონასტრის დიდი და ხანგრძლივი ისტორია ფაქტიურად იუსტინიანე კეისრიდან იწყება.

იმპერატორმა ბერების მსახურად და დასაცავად თრაკიიდან და ეგვიპტიდან გადმოასახლა ორასი ოჯახი, რომელთა ჩამომავლებად თელიან თავს ის ბედუინები, რომლებიც დღესაც ერთგულად ემსახურებიან მონასტერს. იუსტინიანე კეისრის მიერ აშენებული ტაძარი გარშემორტყმულია მძლავრი გალავნით (548-565), რომელიც დიდი ხნის მანძილზე წარმატებით იცავდა ბერებს არაბთა თავდასხმებისგან.

მუსლიმურ გარემოცვაში მოხვედრილი, მართლმადიდებელი ქრისტიანობის ერთადერთი ფორპოსტი სინას ნახევარკუნძულზე, წმ. ეკატერინეს მონასტერი VII ს-ში უკვე საეპისკოპოსო საყდარია, ხოლო VIII ს-დან საარქიეპისკოპოსო. მუსლიმურ გარემოცვაში მისი შენარჩუნება გააადვილა მუჰამედის დაცვის სიგელმა (628), რომლის პირს მონასტერი დღემდე ინახავს.

X ს-დან მონასტერი ალექსანდრიელი მოწამის (IV ს.) წმინდა ეკატერინეს სახელს ატარებს. მისი ნეშტი, ტრადიციის თანახმად, სინელმა ბერებმა მოსეს მთის მახლობლად მდებარე ყველაზე მაღალ მწვერვალზე (შემდეგში ამ მთასაც წმ. ეკატერინეს სახელი ეწოდა) აღმოაჩინეს და მონასტერში გადაასვენეს.[8]

1099-1270 წლებში წმ. ეკატერინეს მონასტერი ჯვაროსნების ხელშია. ისინი სინას რაინდთა ორდენსაც კი აარსებენ და მატერიალური კვალიც მრავლად დატოვეს მონასტერში. ევროპა ინტერსდება მონასტრით, დიდ შეღავათებს აძლევს მას მეტოქეონებსა და ზღვაზე. სინა არ შეეწროებულა და მისი პრივილეგიები არ შეზღუდულა თურქ ოტომანთა მმართველობის ხანაშიც, ხოლო ნაპოლეონმა ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ დოკუმენტურად დაადასტურა ყველა მისი ძველი პრივილეგია და შემატა ახალიც (ეს დოკუმენტიც ინახება წმ. ეკატერინეს მონასტერში).

წმინდა ეკატერინეს მონასტრის ბიბლიოთეკა ერთერთი უმდიდრესია მთელს მსოფლიოში მრავალ ენაზე არსებული ხელნაწერებით. ამჟამად ხელნაწერები ინახება 1990 წელს სპეციალურად ბიბლიოთეკისათვის აგებულ შენობაში. (იხ. დანართი, სურათი 2). სინას მთის საგანძურს (ხელნაწერებს, ხატებს და სხვა) მინიჭებული აქვს მსოფლიო საგანძურის სტატუსი.

ქართველები სინას მთაზე

არაპირდაპირი, ან უკეთ რომ ვთქვათ, შეუმოწმებელი ცნობები ქართველთა ყოფნის შესახებ სინას მონასტერში უკვე VI საუკუნით თარიღდება[9]. აღგილობრივი ტრადიცია და ამ საუკუნის მოგზაური ანტონინე მარტვირი ასახელებენ ცალკეულ პირებს: მიქაელსა და ევსტათის, ვინმე ბესურ (იბერიულ თუ ლაზურ) ენაზე მოლაპარაკე ბერს[10] და ა.შ. მაგრამ ასეთი ცნობები ამავე დროს იმაზე მიუთითებს, რომ სინაზე VI ს-ში ჯერ კიდევ არ იყო ქართული კოლონია და აქ მხოლოდ ცალკეული ბერები ან ბერების მცირე ჯგუფი თუ იმყოფებოდა.

როგორც ჩანს, ქართული კოლონია, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, სინას მთაზე ჩამოყალიბდა IX ს-ის მანძილზე. ყოველ შემთხვევაში, 864 წლით დათარიღებული „სინური მრავალთავის“ სახელით ცნობილი უძველესი ქართული თარიღიანი ხელნაწერი, რომელიც საბაწმიდაში დაიწერა, დაწერიდან ძალიან მალევე იქნა სინას მთისათვის შეწირული[11]. განსაკუთრებით გაძლიერდა ქართული კოლონია სინას მთაზე X საუკუნეში, როდესაც წმინდა მიწის სხვა მონასტრებში არაბთაგან შევიწროებულმა ქართველმა ბერებმა შედარებით უფრო დაცულ ადგილს მიაშურეს. ეს პერიოდი იყო სინას ქართული კოლონიის შემოქმედებითი ცხოვრების ზენიტი[12].

სინას მთა ქართული კულტურისა და სამონასტრო ცხოვრების ერთერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრად რჩება მომდევნო საუკუნეებშიც. ქართველ პილიგრიმთა ინტენსიური სვლა სინასკენ გრძელდება XV საკუნემდე[13].

ქართულ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში ვკითხულობთ ცნობებს სინას მთაზე საგანგებოდ ქართველთათვის განკუთვნილი სამლოცველოების შესახებ, როგორიცაა მაგალითად მოსე წინასწარმეტყველის, წმ, გიორგისა და იოანე ნათლისმცემლის სამლოცველოები. ადგილობრივი ტრადიცია ასეთთა რიგში ასახელებს მარიამ ღვთისმშობლის, წმ. პეტრე-პაველეს, ორმეოც სებასტიელ მარტვილთა და წმ. ელიას სამლოცველოებს.

ქართულ წყაროებში შეგვიძლია ამოვიკითხოთ ცნობები ერთიანი საქართველოს მეფეების დაჟით აღმაშენებლისა და თამარის ზრუნვის შესახებ სინას მთის სამონასტრო კომპლექსზე. დაჟითის ისტორიკოსი გვიყვება, მაგალითად, როგორ ააგო სინას მთაზე დავით აღმაშენებელმა მონასტერი და როგორ შესწირა მას აურაცხელი სიმდიდრე[14]. თავის მხრივ სინელი ბერები შესთხოვდნენ ღმერთს მშვიდობას საქართველოსთვის, მათი სამშობლოს საზღვრების დაცულობას, ტყვედ ჩავარდნილ ქართველთა განთავისუფლებას, საქართველოს მტრის შემუსრვას და საერთოდ ქრისტიანობის გაძლიერებას[15].

ქართული კოლონია სინაზე XV ს-დან აღარ არსებობს და აქ დრო და დრო ეხედავთ მხოლოდ ცალკეულ პირებს და მოღვაწეებს, როგორიცაა მაგალითად იონა გედეუანიშვილი, რომელმაც დაგვიტოვა სინას მთის პირველი აღწერილობა ქართულ ენაზე[16].

სინას მთის ქართულ სიძველეთა შესწავლა

XIX საუკუნის შუა ხანებიდან იწყება სინას ქართულ სიძველეთა შესწავლის ისტორია, როდესაც არქიეპისკოპოსმა პ. უსპენსკიმ სინას მთაზე თავისი ვიზიტების დროს დააფიქსირა ქართული ხელნაწერებისა და ხატების არსებობა და რამდენიმე ხელნაწერი ან მათი ფურცელი წაიღო კიდეც სანკტპეტერბურგში[17].

პირველი ქართველი მეცნიერი, რომელიც ქართული ხელნაწერების შესასწავლად ეწვია წმ. ეკატერინეს მონასტერს 1883 წლის ზამთარში, იყო პროფესორი ა. ცაგარელი. მან ორჯერ გამოსცა სინას კოლექციის კატალოგი 93 ქართული ხელნაწერის აღწერილობით[18]. მანვე პირველმა განსაზღვრა X ს. როგორც გამორჩეული პერიოდი სინას ქართული კოლონიის ცხოვრებაში და მოგვცა ამ ხანის მოღვაწეთა დახასიათება.

ახალი პერიოდი სინას ქართულ ხელნაწერთა შესწავლაში იწყება 1902 წლიდან, როდესაც წმ. ეკატერინეს მონასტერში იმუშავა XX

საუკუნის ორმა ყველაზე გამოჩენილმა კაკასიოლოგმა - ნ. მარმა და ი. ჯავახიშვილმა. მათ შეადგინეს სინას კოლექციის, თვითულმა სხვადასხვა ნაწილის, ერცელი აღწერილობები (რომლებიც სამწუხაროდ მხოლოდ მათი გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა) და გამოაქვეყნეს რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ორიგინალური თუ ბერძნულიდან, სირიულიდან და არაბულიდან თარგმნილი ჰაგიოგრაფიული, ჰიმნოგრაფიული, პატრისტიკული და ა.შ. ტექსტი[19]. ნ. მარის „წინასწარ ანგარიშს სინას მთაზე ექსპედიციისა“ უდიდესი რეზონანსი ჰქონდა მაშინდელ მეცნიერულ სამყაროში[20].

1927 წელს სინას მთის ქართული ხელნაწერების აღწერაზე კიდევ ერთმა გამოჩენილმა კაკასიოლოგმა იმუშაა. ეს იყო ამერიკელი პროფესორი რ. ბლეიკი[21]. ამ დროისათვის წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართული კოლექციიდან რამდენიმე ხელნაწერი უკვე მოხვედრილი იყო მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმების (ლენინგრადის, პრაღის, ბირმინგემის, გრაცის და სხვ.) კოლექციებში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სინას მთაზე ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ბიბლიოთეკის მუშაობა, რომლის შემადგენლობაშიც იყო ბელგიელი ქართველოლოგი, პროფ. ჟ. გარიტი. მან 1956 წელს გამოაქვეყნა წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის დიდი ნაწილის აღწერილობა[22]. მანვე გამოაქვეყნა ამ კოლექციიდან რამდენიმე მნიშვნელოვანი ხელნაწერი, რომელთაგან „იოანე-ზოსიმეს პალესტინურ-ქართულმა კალენდარმა“ ბელგიის სამეფო პრემია დაიმსახურა[23].

იმავე კონგრესის ბიბლიოთეკის მადლობელი უნდა ვიყოთ, რომ 1950 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი ფლობს ძველი კოლექციის ფონდის ხელნაწერთა მიკროფილმებს[24]. შედეგად უკვე გამოქვეყნდა ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ მომზადებული სამი ტომი სინას ქართულ ხელნაწერთა თემატური აღწერილობისა[25].

ახალი კოლექციის აღმოჩენა სინას მთაზე

1975 წლის 26 მაისს სინას მთაზე, წმინდა ეკატერინეს მონასტერში მოხდა აღმოჩენა, რომელსაც სენსაციების მოყვარულმა ჟურნალისტებმა მაშინვე, სრულიად სამართლიანად, საუკუნის აღმოჩენა უწოდეს. წმინდა ეკატერინეს სახელობის მონასტერში, იუსტინიანე კეისრის კედლის ჩრდილოეთ ნაწილში მოთავსებულ წმინდა გიორგის სახელობის სამლოცველოს[26] ხანძარი გაუჩნდა. როდესაც ხანძარი ჩააქრეს და დაზიანებული ფართობი გაწმინდეს, სამლოცველოს მიმდებარე, მიწით სავსე სათავსოში დიდი რაოდენობით (1100-ზე მეტი) უძველესი ხელნაწერები აღმოაჩინეს[27]. ეს აღმოჩენა მაშინვე მიჩნეული იქნა მეოცე საუკუნის სენსაციად.

როგორ მოხვდა ამ სათავსოში ამდენი ხელნაწერი, როგორ დაიწყო ასე პირწმინდად მონასტრის ძმობამ მათი არსებობა? ამ კითხვებზე ზუსტი პასუხები, რა თქმა უნდა, არ არსებობს. ჩვენ მხარს ვუჭერთ შემდეგ ვარაუდს:

1734 წელს წმინდა ეკატერინეს მონასტერში არქიეპისკოპოსმა ნიკიფორე მართალისმა ბიბლიოთეკისათვის სპეციალური შენობა ააგო, ხელნაწერები იქ გადაიტანა და წესრიგში მოიყვანა[28]. ის, რაც მაშინ პრაქტიკული გამოყენებისათვის ზედმეტად იქნა მიჩნეული, როგორც ჩანს, დატოვეს აღნიშნულ სათავსოში. 1761 წელს პილიგრიმი დონატი აღნიშნავდა, რომ მან მართალისის ბიბლიოთეკაში, კარგად მოვლილი ხელნაწერების გარდა, ნახა უყურადღებოდ მიტოვებულებიც[29]. ამ ხელნაწერთა არსებობა ეტყობა თანდათან მივიწყებულ იქნა.

ახალი კოლექცია სულ 1100 ხელნაწერს ითვლის. ხელნაწერთა უმრავლესობა ბერძნულია, დანარჩენი არაბული, სირიული, ეთიოპური, სლავური და ქართული, ერთი ლათინური და ერთი ებრაული[30]. ამათ გარდა აქვე აღმოჩნდა 120 გრაგნილი. ქრონოლოგიურად ახალი კოლექცია თავსდება IV-XVIII საუკუნეებში.

სინას მთაზე ხელნაწერთა ინსტიტუტმა მოაწყო უკვე ოთხი

ექსპედიცია (1990, 1994, 1995 და 2000 წლის ნოემბერ-დეკემბერში) 1975 წელს შემთხვევით აღმოჩენილი ხელნაწერების შესასწავლად.

პირველი ექსპედიციის დროს (ზ. ალექსიძე, მ. ქაუთარია) აღწერილ იქნა 133 ხელნაწერი. ამათგანაც 15 გაქვავებული იყო და ჩვენ მხოლოდ ნომრების მიცემა შეეძლით. ამასთან, წამოსვლის წინ ვნახეთ დიდი რაოდენობით ფრაგმენტები, რომელთა გადათვალიერებაც კი ვერ მოხერხდა. ჩვენთვის მაშინვე ნათელი იყო, რომ კატალოგის გამოსაცემად მოსამზადებლად კიდევ რამდენიმე ჩასვლა იქნებოდა აუცილებელი.

მეორე და მესამე ექსპედიციები უკვე გაფართოებული შემადგენლობისა იყო (მეცნიერებთან ერთად მათში მონაწილეობდნენ რესტავრატორებიც): ზ. ალექსიძე, მ. ქაუთარია, მ. შანიძე (III ექსპედიცია), ლ. ხუსურიანი, თ. მესხი, ლ. ქუთათელაძე, ნ. თარგამაძე, ი. იაკობაშვილი (II ექსპედიცია), დ. გოგაშვილი (II ექსპედიცია).

ახალ კოლექციაში 141 დასახელების ქართული ხელნაწერი გამოვლინდა[31]. აქედან უმრავლესობა ხელნაწერ წიგნებს წარმოადგენს, ხოლო 10 გრაგნილია. ზოგი მათგანი სრულია, ზოგი ძლიერ ნაკლული. ფურცელთა საერთო რაოდენობა 4000-ზე მეტია. ამათ გარდა, აქვე ინახება დიდი რაოდენობის ფრაგმენტები ერთი ფურცლის თუ ფურცელთა ნახვევების სახით. ამ ფრაგმენტების შესწავლის, ან თუნდაც დათვლის, საშუალება ექსპედიციას ადგილზე არც ამჯერად ჰქონია. ფრაგმენტების ფოტო-პირები ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება და კატალოგის გამოცემის შემდეგ დაიწყება მათი შესწავლა.

ახალი კოლექციის ხელნაწერებიდან რამდენიმე აღმოჩნდა ძველი კოლექციის ხელნაწერთა ნაწილი, უმრავლესობა კი სრულიად ახალია. ძველის ნაწილთაგან მნიშვნელობის თვალსაზრისით შეიძლება დასახელდეს ყველაზე ადრინდელი თარიღიანი ქართული ხელნაწერი, ცნობილი 864 წლის სინური მრავალთავი[32].

ახლად აღმოჩენილ ხელნაწერთა დიდი უმრავლესობა ნაწერია პერგამენტზე, შედარებით ნაკლებია ქაღალდზე შესრულებული. ყველა ტექსტი დაწერილია ასომთავრულითა და ნუსხა-ხუცურით. მხედრული დაწერილობით შესრულებულია მხოლოდ შედარებით გვიანი ხანის

(XII-XV) ზოგიერთი მინაწერი.

როგორია საერთო შეფასება ახალი აღმოჩენისა?

სინურ კოლექციაში დღეს უკვე ხელთა გვაქვს საერთო ჯამში 230-ზე მეტი ხელნაწერი და მრავალი ფრაგმენტი, ამიტომ გაცილებით მეტი ვიცით სინას ქართული სამონასტრო კოლონიისა და მისი შემოქმედების შესახებ, ვიდრე აქამდე ვიცოდით. სინას ხელნაწერთა (ძველი და ახალი) დიდი უმრავლესობა X საუკუნისაა. როდესაც ვსწავლობთ აქ დაცულ და აქ შექმნილ სხვადასხვაენოვან ხელნაწერებს (ძველსა და ახალ კოლექციას), ეხედავთ, რომ X საუკუნის მეორე ნახევარი სინას მთაზე უპირატესად ქართულია. XI საუკუნიდან იწყება ბერძენთა და არაბთა დიდი აქტივობა. ამასვე მოწმობს ახალი კოლექციის ხელნაწერთა მინაწერები, რომლებიც ახალ და საინტერესო ცნობებს იძლევიან ქართველთა საამშენებლო საქმიანობის შესახებ სინას მთაზე X საუკუნეში. ეს არის ერთი უმნიშვნელოვანესი დასკვნა, გაკეთებული ახალი აღმოჩენების საფუძველზე.

სინას ქართულმა მასალამ, განსაკუთრებით ახალმა, შემოინახა საკლესიო ღვთისმსახურების ის ეტაპი, რომელსაც იერუსალიმურს უწოდებენ. ეს არის X საუკუნემდე (ჩათვლით) ლიტურგიკული წიგნები (იადგარები, ლექციონარები, ჟამისწირვები, კალენდრები), რომელთა ბერძნული დედნებიც დაკარგულია, იმის გამო, რომ მეათე საუკუნიდან ხმარებაში შემოვიდა ლიტურგიკის ახალი წესი, რომელსაც კონსტანტინეპოლურს ან ბიზანტიურს უწოდებენ ხოლმე. სულ უკანასკნელ ხანებამდე ამ საფეხურის აღდგენას ცდილობდნენ სომხური მწერლობის საფუძველზე, რომელიც ადრე დასცილდა მართლმადიდებლურს და ამიტომ მას მართლმადიდებლური ეკლესიის რეფორმები აღარ უნდა შეხებოდა. სინურმა ხელნაწერებმა, ჯერ კიდევ ძველმა და მას ემატება ახალიც, შეცვალეს აქცენტები და საერთაშორისო ყურადღება სომხურთან ერთად ქართულზე გადმოიტანეს, როგორც უძველესი საფეხურის მაჩვენებელზე.

სინას ახალმა კოლექციამ აჩვენა სინას მთის ქართული ძმობის მჭიდრო კონტაქტი სხვა ქართულ კულტურულ კერებთან.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი შესაძლო პირდაპირი კავშირი ათონის მთასთან და ათონელ მოღვაწეებთან, რაც დაადასტურა ათონზე შექმნილი ძეგლების აღმოჩენამ სინაზე მათი შექმნიდან მოკლე ხნის მანძილზე[33].

ახალ კოლექციაში ლიტურგიკული კრებულების გვერდით გვხვდება ოთხთავები, ფსალმუნები, მამათა სწავლანი, ჰაგიოგრაფიული კრებულები, საკითხავები ძველი აღთქმის წიგნებიდან. ამათგან ცალკე შეიძლება გამოიყოს ერთი X საუკუნის (974 წ) ხელნაწერი (N/Sin-67) - „წმიდათა მამათა სინელთა სწავლანი და საკრველებანი". წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ კრებული აშკარად ორიგინალურია, თუმცა ცალკეულ თხრობათა დაძებნა შესაძლებელია ქართულ ან სხვა ბერძნულენოვან პატერიკებში[34]. ქართველოლოგ სპეციალისტთა ყურადღებას ტექსტი იმითაც იპყრობს, რომ მასში პირველივე მთხრობლად დასახელებულია სხვა წყაროებით ჩვენთვის უცნობი „წმიდა მამა სამუელ ქართველი."[35]

ახალ კოლექციაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ორი მეათე საუკუნის ხელნაწერი. ერთი მათგანი (N/Sin-48) წარმოადგენს საკმაოდ ვრცელ ნაწილს პირველი ქართული ისტორიული თხზულებისა, რომელიც „მოქცევაჲ ქართლისაჲს" სახელით არის ცნობილი[36]. აღნიშნული თხზულება ორი ნაწილისაგან შედგება: ე.წ. „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს მატიანე, რომელშიც გადმოცემულია საქართველოს ისტორია დასაბამიდან VII საუკუნემდე (თანდართული ქართლის ერისმთავართა და კათალიკოსთა სიით X საუკუნის დამდეგამდე) და ქართველთა განმანათლებლის წმინდა ნინოს ცხოვრება.

N/Sin-48-მ ჩვენამდე ნაკლულად მოაღწია. გადარჩენილია მხოლოდ „მატიანის" ნაწილი, რომელიც შეიცავს თხრობას ქართლის გაქრისტიანებიდან VI საუკუნის მოწურულამდე. „მოქცევაჲ ქართლისაჲ" დღემდე ჩვენამდე მოღწეული იყო ორი რედაქციით: შატბერდული (XI.) და ჭელიშური (XIV-XV სს.). ახალი რედაქცია ერთსა და იმავე დროს ორივესთან პოულობს საერთოსაც და განსხვავებულსაც. ცხადია, იგი მომდინარეობს საერთო წინაპრისაგან

და ქრონოლოგიურად მისი დედანი მნიშვნელოვნად უსწრებს წინ როგორც შატბერდულს ისე ჭელიშურს. ეს დასკვნა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ წარმოშობის ურთულესი პრობლემის გასარკვევად.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მეორე ხელნაწერი (N/Sin-50), რომელიც კრებულს წარმოადგენს[37]. ხელნაწერი X საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება. კრებულში მოთავსებულია ზემოთ უკვე ნახსენები „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ (როგორც „მატიანე“ ისე „წმიდა ნინოს ცხოურება“) და ასურელ მამათა ცხოურების წიგნები. კრებული თავსა და ბოლოში ნაკლულია. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ N/Sin-50-ში „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტი იწყება თითქმის იქ, სადაც წყდება N/Sin-48, თუმცა ესენი სრულიად სხვადასხვა ხელნაწერებია. უფრო მეტიც, მეორე ექსპედიციის დროს აღმოჩნდა N/Sin-50-ის შემორჩენილი ნაწილის დასაწყისიდან კიდევ ორი ფურცელი, რომელთაც შეხვედრა ნახეს N/Sin-48-ის დასასრულთან. აღმოჩნდა, რომ ეს ორი ხელნაწერიც სხვადასხვა რედაქციებს წარმოადგენენ.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიმართ N/Sin-50-ის შესახებ უნდა გავიმეოროთ ის, რაც ვთქვით N/Sin-48-ის შესახებ: იგი განსხვავდება როგორც შატბერდული, ისე ჭელიშური რედაქციებისაგან და ამასთანავე მსგავსებას პოულობს ორივესთან. სინური ხელნაწერი თავისთავადაც შატბერდულ ხელნაწერზე უფრო ადრინდელია, რედაქციულადაც იგი, ცხადია, მნიშვნელოვნად უსწრებს ორივეს და საეჭვო შემთხვევებშიც იძლევა მათზე გაცილებით უკეთეს წაკითხვებს.

სინური აღმოჩენების შემდეგ თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ X ს-ში უკვე არსებობდა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ოთხი ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული რედაქცია. ცხადია, ამდენი განსხვავებული რედაქციის ჩამოყალიბება დიდ დროს მოითხოვს, რაც გამორიცხავს ძეგლის შექმნას IX საუკუნეში.[38]

არანაკლებ საინტერესოა ქართველოლოგიისა და საერთოდ აღმოსავლური ქრისტიანობის ისტორიისათვის იმავე N/Sin-50-ში დაცული ასურელ მამათა ცხოურების წიგნები. ეს არის იმ 13 სირიელი

საეკლესიო მოღვაწის ისტორია, რომლებიც VI საუკუნეში მოუიდნენ საქართველოში, საფუძველი დაუდეს ჩვენში სამონასტრო ცხოურებას და, შესაძლოა, განსაზღვრეს საქართველოს რელიგიური სახე მრავალი საუკუნის მანძილზე. ახლად აღმოჩენილი ტექსტი, სრულიად უეჭველია, გაცილებით უფრო ძველია, ვიდრე დღემდე ჩვენამდე მოღწეული მრავალი სხვადასხვა სახის რედაქცია[39] და იგი მათგან განსხვავდება არა მარტო რედაქციულად, არამედ შინაარსობლივადაც. N/Sin-50 სრულიად ახლებურად აყენებს ასურელ მამათა ცხოურების ტექსტების ისტორიას.

ასურელ მამათა ცხოურების წიგნებში ჩართულია სრულიად უნიკალური ცნობები საქართველოს ისტორიის დღემდე ყველაზე ცუდად შესწავლილი და ცნობებით მწირი პერიოდის, ე.წ. ერისმთავრობის ხანის (VI-VIII) საუკუნეების შესახებ. ალბათ პირველყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ მათ შორის გვხვდება პირველი და ერთადერთი მოხსენიება რუსთაველთა ("რუვისთაველთა") საგვარეულოსი და მათი ლოკალიზება ისტორიული კახეთის ტერიტორიაზე; და ქართველთა სამეფო საგვარეულოს — ბაგრატიონთა — დასახლება დიდი ხნით ადრე, ვიდრე დღემდე იყო დადასტურებული წყაროებში[40].

სპეციალური ყურადღების ღირსია ის ანდერძ-მინაწერები, რომლებიც მრავლად არის დაცული ახალი კოლექციის ხელნაწერებზე. პირველყოვლისა მათი საშუალებით დიდად იზრდება ჩვენი ცოდნა სინას მთაზე მოღვაწე ქართველი ბერების შესახებ, განსაკუთრებით X საუკუნეში, ვინაიდან მინაწერთა დიდი უმრავლესობა დათარიღებულია.

მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ერთი მინაწერი ახალი ქართული კოლექციის №2 ხელნაწერზე. ამ ხელნაწერის ანდერძში მოცემულია სინას მთისათვის კვირიკე მიძნაძორელის მიერ შეწირული ქართული წიგნების სია, თვითეული დასახელებული წიგნის რაოდენობის მითითებით (სულ 45). ამგვარი სია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1902 წელს სინას მთაზე აღმოაჩინა ნ. მარმა და ეს ორი სია ყველაზე ადრინდელია მათ შორის, სინას მთაზე ბიბლიოგრაფიულ

საქმიანობას რომ უჩვენებს. ამაუე მინაწერში ყურადღებას იპყრობს ანდერძ-მინაწერის ავტორის მიერ აღწერილი თავისი სააშენებლო მოღვაწეობა წმინდა ეკატერინეს სახელობის მონასტრის ტერიტორიაზე.

სპეციალისტთა დიდ ყურადღებას გამოიწვევს ახლად აღმოჩენილ ხელნაწერებს შორის პალიმფსესტები. მათი რაოდენობა მნიშვნელოვანია. ქვედა ტექსტი ხშირად არის ქართული, ბერძნული, ეთიოპური, სირიული და ორ შემთხვევაში სომხური. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორი ხელნაწერის (N/Sin 13, 55) ქვედა ტექსტში კავკასიის ალბანეთის დაკარგული მწერლობის ძეგლთა გამოვლენა. (იხ. დანართი, სურათი 3)

X საუკუნეში ძველი ხელნაწერების გამოყენება ახლის შესაქმნელად სინას მთაზე გამოწვეულია პერგამენტის დეფიციტით, რაც ხელნაწერთა მინაწერებითაც დასტურდება[41]. ამასვე მიუთითებს ძველი ხელნაწერების ჩამონაჭრებისაგან შეკერილი ახალი წიგნების დადასტურება ახალ კოლექციაში. სამწუხაროდ ექსპედიციებს არა ჰქონია საკმარისი დრო, რომ პალიმფსესტების ქვედა ტექსტების იდენტიფიკაცია ეცადა.

ქართულ-ალბანური პალიმფსესტის აღმოჩენა

1994 წლის ნოემბერ-დეკემბერში ხელნაწერთა ინსტიტუტის მეორე ექსპედიციის უკანასკნელ დღეს რესტავრატორებმა გახსნეს N/Sin-55, რომელიც ხანძრის შედეგად მთლიანად ერთ გაქვავებულ მასად იყო გადაქცეული. ხელნაწერი აღმოჩნდა პალიმფსესტი, რომლის ორივე ტექსტი (ზედა და ქვედა) იმავე ხელით იყო ნაწერი, როგორითაც N/Sin-13, რომელსაც ადრევე მივაქციე ყურადღება ქვედა ტექსტის გამო. ხანძრის გამო ქვედა ტექსტი ამ ხელნაწერში კიდევ უფრო კარგად მოჩანდა და გაჩნდა დაკვირვების მეტი საშუალება, თუმცა ამისათვის დრო სულ აღარ გვრჩებოდა.

პირველი ჩემი შთაბეჭდილება ის იყო, რომ ორივე ხელნაწერის

ქვედა ტექსტი ერთსა და იმავე დროს ჰგავდა ქართულსაც და სომხურსაც (ნაწილობრივ ეთიოპურსაც), მაგრამ არ იყო არც ერთი. თბილისში დაბრუნებისთანავე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომაზე გაკეთებულ ანგარიშში მე განვაცხადე, რომ დამწერლობა, რომელიც ერთდროულად ჰგავს ქართულსა და სომხურს და არ არის არც ერთი, შეიძლება იყოს მხოლოდ კავკასიის ალბანური.

1996 წლის ნოემბერ-დეკემბერში სინას მთაზე ხელნაწერთა ინსტიტუტის მესამე ექსპედიცია გაემართა. (სურათი 11) ამჯერად მე უკვე თანა მქონდა შესადარებელი მასალა: ა. აბრამიანის წიგნი, რომელშიც გამოქვეყნებული იყო სომხურ ხელნაწერში დაცული ალბანური ანბანი და მინგეჩაურში აღმოჩენილი რამდენიმე წარწერის ფოტო მონახაზითურთ[42].

როდესაც ჩატანილი მასალა შევადარე სინურ პალიმფსესტებს, მაშინვე ცხადი გახდა ჩემთვის, რომ ორივე პალიმფსესტის ქვედა ტექსტი უეჭველად კავკასიის ალბანური იყო. სამწუხაროდ, პალიმფსესტებზე ხანგრძლივად მუშაობის დრო არც ამჯერად მქონდა. საჭირო იყო ახლად აღმოჩენილი ქართული ხელნაწერების აღწერილობის დამთავრება და ამასთანავე არა მქონდა მათ საკითხავად ტექნიკური საშუალებები, თუნდაც დამოუკიდებელი ბნელი ოთახი, რომელშიც ულტრაიისფერი განათების ქვეშ ვიმუშაებდი. მიუხედავად ამისა, მაინც შევძელი გარკვეული რაოდენობის ტექსტის გადმოწერა, უფრო კი ისეთი ადგილებისა, რომლებიც სრულიად არ იყო ქართული ტექსტით დაფარული და უკეთ იკითხებოდა. ულტრაიისფერი განათებით გადავიღე, აგრეთვე, გადაშლილი ორივე ხელნაწერის თითო კადრი.

სამწუხაროდ, ამის შემდეგ მთელი ოთხი წლის განმავლობაში სინას მთაზე წასვლა ვერ შევძელი. მაგრამ ეს ოთხი წელი გამოვიყენე იმისათვის, რომ ალბანური დამწერლობა (იმ მასალით, რაც ხელთ მქონდა) ღრმად ამეთვისებინა და გარკვეული წინასწარი ფრთხილი დასკვნები გამეკეთებინა[43]. მე მოხარული ვარ, რომ შემდგომმა მუშაობამ და მიღწეულმა შედეგებმა ეს დასკვნები მთლიანად არ გააუქმა.

2000 წლის ნოემბერ-დეკემბერში კვლავ შედგა ექსპედიცია სინას

მთაზე. ამჯერად ჩემთან ერთად მუშაობდა ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელოვნებათმცოდნე და ფოტოგრაფი დავით ცხადაძე და ჩემი ვაჟი ნიკოლოზ (ტატო) ალექსიძე, რომელიც ადრეული ბავშვობიდან განსაკუთრებულ დაინტერესებას იჩენს ძველი სამყაროსა და, კერძოდ, დამწერლობების მიმართ.

ექსპედიციამ გადაიღო საილუსტრაციო მასალა ახალი კოლექციის ქართული ხელნაწერების კატალოგის საილუსტრაციოდ და ორიოდე ქართულ-ალბანური პალიმფსესტი ულტრაიისფერი განათებით. მეც უკვე საკმარისი დრო და პირობები მქონდა იმისათვის, რომ ამავე პალიმფსესტების ალბანური ტექსტის უდიდესი ნაწილი გადმომეწერა ულტრაიისფერი განათებიანი ლუპის საშუალებით.

თავი II

კავკასიის ალბანეთი

ალბანეთი, ან როგორც მას უწოდებენ ბალკანეთის ალბანეთისაგან განსასხვავებლად, კავკასიის ალბანეთი, მდებარეობდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, ძირითადად თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე.[44] *ალბანეთი* ამ ქვეყანას ბერძნულ-რომაული წყაროების მიხედვით ეწოდება. სომხურ წყაროებში იგი *ალუან-ქ* (*აღუან-ქ*)-ად მოიხსენიება, ხოლო ქართულში გვხვდება *რანი*, *ალუანი*, და *ჰერეთი*. ამიტომ იყო, რომ ა.შანიძე ძველ ალბანელთა ენას *ჰერულს* უწოდებდა[45]. არაბულ წყაროებში კავკასიის ალბანეთი მოიხსენიება "არრან" სახელწოდებით.[46]

"ალბან"-ეთის მსგავსი ტოპონიმები ბალკანეთის გარდა არის იტალიასა და შოტლანდიაში. ამიტომ, როგორც კი კავკასიის ალბანეთის შესახებ ჩამოვარდება ლაპარაკი, მაშინვე ინტერესდებიან მისი კავშირის შესახებ ევროპის ტოპონიმებთან თუ ფაქტიურად არა, ეტიმოლოგიურად მაინც. ამ ტოპონიმების ასახსნელად ორი მოსაზრებაა გამოთქმული:

1. „ალბან" მომდინარეობს ლათინური albus თეთრი-დან, რომლითაც „თავისუფლები" აღინიშნებოდნენ.[47] 2. ეს ტოპონიმი აღნიშნავს მთიან ქვეყანას (შდრ. „ალპები").[48]

კავკასიის ალბანეთის სახელწოდების ხალხური ეტიმოლოგია მოცემული აქვს მოსე ხორენელს:

„მაგრამ ეს იცოდე, რომ პირველ წიგნში ჩვენ დაგვაყოფინა იმ დიდი და სახელოვანი ხალხის მოხსენიება, რომელიც სისაკის ტომისაა. მან დაიმკვიდრა აღუანთა/ალუანთა ველი მისი მთიანეთით, მდინარე ერასხიდან ციხემდე, რომელსაც ჰნარაკერტი ჰქვია. იმ ქვეყანას აღუანქი/ალუანქი დაერქვა მისი კეთილი საქმეებისთვის, რის გამოც, მას აღუს/ალუს ეძახდნენ".[49]

„აღუ" სომხურში იშვიათი ხმარების სიტყვაა და მის ზუსტ მნიშვნელობაზე მხოლოდ მოსე ხორენელის ჩვენებით შეიძლება

ლაპარაკი. ეს სიტყვა პრ. აჭარიანს თაუის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში საერთოდ არ შეუტანია, ხოლო სტ. მალხასიანცი მას სპარსულიდან მომდინარედ თვლის.[50]

მთაუარ პრობლემათა ჯგუფი ანტიკურ და ადრე შუა საუკუნეების ალბანეთთან დაკავშირებით არის შემდეგი: როდის ჩამოყალიბდა ამ ტერიტორიაზე სახელმწიფო, რა ტერიტორიას მოიცავდა იგი; როგორი იყო მასში ეთნიკური და კულტურული კონსოლიდაციის პროცესი; შექმნა თუ არა ალბანურმა მოსახლეობამ თავისი დამწერლობა და მწერლობა; თუ შექმნა, რა ენაზე, რამდენად განვითარდა იგი და რამდენ ხანს იარსება.

კავკასიოლოგიაში დასახელებული პრობლემატიკის შესახებ ძირითადად ორი, ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული პოზიცია ჩამოყალიბდა.

სომხური ალბანოლოგია

დაახლოებით გასული საუკუნის 60-იან წლებამდე ალბანისტიკის პრობლემებს ძირითადად არმენოლოგები სწავლობდნენ და ეს გასაგებიც იყო. შუა საკუნეების წყაროები უმეტესად სომხურად იყო შემონახული, ხოლო აზერბაიჯანის არქეოლოგია ის-ის იყო იდგამდა ფეხს. ჩემი აზრით, ამ ხანებამდე სომეხ მეცნიერთა თვალსაზრისი ალბანოლოგიის ძირითადი პრობლემატიკის მიმართ საკმაოდ რაციონალური იყო, თუმცა საკამათო საკითხები და შინაგანი წინააღმდეგობები მასში მაინც რჩებოდა. ეს თვალსაზრისი ზოგადად ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

ალბანეთის ტერიტორიები მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე — არცახი (მთიანი ყარაბაღი) და უტიქი (ველის ყარაბაღი) ძვ. წ. II ს-დან დიდი სომხეთის შემადგენლობაშია. ამიტომ ამ დროიდან მოკიდებული ახ. წ. 387 წლამდე ალბანეთის სამეფოს უკავია მხოლოდ მტკვრის მარცხენა სანაპირო იორ-ალაზნის შუა წელიდან თანამედროვე აღ-სუმდე. ამ ხნის მანძილზე არცახის მოსახლეობა (IV-V სს-ისათვის) მთლიანად, ხოლო უტიქისა (VI ს-ისათვის) დიდ

ნაწილად — გასომხდა. ამავე პერიოდში გაქართველდა მტკვრის მარცხენა სანაპიროს დასავლეთი ნაწილის ალბანური მოსახლეობა იორ-ალაზნის აუზში.

ქრისტიანობა ალბანეთში სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა IV ს-ის 70-იან წლებში (სამხრეთ დაღესტანში V ს-ის II ნახევარში). დვინის 551 წლის საეკლესიო კრებაზე ალბანეთი სომხეთთან ერთად გაემიჯნა ქალკედონიტობას (უფრო გავრცელებული აზრით, სომხეთი და ალბანეთი უკვე მონოფიზიტური იყო V ს-ის მეორე ნახევრიდან), ხოლო 552 წელს დაარსდა იერარქიულად სომხეთის საპატრიარქოზე დამოკიდებული ალბანეთის საკათალიკოსო. VII ს-ის დასაწყისიდან ალბანეთის ეკლესია, ქართულთან ერთად, ქალკედონურ მრწამსზე გადაიდა, ხოლო VIII ს-ის დამდეგს, არაბთა ბატონობის დამყარების შედეგად, სამუდამოდ დაუბრუნდა მონოფიზიტობას.

V ს-ის 10-იან წლებში მესროპ-მაშტოცმა შექმნა ალბანური ანბანი სიუნიელი თარჯიმნის ბენიამინის დახმარებით. ერთიანი სალიტერატურო ენის ნორმად აღებულ იქნა გარგარული ენა, რომელზეც ლაპარაკობდა სამეფო რეზიდენციის ტერიტორიაზე (ფაიტაკარან-ბაილაკანი) მცხოვრები მოსახლეობა. მაგრამ მალე (V ს-ის II ნახევარი) სამეფოს ცენტრმა გადაინაცვლა უტიქში (დედაქალაქი პარტავი), რომლის სალაპარაკო ენა იყო უტიური (თანამედროვე უდიური). არაბი ისტორიკოსები ამ ენას უწოდებდნენ არანულს ანუ ალბანურს. ასე წინააღმდეგობაში აღმოჩნდა სალიტერატურო ენა და ქვეყნის ცენტრალური რეგიონის სამეტყველო ენა, რის გამოც იგი მალე გამოვიდა ხმარებიდან და სულ მცირე ხნით დარჩა საეკლესიო ენად.

VIII ს-ის დასაწყისიდან ალბანეთის ეკლესია გახდა სომხურის ნაწილი და მთლიანად გადაიდა სომხურ ენაზე. ასე დამთავრდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მოსახლეობის სრული არმენიზაციის პროცესი, და ასე აღიგავა *სამუდამოდ* პირისაგან მიწისა ალბანური მწერლობა. აბორიგენი მოსახლეობის იმ ნაწილმა, რომელიც გადაურჩა გასომხებისა და გაქართველების პროცესს, არაბობის ხანაში მიიღო ისლამი, ხოლო შემდეგ შეერწყა მოსულ თურქული

მოდგმის ტომებს, რის შედეგადაც მიიღეთ თანამედროვე აზერბაიჯანელი ხალხი.

ე.წ. „ახალი თვალსაზრისი“

60-იანი წლებიდან სომეხმა მეცნიერებმა დაამუშავეს “ახალი თვალსაზრისი“, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ამ სახელითაც მოიხსენიება ხოლმე.

„ახალი თვალსაზრისის“ მიხედვით, ალბანეთის სამეფო ჩამოყალიბდა მხოლოდ ძვ. წ. I ს-ის დასაწყისში. მისი საზღვარი სამხრეთით მხოლოდ მტკვრამდე ერცელდებოდა. სტრაბონის მიხედვით, ალბანეთის მოსახლეობა შედგებოდა 26 ტომისგან. ახ. წ. III ს-მდე ალბანეთის სამეფოს ეთნიკური კონსოლიდაცია არ მომხდარა და თვითეული ტომი თავის ენაზე ლაპარაკობდა. 462 წელს გაუქმდა ალბანეთის სამეფო და შეიქმნა სასანიანთა სამარზპანო სახელწოდებით *ალბანეთი*. მასში შევიდა ყოფილი დიდი სომხეთის ორი პროვინცია — *უტი-ქ-ი* და *არცახ-ი* მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე (უტიქისა და არცახის ალბანეთისათვის მიერთებას 387 წლითაც ათარიღებენ, როდესაც სომხეთი შუაზე გაიყვეს ბიზანტიამ და ირანმა) აღნიშნულმა პროვინციებმა ამ დროიდან მიიღეს ქვეყნის სახელწოდებად *ალბანეთი*, რომელსაც ეთნონიმის მნიშვნელობა არასოდეს არ მიუღია და მხოლოდ პოლიტიკურ დატვირთვას ატარებდა. თანდათან მტკვრის მარჯვენა სანაპიროს სომხურმა პროვინციებმა ეს სახელწოდება იმდენად გაითავისეს, რომ მასში აღარც გულისხმობდნენ მტკვრის მარცხენა სანაპიროს ალბანებს და თვლიდნენ, რომ ეს სახელწოდება მათ ჰქონდათ ოდითგანვე. ასევე თანდათან მათ (მტკვრის მარჯვენა მხარის სომხურ პროვინციებს) ჩამოუყალიბდათ ე.წ. „ალბანური მსოფლმხედველობა“ და „ალბანური პატრიოტიზმი, თუმცა სომხური თვითშეგნება არასოდეს არ დაუკარგავთ. ვინაიდან ეს პროვინციები კულტურულ-ეკონომიური თვალსაზრისით მტკვრის მარცხენა მხარეს მცხოვრებ მკვიდრ ალბანელებზე მაღლა იდგნენ, მათ შექმნეს *ახალი ალბანეთი*. ისინი არ აღირიცხნენ არც ალბანელებში და არც სპარსელებში. პირიქით,

სპარსელთა მიერ დადგენილი სპარსელ არშაკუნიანთა სამეფო დინასტია თვითონ გასომხდა, ან უფრო ზუსტად, ორენოვანი გახდა. ეკლესიისა და ქვეყნის ენა სომხური იყო (ისევე როგორც ქართლის).

მაშტოცმა (მესროპმა) ალბანეთის სომხურ მოსახლეობას მოსახმარებლად გადასცა სომხური ანბანი (36 გრაფემა), ხოლო მკვიდრ ალბანელებს შეუქმნა ახალი დამწერლობა (52 გრაფემა). ამრიგად, როდესაც კორიუნი ლაპარაკობს ბარბაროსი ალბანების უხეში ენისთვის ანბანის შექმნის შესახებ, მას მხედველობაში აქვს მკვიდრი ალბანები; ხოლო, როდესაც გვაუწყებს ალბანების მიერ ბიბლიის თარგმნის შესახებ (მოგვიანებით ჩვენ შევეხებით ამ ცნობებს), გულისხმობს ალბანეთის სომხურ ნაწილს. მკვიდრმა ალბანებმა (მტკვრის მარცხენა სანაპიროზე) თავისი მწერლობა ვერ შექმნეს და მალე გაითქვიფნენ სხვა ხალხებში. როდესაც შუასაუკუნეების წყაროები ლაპარაკობენ ალბანური მწერლობის შესახებ, ჩვენ ამ ცნობებში უნდა ამოვიკითხოთ არა მკვიდრი ალბანების, არამედ სომხური მწერლობა, შექმნილი უტიქის, არცახისა და გარდმანის მოსახლეობის მიერ.

უფრო ზომიერი პოზიციის მქონე, მაგრამ მაინც „ახალ თვალსაზრისზე“ მდგარი სომეხი მეცნიერები უშვებენ ალბანური მწერლობის არსებობას, მხოლოდ შედარებით მცირე ხნით (დაახლოებით V-VII სს-ის ფარგლებში), რომელმაც ვერ გასძლო, რადგან ვერ ჩამოყალიბდა ერთიანი ალბანური ეთნოსი და საერთო ალბანური სალიტერატურო ენა. ალბანურმა დამწერლობამ და მწერლობამ ვერ შეიძინა მისთვის აუცილებელი ფუნქცია, ვინაიდან ალბანეთის საეკლესიო და სახელმწიფო ენა იყო სომხური (ამ ზომიერი პოზიციის მქონეთა აზრითაც, VII ს-ის დამდეგს მომხდარ საეკლესიო განხეთქილებამდე ქართლის ეკლესიის ოფიციალური ენაც აგრეთვე სომხური იყო, რასაც, მათი აზრით, მოწმობს მცხეთის ჯვარზე არსებული სომხური წარწერები)[51].

აზერბაიჯანელ მეცნიერთა თვალსაზრისი

60-იანი წლებიდან იწყება ასპარეზზე გამოსვლა იმ აზერბაიჯანელი მეცნიერებისა, რომელთაც თავიანთ სპეციალობად გაიხადეს ალბანისტიკა. თუნდაც მხოლოდ ეს მომენტი უნდა დადებითად შეფასდეს კაუკასიოლოგიის განვითარებაში, ვინაიდან აქამდე ყველა მეცნიერი ალბანისტიკის პრობლემატიკას იმდენად სწუალობდა, რამდენადაც ამას ითხოვდა მისი კვლევა-ძიების არეალი. ამჟამად ბაქოში უკვე არსებობს "კაუკასიის ალბანეთის კვლევის სამეცნიერო ცენტრი".

აზერბაიჯანელ მეცნიერთა პოზიცია რომ წარმოვიდგინოთ, სომეხ სპეციალისტთა თვალსაზრისი პოლარულად უნდა შევცვალოთ. მე არ გამოვრიცხავ, რომ სხვა მიზეზებთან ერთად ეს იყო გადაჭარბებულად მგრძნობიარე რეაქცია ე. წ. „ახალ თვალსაზრისზე".

აზერბაიჯანელ მეცნიერთა შეხედულებით, ალბანეთის ტერიტორია არსებითად უცვლელია მთელი მისი არსებობის მანძილზე მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ჩათვლით და მასში შედის უტიქი და არცახის გარდა სუნიეთიც. ზოგი მკვლევარის თვალსაზრისით უტიქი და არცახი მხოლოდ მცირე ხნით აქვს მიტაცებული სომხეთს და 387 წელს უბრუნდება ალბანეთს, ზოგის აზრით ასეთი რამ საერთოდ არ მომხდარა; ალბანეთის მთელი ტერიტორია, თანამედროვე აზერბაიჯანის სადაო პროვინციის — ყარაბაღის ჩათვლით, დასახლებულია ეთნიკურად ერთი წარმომავლობის მოსახლეობით, რომელიც საუკუნეების მანძილზე იცვლის მხოლოდ ენას და სარწმუნოებას.

V ს-ის დასაწყისში შეიქმნა ალბანური დამწერლობა, რომელსაც მოჰყვა მდიდარი თარგმნილი და ორიგინალური მწერლობა; VIII-X სს-ის მანძილზე არაბი დამპყრობლები და სომხური ეკლესია ანადგურებენ ალბანური მწერლობის ძეგლებს; განადგურებამდე სომხები ალბანეთის ისტორიის შესახებ თხზულებებს და საეკლესიო კანონებს თარგმნიან სომხურად, ამიტომ შემოგვენახა ისინი მხოლოდ სომხურ ენაზე.

თანდათანობით ენა და მწერლობა ალბანეთის მონოფიზიტური ეკლესიისა, რომელიც სომხური ეკლესიის გაულენის ქვეშ იყო და,

შედეგად, ალბანეთის სამეფოსიც, სომხური ხდება; X-XIII სს-ის ყველა სომხურენოვანი გამოჩენილი მოღვაწე, რომლებიც წარმოშობით ალბანეთის მტკვრის მარჯვენა მხრიდან იყვნენ (მხითარ გოში, კირაკოს განძაკელი და სხვ.) უნდა მივიჩნიოთ სომხურენოვან ალბანელ მწერლებად და საზოგადო მოღვაწეებად[52].

***

ცხადია, ასეთი პოლარული თვალსაზრისები მნიშვნელოვნად აფერხებს ალბანოლოგიის განვითარებას, მაგრამ გარკვეული თვალსაზრისით ხელსაც უწყობს მის წინსვლას. ყველა უკიდურესობას თან მაინც ახლავს დადებითი მომენტებიც. პოლემიკის ჟინით შეპყრობილი მეცნიერები თავისი პოზიციის განსამტკიცებლად ისეთ დეტალებს ამჩნევენ და შემოაქვთ სამეცნიერო მიმოქცევაში, რომელთაც მხოლოდ დიდი შინაგანი დაძაბულობა და წინასწარ დასახულ ამოცანაზე სასურველი პასუხის ძიება თუ შეგაძლებინებს. ამიტომ, არ შეიძლება არ ვაღიაროთ:

მიუხედავად დიდი სუბიექტურობისა ორივე მხრიდან, ალბანოლოგია დღეს ის აღარ არის, რაც იყო მანამ, სანამ მის შესწავლასა და პოლემიკაში აქტიურად ჩაებმებოდნენ აზერბაიჯანელი მეცნიერები. ასე თანდათან გროვდება მასალა მომავალი ობიექტური მკვლევარისათვის.

ალბანოლოგიის ძირითადი პრობლემების ობიექტურად შეფასების საკმაოდ წარმატებული ცდა ჰქონდა კიდეც ა. ნოვოსელცევს[53], მაგრამ ეს იყო ძველი მასალის ახალი იდეებით გადახედვა, რასაც მოპაექრეებზე დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია, იმდენად იყვნენ ისინი ამ მასალას უკვე შეთვისებულნი და იმდენად ჰქონდათ ეს მასალა მათ თავისი იდეებისათვის შეგუებული.

თავი III

ცნობები ალბანური დამწერლობისა და მწერლობის შესახებ

ალბანური დამწერლობისა და მწერლობის შესახებ ცნობები შემოგვინახეს მხოლოდ სომხურმა წყაროებმა. ამ თვალსაზრისით, პირველ რიგში უნდა დასახელდეს წყაროთა ციკლი, მესროპ-მაშტოცის მოღვაწეობის შესახებ რომ იძლევიან ცნობებს.

მოსე ხორენელის "სომხეთის ისტორია" (არმენოლოგია მოსე ხორენელის მოღვაწეობის ხანას V-IX სს-ში ათავსებს. უფრო გავრცელებული შეხედულებით — Vს.):

მას შემდეგ, რაც მესროპმა შექმნა სომხური და ქართული დამწერლობები (ქართული „ვინმე ჯალასთან ერთად"), „გადაიდა აღუანქში (ალუანქში) მათ მეფე არსვაღენთან (არსვალენთან) და იერემია არქიეპისკოპოსთან, რომლებმაც ნებით იტვირთეს მისი მოძღვრება, მისცეს რჩეული ბავშვები, დაუძახეს ვინმე ბენიამინს, უნარიან მთარგმნელს, რომელიც დაუყოვნებლივ აახლა მათ ჭაბუკმა ვასაკმა, სივნიეთის უფალმა, თავისი ეპისკოპოსის ანანიას ხელქვეით. მათთან ერთად შექმნა (მაშტოცმა) ასოები გარგართა ხორხისმიერი, არაკეთილხმოვანი, ბარბაროსული და უხეში ენისათვის. მან ზედამხედველად დაუტოვა თავისი მოწაფე იონათანი, იმავე დროს დაუყენა მღვდლები სამეფო კარზე და თვითონ დაბრუნდა სომხეთში".[*]

კორიუნის "მაშტოცის ცხოვრება" (V ს. ჩვენამდე მოღწეული რედაქციები, როგორც ჩანს, მნიშვნელოვნად არის სახეცვლილი):

„შემდეგ იგი (მაშტოცი) გამოეთხოვა მათ (ქართველებს) აღუანქში (ალუანქში) წასასვლელად. წავიდა, გადაიდა მათ ქვეყანაში, მიაღწია სამეფო ადგილს და ნახა ალუანელთა წმიდა ეპისკოპოსი სახელად ერემია და მათი მეფე, რომელსაც სახელად არსვაღ (არსვალ) ერქვა. მათ ყველა აზატთან ერთად მშვიდად მიიღეს იგი ქრისტეს სახელისათვის. შემდეგ, როდესაც ჰკითხეს, მან განუმარტა თავისი მისვლის მიზანი. მათ, ორივემ ერთად, ეპისკოპოსმა და მეფემ, იზრუნეს

მწიგნობრობის მიღებაზე და ბრძანეს თაყიანთი სახელმწიფოს გავარებიდან და ადგილებიდან მწიგნობრობის შესასწავლად ბევრი ბავშვი მოეყვანათ, შეეკრიბათ, მნიშვნელოვან ადგილებში სკოლები გაეხსნათ და მათ შესანახად სარჩო დაენიშნათ. როცა ბრძანება ზუსტად აღესრულა, ამის შემდეგ ნეტარმა ერემია ეპისკოპოსმა იწყო სასწრაფოდ საღმრთო წიგნების თარგმნა, რის გამოც აღუანქის თვალხმული, ველური, ზარმაცი და ნადირი ხალხი წინასწარმეტყველთა, სამოციქულოს და სახარების მცოდნენი გახდნენ და არ დარჩნენ რაიმე საღმრთო გარდამოცემის გარეშე".[55]

მოსე კალანკატუელის "ალბანთა ქვეყნის ისტორია" (VII—X სს):

1. „მათგან, ვინც მწიგნობრობა იცის, [არიან]: ებრაელები, ლათინები, რომელსაც რომაელებიც იყენებენ, ესპანელები, ბერძნები, მიდიელები, სომხები, ალუანები."[56]

2. „იმ დროს, როდესაც ბერძენთა კეისარი იყო თეოდოსი მცირე, სომხეთის მეფე ვრამშაპუჰი, სპარსეთის მეფე იაზკერტი და ალუანქის მეფე არსვაღენი, მოვიდა ალუანქში (ალბანეთში) ნეტარი მესროპი, დიდად ღვაწლმოსილი ჭურჭელი სული წმიდისა, ჩვენ პატრიარქ იერემიასთან და მეფე ესვაღენთან. მათ ნებით იტვირთეს მისი მოძღვრება, რომელიც [მესროპს] ღვთაებრივად მოემადლა სული წმიდის მიერ და მისცა სომხებს და ქართველებს — დამწერლობა, მოიწონეს და მისცეს სწავლაში გამორჩეული ყრმები, მოუხმეს ბენიამინ თარგმანს სიუნიქიდან, რომელიც გამოაგზავნა ჭაბუკმა ვასაკმა ანანია ეპისკოპოსის საშუალებით. მოვიდა ის მესროპთან, მათ შექმნეს დამწერლობა გარგართა ხორხისმიერი, ხშული, მკაცრი და უხეში ენისთვის. [შემდეგ მესროპმა] დატოვა [ალუანქში] ზედამხედველად თავისი მოწაფე იონათანი, სამეფო სახლში განაწესა მღვდლები და დაბრუნდა სომხეთში".[57]

„[ალბანეთის კათალიკოსი ვირო] განსაკუთრებით გაიწვრთნა სპარსული ენიდან თარგმნაში იმ ოცდახუთი წლის განმავლობაში, რომელშიც ხოსროს კარზე იმყოფებოდა."[58]

„ამის შემდეგ ალუანთა ქვეყანა ხაზარებმა დაიპყრეს და ცეცხლს მისცეს ეკლესიები და *აღთქმათა წიგნები* (ძველი და ახალი აღთქმა

— ზ. ა.)".[59]

„ეს რომ ასე მოხდა (ქალკედონიტი კათალიკოსი ნერსე გარდაიცვალა) იმაუე კრებაზე აირჩიეს სიმეონი, კაცი მშვიდი და წმიდა, ხელი დაასხეს ალუანქის პატრიარქად, რომ აღმოეფხვრა ქეყნიდან ნერსეს შფოთი და მისცა შემცდარ ეკლესიას ბევრი სწორი წესი, ბილწი ნერსეს *მწვალებლობით საუსე ნაწერები* ჩაალაგა ზანდუკში და მისცა მდინარე ტრტუს"[60]

შემდგომი ცნობა ალბანურ ენაზე წმინდა წერილების არსებობის შესახებ აქვს VIII ს-ის სომეხ ისტორიკოს — ღევონდს/ლევონდს. მასთან ჩამოთვლილია ის ენები, რომლებზეც არსებობს სახარება და მათ შორის მეთორმეტე ადგილზე დასახლებულია ალბანური:

„ეს არც არის საკვირველი, რომ ძლიერ შორებელნი და სხვაენოვანნი იმდენად არ იცნობენ ჭეშმარიტ გარდამოცემათ, რამდენადაც საჭიროა, თუმცა იგიუე წიგნი — *სახარება* — თვითეულ ენაზე სრულად დაუცავთ, სრულიად უცდომელად. დაუანებოთ თავი ბევრ ენას (იგულისხმება ხალხი — ზ. ა.), რომელთაც ეს საკვირველი და .მაცხოვნებელი ღვთისმეტყველება გაიზიარეს და მხოლოდ ზოგიერთი მოვიხსენიოთ: პირველი ჩვენ — ბერძენთ, მეორე — რომაელთ, მესამე — ებრაელთ, მეოთხე — ქალდეველთ, მეხუთე — ასურელთ, მეექვსე — ეთიოპელთ, მეშვიდე — ინდოელთ, მერვე — თქვენ სარკინოზთ, მეცხრე — სპარსელთ, მეათე — სომეხთ, მეთორმეტე — ქართველთ, მეთორმეტე — ალუანელთ".[61]

ილია აბულაძის არქივში (N374), მითითებულია მატენადარანის N1973 ხელნაწერის (1342 წ.) 202v, რომელშიც სათაურის ქვეშ, თუ „რომელ ხალხს აქვს წიგნი", წერია შემდეგი: Աղուանք ոչ կարդային ունին գիր, այլ առեալ ի Հայոց, որպէս Ասորին և Իսմաելացին ի Հեբրայեցւոցն. „ალუანებს არა ჰქონდათ შექმნილი ანბანი, არამედ აეღოთ სომეხთაგან, ისე როგორც ასურებს და ისმაილიტელთ ებრაელთაგან".

ასეთივე ტექსტები გვხვდება სხვა სომხურ ხელნაწერშიც.[62]

ყველაზე უფრო ზუსტი დოკუმენტური ცნობა ალბანური დამწერლობისა და მწერლობის არსებობის შესახებ გვაქვს დეინის

506 წლის საერთო ამიერკავკასიური კრების მასალებში.

სომხეთის კათალიკოსის ბაბგენის მეორე წერილში სპარსეთში მცხოვრები ქრისტიანებისადმი (დაწერილია 510 წლის ახლოს) ნათქვამია, რომ წერილი დაიწერა „ქართველებთან და ალბანებთან თანხმობით, თვითეული ქვეყნის წიგნით“ (Վրաց եւ Աղուանից միաբանութեամբ, իւրաքանչիւր աշխարհի գրով).[63]

ეს თითქოს ასეთი ნათელი ცნობა, რომლის სხვაგვარი ინტერპრეტაცია შეუძლებელი ჩანდა, მოულოდნელად განსხვაებულად წაიკითხა ე. წ. “ახალი თვალსაზრისის“ ავტორმა ა. მნაცაკანიანმა. მისი აზრით, “თვითეული ქვეყნის წიგნით“ გულისხმობს სპარსეთის სამეფოში მცხოვრებ “სხვადასხვა ეროვნების ქრისტიანებს, რომლებმაც სპარსეთის სამეფო კარის საშუალებით სთხოვეს სომხეთის ეკლესიას, დახმარებოდა.ზოგიერთი დოგმატური საკითხის გარკვევაში. ვინაიდან სომხეთის, ქართლისა და ალბანეთის ეკლესიები ერთ ორგანიზაციას წარმოადგენდნენ, რომელთაც მართავდა სომხური ეკლესია, მიმოწერაში ოფიციალური მხარეები იყვნენ მხოლოდ სომხეთი და სპარსეთი. ამიტომ წერილი უნდა დაწერილიყო მხოლოდ სომხურად და სპარსულად. ა. მნაცაკანიანმა რუსულად განსახილველი წინადადება ასე თარგმნა: “Вам (т.е.проживающим во владениях Персии христианам - А. М.) мы и раньше писали с согласия грузин и агванцев ответ и каждому из вас - на языке его страны”.[64]

მე ძნელად წარმომიდგენია სხვა ასეთი ტენდენციური და პროფესიულად უსუსურად შესრულებული თარგმანი ძველ სომხურ ენაზე დაწერილი ტექსტებისა, როგორიც მოცემულია ა. მნაცაკანიანის მიერ დასახელებულ წიგნებში ქართული და ალბანური ეკლესიების ოფიციალურ ენებად სომხურის გამოსაცხადებლად დოკუმენტების შექმნის მიზნით. ვინაიდან ასეთი თარგმანებისა და კომენტარების ერცელი კრიტიკა მე უკვე მოცემული მაქვს დიდი ხნის წინათ გამოქვეყნებულ სხვა ნაშრომებში, ამჯერად დაინტერესებულ მკითხველს მათზე მხოლოდ მივუთითებ.[65]

ერევნის „მატენადარანისა“ და ანკვირიის კარმირ-ვანქის ხუთმა

ხელნაწერმა შემოინახა სომხური ტექსტი, რომელსაც სათაურად წამძღვარებული აქვს შემდეგი სიტყვები: „წმიდა და ღვთაებრიუი მირონის შესახებ“, რომელიც იპოვეს წმიდა მამებმა აღმოსავლეთში ალბანურ ენაზე და თარგმნეს სომხურად“. მართალია ხელნაწერები გვიანია (XVII-XVIII სს.), მაგრამ არაუითარი ეჭვი არ არის, რომ ტექსტი წარმომაულობით ძალზე ძველია.[66]

სულ ეს იყო, პირდაპირი წერილობითი ცნობები ალბანური დამწერლობისა და მწერლობის არსებობის შესახებ. ირიბ ცნობებზე ვრცლად არ შევჩერდები, მაგრამ მთლიანად მათი გვერდის ავლა, ცხადია, შეუძლებელია.

ირიბ ცნობათაგან ალბათ ღირს მოხსენიება, რომ სომხურმა და ქართულმა ხელნაწერებმა შემოინახეს ალბანური კალენდრის თვეთა სახელწოდებანი. ქართული ხელნაწერების მიხედვით, ესენია:

ნავასართუნ, ტულენ, ნამუც, ცილე, ბაკაიონ, მარე, აჭუკინე, ნაკულიონ, ბუნტოკე, ეორსილიონ, იეხან, ხებნა.

როგორც ქართულში, ისე განსაკუთრებით სომხურში ამ სახელებს მრავალი ვარიანტი აქვს. მათი შესწავლა ჯერ კიდევ მარი ბროსედან იწყება, ხოლო განსაკუთრებით შედეგიანი იყო ა. შანიძის გამოკვლევა.[67] დღემდე ალბანური კალენდარი არის ერთურთი მთავარი საყრდენი ალბანური ენის უდიურთან დასაკავშირებლად.[68] მე მგონია, რომ იგივე კალენდარი უნდა ჩაითვალოს დოკუმენტურ მოწმობად ალბანური მწერლობის არსებობისა. სხვაგვარად შეუძლებელია ალბანური ხალხური კალენდარი გვიან შუასაუკუნეებამდე შემოენახა კავკასიურ წერილობით ტრადიციას.

დოკუმენტები ალბანური დამწერლობისა და მწერლობის შესახებ

XIX ს-ის 30-იანი წლებიდან მიმდინარეობს ძიება დაკარგული ალბანური მწერლობისა. ამ ხნის მანძილზე ბევრჯერ გამოცხადდა სენსაციური ცნობა ალბანური ხელნაწერი ტექსტების ან ეპიგრაფიკული ძეგლების აღმოჩენის შესახებ (მათ შორის

საქართველოს ტერიტორიაზეც) და ყველა შემთხვევაში სენსაცია ნაადრევი აღმოჩნდა: ტექსტები იყო შესრულებული სომხური ან ბერძნული დამწერლობის მაშინ უცნობი სახეობით, ან წარმოადგენდა კრიპტოგრამას. ზოგჯერ მათ ძველადვე მიწერილიც ჰქონდათ, რომ შესრულებული იყვნენ ალბანური დამწერლობით[69].

როდესაც ალბანური დამწერლობის რაიმე ნიმუშის აღმოჩენის იმედი უკვე გადაწურული იყო, ილ. აბულაძემ ეჩმიაძინის (დღეს „მატენადარანის") ხელნაწერებს შორის აღმოაჩინა სომხური ენის გრამატიკის სახელმძღვანელო, რომელშიც ბერძნულ, ლათინურ, ქართულ, სირიულ, კოპტურ და არაბულ ანბანებთან ერთად მოცემული იყო ალბანურიც[70] (იხ. დანართი, სურათი 4).

ალბანური ანბანის აღმოჩენით გამოწვეული ეფექტი იმდენად ძლიერი იყო, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში აღმოჩენის თარიღიც კი ზუსტად დაფიქსირდა — 1937 წლის 28 სექტემბერი. ეს თარიღი მიჩნეულია „კავკასიის ალბანური ფილოლოგიისა და კავკასიის ალბანური ენათმეცნიერების დაბადების დღედ".

გამოჩენილმა სომეხმა მეცნიერმა ჰრ. აჭარიანმა სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ფილიალის „მოამბეში" ილია აბულაძის აღმოჩენასთან დაკავშირებით ასეთი სიტყვებიც კი დაბეჭდა:

"დაუვიწყარი დიდებისა და პატივის ღირსი გახდა ახალგაზრდა ქართველი მეცნიერი აბულაძე, რომელმაც 1937 წლის სექტემბრის 28-ს ეჩმიაძინის ხელნაწერებს შორის ალბანური ანბანი აღმოაჩინაო".

როგორც ჩანს, მაშინვე გამოჩნდნენ მეცნიერები, რომლებმაც ეჭვი შეიტანეს ი. აბულაძის მიერ აღმოჩენილი ანბანის აუთენტურობაში. მათი ეჭვები იმავე ნაშრომში ჰრ. აჭარიანმა შეადარა ხანგრძლივად სიბნელეში მყოფი ადამიანის უეცრად სინათლეზე გამოსვლას.[71]

ილ. აბულაძეს ახლადაღმოჩენილი ანბანი თვითონ არ გამოუკვლევია. მან მხოლოდ მისი აღმოჩენის შესახებ გამოაქვეყნა ცნობა და შესასწავლად თავის მასწავლებელს ა. შანიძეს გადასცა.

ა. შანიძის გამოკვლევის მთავარი პათოსი იყო იმის დამტკიცება, რომ ანბანი ნამდვილად ალბანურია, ძირითადად იგი სწორი უნდა იყოს, ხოლო მასში მოცემულ ბგერათსისტემას ლეზგიურ (ლაკურ)

ენათა ჯგუფის წარმომადგენლის უდიური ენის ბგერათსისტემა უნდა შეესაბამებოდეს. შეიძლება ითქვას, რომ მთელმა შემდგომი ხანის კვლევა-ძიებამ, მიუხედავად ცალკეული ეჭვებისა (ამაზე ცოტა ქვემოთ) ეს სამი დებულება სრულიად ვერ შეარყია.

ანბანის აღმოჩენა თითქოს სიგნალი გახდა მომდევნო მოვლენებისათვის. ამის შემდეგ კიდევ აღმოჩნდა ხელნაწერი (კალიფორნიაში) ალბანური ანბანით, მაგრამ იგი გამოდგა ილ. აბულაძის მიერ აღმოჩენილი XV ს-ის ხელნაწერის ასლი (XVI ს-ისა).

ხელნაწერებში მოცემული ანბანის ლინგვისტურ შესწავლაში სულ მალე ჩაერთვნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გამოჩენილი მეცნიერები[72].

ალბანოლოგიის განვითარებას ახალი იმპულსი მისცა 1948-1952 წლებში აზერბაიჯანისა და დაღესტნის ტერიტორიაზე რამდენიმე ლაპიდარული წარწერისა და გრაფიტის აღმოჩენამ, რომელთა ერთობლიობასაც დღეს პირობითად ალბანურ წარწერათა კორპუსს უწოდებენ.

არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა დაბადა ილუზია იმისა, რომ ალბანური ტექსტები ადვილად გაიშიფრებოდა, ვინაიდან საკარაუდოდ ცნობილი იყო ენა, რომლის საფუძველზეც ძიება უნდა წარმართულიყო და ცნობილი იყო ანბანი, რომელსაც ქვეშ მიწერილი ჰქონდა თავისი ფონეტიკური მნიშვნელობები. წარწერების გაშიფრვაში მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს ბევრი ქვეყნის სპეციალისტმა.

სამწუხაროდ, დღეს უკვე უმრავლესობისათვის ცხადია, რომ მიუხედავად მცირე წარმატებებისა, ალბანურ წარწერათა გაშიფრვის ცდები არსებითად ჩიხში მოექცა. თავისი წინაპრის მიერ მიღებული კონკრეტული შედეგები ფაქტიურად არ გაიზიარა არც ერთმა მომდევნო სპეციალისტმა და ყველამ ყველაფერი თავიდან დაიწყო.

რა იყო ჩიხის მიზეზები?

ალბანური ანბანი სომხურ ხელნაწერებში

1956 წელს ამერიკელმა არმენოლოგმა ა. ქურდიანმა გამოაქვეყნა ცნობა მის მიერ 1953 წელს შეძენილი ხელნაწერის შესახებ, რომელშიც მოცემულია ალბანური ანბანი.[73] ეს არის 1580 წელს ბრდაძორში გადაწერილი და 1621 წელს მინიატურებით შემკობილი ხელნაწერი. მართალია, ა. ქურდიანის ხელნაწერი განსხვავებებს იძლევა „მატენადარანის“ ხელნაწერთან, მაგრამ სპეციალისტებისათვის თავიდანვე ცხადი იყო, რომ იგი დამოუკიდებელ წყაროს არ წარმოადგენს და მომდინარეობს XV ს-ის სომხური ხელნაწერიდან. განსხვავებები კი (როგორც გრაფიკაში, ისე გრაფემათა სახელდებაში) მხოლოდ გადამწერის შეცდომების ნაყოფია.

ა. ქურდიანის ხელნაწერში ორი მნიშვნელოვანი განსხვავება იყო მატენადარანის ხელნაწერთან შედარებით: (11) “ჲუდ“-ის ნაცვლად მასში წერია “შუდ“, ხოლო (33) “შაქ“-ის ნაცვლად “ჩაქ“.[74] აქამდე ამის თქმა დარწმუნებით ძნელი იყო, მაგრამ სინური პალიმფსესტის აღმოჩენის შემდეგ უკვე სრულიად ცხადია, რომ ა. ქურდიანის ხელნაწერში ორივე შემთხვევაში დაშვებულია შეცდომა (იხ. ქვემოთ თავი “გრაფემათა იდენტიფიკაცია და მათი ფონემური მნიშვნელობა“)

როგორც ა. შანიძე აღნიშნავდა, ა. ქურდიანის ხელნაწერის აღმოჩენა მაინც მნიშვნელოვანი ფაქტია მეცნიერებისათვის. იგი ადასტურებს ანბანთა მრავალგზისი გადაწერის ფაქტს და იმასაც უჩვენებს, თუ როგორ სცილდებოდა ალბანური ანბანის მოხაზულობა საუარაუდო დედანს, ყოველი ასეთი გადაწერის შემდეგ[75].

ამრიგად, ალბანური ანბანის შესახებ მსჯელობისას ამოსავალია მაინც „მატენადარანის“ N7117 ხელნაწერი და სპეციალისტები ასეც იქცევიან.

ეს ხელნაწერი დეტალურად არის აღწერილი ა. შანიძისა და ი. აბულაძის მიერ. მისი მინაწერები საკმაოდ ზუსტად ათარიღებენ ხელნაწერს და უჩვენებენ მის ისტორიას.

N7117-ის დედანი ჩამოტანილია სომხეთში ყირიმიდან (თეოდოსიიდან) ვინმე განდეგილი ბერის კირაკოსის მიერ მეწოფის

მონასტერში. მონასტრის წინამძღვარს, ისტორიკოსებისათვის კარგად ცნობილ თომა მეწოფელს, მისთვის რედაქცია გაუკეთებია და გადაუცია გადასაწერად თავისი მოწაფისათვის, თომა არჯეველისათვის. ანდერძ-მინაწერს თარიღი არა აქვს, რაც საკმაოდ უჩვეულოა სომხური მოსახსენებლებისთვის, მაგრამ თომას მეწოფის მონასტრის წინამძღვრობის წლები კარგად არის ცნობილი, ამიტომ ადვილად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხელნაწერი გადაწერილია 1411—1446 წლებში.

როდესაც ა. შანიძე აღნიშნულ ხელნაწერს სწავლობდა, მისთვის მთავარი ამოცანა იყო, დაესაბუთებინა, რომ ანბანი ნამდვილად ალბანურია და ეს არც ისე იოლი საქმე იყო. სკეპტიკოსები მაშინაც საკმაოდ იყვნენ და შემდეგაც.

მაგალითად, ლ. მელიქსეთ-ბეგს ბოლომდე არა სჯეროდა, რომ ანბანი ნამდვილია და იგი ალბანურია. მას წარწერათა კორპუსის აღმოჩენის შემდეგაც კი არ შეუცვლია თავისი აზრი და შეუძლებლად მიაჩნდა მაშინდელი გრაფიკული და ფონოლოგიური აზროვნებისათვის 52 გრაფემიანი ანბანის შექმნა.[76]

სომხურ ხელნაწერში ალბანური ანბანი გადაწერილია რამდენჯერმე (სულ მცირე ორჯერ) ისეთი გადამწერების მიერ, რომელთაც არ იციან ის დამწერლობა, რომელსაც იწერენ:

ზოგჯერ დაშვებულია შეცდომები მოხაზულობებში, ალბანური გრაფემები მიმსგავსებულია გადამწერისთვის ცნობილი სომხური გრაფემებისათვის (ასეეა ქართული ანბანის მიმართ), ამიტომ არის ანბანისა და წარწერათა კორპუსის გრაფემების იდენტიფიკაცია გაძნელებული და ზოგ შემთხვევაში შეუძლებელიც.

ანბანში გრაფემათა ფონემური მნიშვნელობა ზოგჯერ შეცდომით აქვს გადამწერს გადმოღებული. ანალოგიური შეცდომები აქვს დაშვებული ქართულისა და ბერძნულის მიმართაც, რომელთა გაკონტროლება ადვილად შეგვიძლია: მაგალითად, ბერძნული Δελτα (დელტა)-ს მაგიერ გვაქვს ելտա (ელტა), ο (ო)-ს მიწერილი აქვს ფონეტიკურ მნიშვნელობად ու (უ), ε (ე)-ს Ի (ი); ქართულ ჲ (ჱ)-ს მიწერილი აქვს խե (ხე), ჶ (ჴ, წილ)-ს ժիլ (ჟილ, ანუ ჟ), Ꭓ (ხ, ხან)-ს

ախაა (ახა ანუ ა) და ა.შ.

ალბანური ანბანის ფონემური მნიშვნელობა ხელნაწერში გადმოცემულია სომხური ფონეტიკის საფუძველზე, რაც, ცხადია, დიდ დაცილებას იძლევა, ვინაიდან სომხურის 36 გრაფემას (ფონემას) არ შეუძლია გადმოსცეს ალბანურის 52 გრაფემა (ფონემა).

ალბანურ წარწერათა კორპუსის უმეტესი ნაწილი გრაფიტებია, რომლებშიც ასოთა მოხაზულობა დიდად არის დამოკიდებული მასალასა, ავტორის მწიგნობრულ მომზადებასა და მის ინდივიდუალურ ხელზე.

წარწერათა კორპუსში ალბანური ანბანის სავარაუდო 52 გრაფემიდან სულ დადასტურებულია 32 გრაფემა.

დღემდე არა გვქონდა საკმარისად დიდი მოცულობის გაბმული ტექსტი, რომელიც მოგვცემდა სხვადასხვა მონაცემებით კომბინირების საშუალებას; არ შეგვეძლო ვყოფილიყავით სრულიად დარწმუნებული, რომ ალბანური წარწერები უდიური ენის საშუალებით უნდა გაიშიფროს, ვინაიდან წყაროებში ლაპარაკია არა უდიური ენის, არამედ გარგარულის შესახებ; სრულიად არავითარი ეჭვი არ იყო იმაში, რომ თვითონ უდიური ენაც, რომელსაც დღეს სულ რამდენიმე ათასი კაცი ფლობს, ალბათ ძალიან არის დაშორებულია ძველ ალბანურს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია განსხვავება უდიური ენის კვლევისას და ტექსტების ჩაწერისას სხვადასხვა ავტორის მიერ მისი ფონოლოგიური სისტემის შეფასებაში. რიგი ბგერა ზოგი სპეციალისტისათვის არ არის ფონემური ღირებულების მქონე და, შესაძლოა, არის სხვა ფონემათა კომბინატორული ან ფაკულტატური ვარიანტი. ამასთანავე, ცხადია, ჩვენ ჯერ არ ვიცით, რა პრინციპებით ხელმძღვანელობდა ფონემათა გამოყოფისას ალბანური ანბანის შემოქმედი და როგორ დაემთხვევა მისი პრინციპები თანამედროვე ლინგვისტთა მიდგომას.

ყველა ეს სიძნელე ცხადი გახდა ალბანური წარწერების გაშიფრვის უნაყოფო ცდების პროცესში.

პირველი, ვინც ალბანურ წარწერათა კორპუსის აღმოჩენის შემდეგ დააფიქსირა, რომ ხელნაწერში შემონახული ანბანი ვერ ითამაშებდა

გასაღების როლს, ხოლო წარწერათა კორპუსი დამოუკიდებლად საკმარისი არ იყო მათ გასაშიფრად, იყო კვლავ ა. შანიძე.[77] დამახასიათებელია, რომ ამის შემდეგ მას თვითონ წარწერათა გაშიფრვის ცდაც აღარა ჰქონია, რადგან, უეჭველია, ასეთი ცდები უკვე უნაყოფოდ მიაჩნდა. მისი ძალიან ზუსტი შეფასებით, ეს იგივე იქნებოდა, რომ ამავე ხელნაწერის ქართული ანბანით გვეცადა ბოლნისის სიონის წარწერის წაკითხვა, სხვა ცოდნა ქართული დამწერლობის შესახებ რომ არა გექონოდა.

სწორი იყო, აგრეთვე, გ. კლიმოვი, როდესაც წერდა: "Таким образом, тайна агванского письма остается в значительной степени неразгаданной. Дальнейший прогресс в его дешифровке прежде всего будет зависеть от прироста нового материала".

მე მინდა რამდენიმე შენიშვნა გავაკეთო სომხურ ხელნაწერში მოცემული ალბანური ანბანის შესახებ.

არავის, დღემდე, არ მიუქცევია ყურადღება, რომ სომხურ ხელნაწერში ალბანური ანბანის ქვეშ სომხურად მიწერილ მნიშვნელობებს ბევრ შემთხვევაში დასმული აქვთ მახვილის ნიშნები. ეს ნიშნები ჩვეულებრივ გვაქვს ხმოვნების თავზე, მაგრამ ორ შემთხვევაში დასმულია თანხმოვნების, კერძოდ „რ"-ს(ი) და „ჯ"-(ւ)-ს თავზეც, თუმცა აშკარაა, რომ ამ შემთხვევებში საქმე გვაქვს მექანიკურ შეცდომასთან. მახვილიანებია: *ძა ჟა, ხუჲ ირძ, Շა შა, ხէն ხՁՆ, Ճատ ჭარრ, Կար კარ, Լիւ ლიტ, Մակ მაკ, Կարր კარრ, Ջայ ჯაձ, Ջայն ჯაձն(?), Մաւքայ, Քիւ ქიჯ.*

რას უნდა აღნიშნავდეს ეს მახვილები?

თუ სადმე სამართალია, ასეთი მახვილები უნდა ყოფილიყო ბერძნულ ანბანში, მაგრამ იქ არც ერთი შემთხვევა არა გვაქვს მახვილის ხმარებისა, სამაგიეროდ გვხვდება კოპტურსა (11 შემთხვევა) და ქართულში (2 შემთხვევა).

ქართული ანბანის სომხურად მოცემულ განმარტებებში ასეთი სურათია: მახვილი დასმულია Სარ "ნარ"-ისა და Ռա "რა"-ს თავზე. "რ"-აეს ახსნა როგორღაც კიდევ შეიძლებოდა, ვინაიდან სომხურს აქვს ორი „რ" — ე.წ. „ფაფუკი" ր (რ) და „კოშტი" ռ (რრ). იმ

განსხვავებას, რომელიც ნამდვილად არის ქართულსა და სომხურ ანბანებს შორის, სახელმძღვანელოს ავტორი ვერ ხედავს. ასეთად მას უნდა მიეჩნია „ყ“, მაგრამ იგი მისთვის არის „ღ“ (“ღან“) და არა „ყ“. სამაგიეროდ „ღ“ არის „ხ“ (“ხა“). რომ არ იყოს მახვილის ნიშანი დასმული „ნ-არის“ თავზეც, მკითხველს შეეთავაზებდი ასეთ ჰიპოტეზას:

სახელმძღვანელოს ავტორი სპეციალურ (დიაკრიტიკულ) ნიშნებს სვამს იმ ფონემათა თავზე, რომლებიც განსხვავებულად მიაჩნია სომხურსა და ქართულში.

მე მინდა ასეთივე სამუშაო ჰიპოტეზა წამოვაყენო ალბანური ანბანის მიმართაც, თუმცა სომხურ სახელმძღვანელოში გადაწერათა პროცესში იმდენი შეცდომაა დაშვებული, რომ შეცდომები შეიძლება გექონდეს გადამწერისათვის ამ გაუგებარი ნიშნების დასმის შემთხვევაშიც.

თუ მახვილებიან ფონემებს (ფრჩხილებში ჩასმული ციფრი მიუთითებს გრაფემის ადგილს ანბანურ რიგში) დავალაგებთ მათ იდენტურ, მაგრამ უმახვილო ფონემებთან ერთად, მივიღებთ შემდეგ სურათს:

(1) ალთ (უმახვილო ა) — (35) არ (მახვილიანი ა), (8) ჟილ (უმახვილო) — (12) ჟა (მახვილიანი ჟ), (10) ჭა (მახვილიანი ჭ) — (19) ჭარრ (მახვილიანი ჭ) — ჭი (უმახვილო ჭ), (13) ირბ (მახვილიანი ი) — (16) ინა (უმახვილო ი), (14) შა (მახვილიანი შ) — (33) შაქ (უმახვილო შ), (15) ლან (უმახვილო ლ) — (22) ლიტ (მახვილიანი ლ), (17) ხჽნ (მახვილიანი ხ) — (37) ხამ (უმახვილო ხ), (21) კარ (მახვილიანი კ) — (30) კარრ (უმახვილო? კ), (29) მაკ, (32) ჯაჲ (მახვილიანი ჯ) — (34) ჯაჲნ (უმახვილო ჯ), (26) ცოჲ (მახვილიანი ც) — (49) ცაჲნ (უმახვილო ც).

როგორია სტატისტიკა ამ შეპირისპირებისა?

როგორც ვხედავთ, მოტანილი 10 შემთხვევიდან უკლებლივ ყველას, რომლებიც ერთნაირი ფონემით არის აღნიშნული და ამ ფონემით დაწყებული (ანბანში ფონემის აღმნიშვნელი ასო გადმოცემულია წითელი ფერით) სხვადასხვა სახელი აქვს,

ერთმანეთისაგან განასხვავებს მახვილი. ცხადია, საქმე გვაქვს დიაკრიტიკულ ნიშნებთან და სომეხმა მწერალმა იცის, რომ ერთი და იმავე ფონემით გამოხატავს ერთი ჯგუფის, მაგრამ მაინც სხვადასხვა, ფონემას. ამიტომ მათი ერთმანეთისაგან განსასხვავებლად იყენებს დიაკრიტიკულ ნიშანს მახვილის სახით. როგორც ჩანს, ამით იგი მიუთითებს მახვილის ქვეშ მყოფი ფონემის მეტ ინტენსიურობაზე უმახვილოსთან შედარებით. მხოლოდ აქვე მინდა შევნიშნო, რომ სამი ჭ-დან ერთს — (10) ჭა — სინური პალიმფსესტი საერთოდ არ იცნობს.

მაგრამ სომხურ ხელნაწერში შემონახული ალბანური ანბანის სომხურ ენაზე მიწერილ ფონეტიკურ განმარტებებში, მახვილის თვალსაზრისით, არის გამონაკლისებიც, ანუ გვაქვს ისეთი წყვილები და სამეულიც კი, რომელთაგან არც ერთს არა აქვს მახვილი:

(3) ზიმ (უმახვილო ზ) — (6) ზარრლ (უმახვილო ზ) — (20) ზოხ (უმახვილო ზ), (23) ჰეტ (უმახვილო ჰ) — (24) ჰაჲ (უმახვილო ჰ), (28) ჩაჲ (უმახვილო ჩ) — (29) ჩატ (უმახვილო ჩ), (41) ფწს — (51) ფიჯრ, (43) სეკ (უმახვილო ს) — (46) სოჲ (უმახვილო ს).

როგორ შეიძლება აიხსნას ეს ოთხი გამონაკლისი სინური პალიმფსესტის გათვალისწინებით?

საქმე ის არის, რომ (3) ზიმ ანბანში მცდარად აქვს მიწერილი გრაფემას, რომელიც არის გიმ (გ), ხოლო (6) ზარრლ-ისა და (20) ზოხ-ის განმასხვავებელ ნიშნად სახელმძღვანელოს შემდგენელი იყენებს კოშტ რ-ს (ռ რრ). ზუსტად ასე იქცევა იგი, როდესაც უნდა განასხვაოს ერთმანეთისგან კ (კარ) და ყ (კარრ), ვინაიდან სომხურს არა აქვს ყ ფონემა.

ორი უმახვილო ჰ-ს (ჰჱტ და ჰაჲ) შემთხვევაში ასევე დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ (24) ჰაჲ სინურ პალიმფსესტში არ არის დადასტურებული და, ცხადია, ანბანში რაღაც შეცდომაა დაშვებული.

ანალოგიური შემთხვევა გვაქვს ორი უმახვილო ჩ-ს შემთხვევაშიც. (28) ჩაჲ-ს შესატყვისი სინურ პალიმფსესტში სერიოზული ძალდატანებით იძებნება, მაგრამ (39) ჩატ-ის შესატყვისი არა დასტურდება.

ასევე, ორი უმახვილო ფ-დან ალბანურ პალიმფსესტში არა

გვხვდება (41) ფშს, ამიტომ არა გვაქვს უფლება, ვილაპარაკოთ მათი წყვილობის შესახებ.

გამონაკლისი შემთხვევებიდან დარჩა მხოლოდ ორი ს — (43) სშკ და (46) სოდ — რომლებსაც არა აქვს დიაკრიტიკული ნიშანი (მახვილი) და ორივე არის დადასტურებული სინურ პალიმფსესტში. (43) სშკ ჩ რომ ნამდვილად ს ფონემას აღნიშნავს, სინური პალიმფსესტის შესწავლის შემდეგ უკვე სრულიად ცხადია (მაგალითად: ᎫᏕᏁᎫᏂᏦᎯ ეკლესია, ᏂᎯ სა — ერთი და ა. შ.), მაგრამ (46) სოდ ᵹ სინურ პალიმფსესტში ჯერ კიდევ არ არის მოძებნილი ისეთ სიტყვაში, რომელიც უეჭველად დაადასტურებდა მის ფონემურ ღირებულებას. ამიტომ გამონაკლისად მისი მიჩნევა ნაადრევი იქნებოდა.

ანბანის მიხედვით, ოთხ ხმოვანსა და ცხრა თანხმოვანს (სულ ცამეტ გრაფემას (ფონემას) არა აქვს შესატყვისი და ცალად არის დარჩენილი. ბუნებრივი იყო გვეფარაუდა, რომ მათ დიაკრიტიკული ნიშნები არ დასჭირდებოდათ. მაგრამ გამონაკლისები აქაც არის: (29) მაკ (მახვილიანი მ), (48) წაჯ (მახვილიანი წ) და (52) ქიჯ (მახვილიანი ქ). ამათგან (48) წაჯ სინურ პალიმფსესტში არა ჩანს, ამიტომ მას ამ შემთხვევაში არ განვიხილავთ. რაც შეეხება (29) მაკ-ს და (52) ქიჯ-ს ისინი სინურ პალიმფსესტში ხშირად გვხვდება (თუმცა პალიფსესტისა და ანბანის ქ-ს შორის მოხაზულობით მნიშვნელოვანი განსხვავებაა) და ნამდვილად ისე ჟღერენ ფონეტიკურად, როგორც ეს მოცემულია ანბანში (ᏓᏬᏘᎾᏂ მათეოს — მათე, ᏇᏗᏬᏇ ქალაქ — ქალაქი).

რათა სრული წარმოდგენა გექონდეს საკითხზე, მინდა აქვე აღვნიშნო, რომ მახვილები დასმულია ყველაენოვან ტექსტში (ლოცვებში), რომლებიც დართული აქვს ანბანებს საილუსტრაციოდ, მაგრამ ამ შემთხვევებში უკვე ნამდვილად საქმე გვაქვს უმეტესად სწორად დასმულ მახვილებთან. ესენია სომხური ასოებით ჩაწერილი ლოცვების ნიმუშები ბერძნულ, ქართულ, სირიულ, სპარსულ, არაბულ, ქურთულ და თურქულ ენებზე.

აქვე საინტერესოა აღინიშნოს, რომ ტექსტები ჩაწერილი უნდა იყოს მაშინ, როდესაც ალბანური ენა და მწერლობა პრაქტიკულად

აღარ არსებობდა და აღარავინ იყო ისეთი, ვინც შემდგენლებს ჩააწერინებდა ალბანურ ენაზე თუნდაც სომხური ასოებით, მაგალითად, „სამწმიდა გალობას“ ან „დიდებას მამისა და ძის მიმართ“.

ჰრ. აჭარიანის მტკიცებით, ეს ასოები ფორმით IX-XI სს-ს უნდა მიეკუთვნონ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „სამწმიდა გალობა“ ქართულ ენაზე ჩაწერილია მონოფიზიტური რედაქციით, მაგრამ არა მწიგნობრული წყაროდან, არამედ ვიღაცის მიერ ზეპირად ნათქვამი:

“წმინდაო ღმერთო, წმინდაო ძრიელო, წმინდაო უკდაო, რომ ჯუარს ეცი ჩუენთინ, შეგუიწყალე ჩუჱნ“.

არც სომხურ ასოთა ფორმა, არც მოტანილი ციტატა მე პირადად არ მაძლევს უფლებას გაუზიარო ჰრ. აჭარიანის მიერ ლოცვათათვის ასეთი ადრინდელი თარიღის განსაზღვრა (თუმცა სხვა ადგილზე იგი მხოლოდ XI ს-საც ასახელებს).

ვფიქრობ, საკუთრივ ანბანების დედნის დათარიღება ა. შანიძის მიერ დაახლოებით X ს-ის დასასრულით და XI ს-ის დასაწყისით ზოგადად გასაზიარებელი უნდა იყოს, მაგრამ ეს არ უნდა ეხებოდეს ლოცვების თარიღს. ჩემთვის უფრო მისაღებია ა. შანიძის მიერ შედარებით გვიან დაწერილ ნაშრომში მოცემული თარიღი: IX-X სს.

ქვემოთ მე შევეცდები დავასაბუთო, რომ სომხურ ხელნაწერში მოცემული ალბანური ანბანი IX ს-ზე გვიანდელი არ უნდა იყოს.

ამ 60 წლის წინ ა. შანიძე წერდა (ცოტა მოგვიანებით იგივე იმედი გამოთქვა ჟ. დიუმეზილმაც):

“იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სპეციალური ძიებისა და არქეოლოგიური გათხრების საშუალებით აზერბაიჯანში (უპირველეს ყოვლისა ბარდჟის მიმდგომ კუთხეებში) აღმოჩნდება წარწერების სახით ალბანური ტექსტები, რომელთა წასაკითხავად გასაღები ნაპოვნია. ამას გარდა არ არის გამორიცხული ისიც, რომ ოდესმე, სადმე, რომელსამე ბიბლიოთეკაში პალიმფსესტებს შორის აღმოჩნდეს ხელნაწერთა ფრაგმენტები ალბანურ ენაზე“.[78]

ამ სიტყვების დაწერიდან ზუსტად 10 წლის თავზე გამართლდა პირველი იმედი, ხოლო მისი დაწერიდან 60 წლისთავზე — მეორე.

მინგეჩაურის გათხრების დროს აღმოჩენილი წარწერები

ესენია: ჯვრის პოსტამენტის წარწერა; გრაფიტები ორ შანდალზე და გრაფიტები კრამიტებზე. შემორჩენილია, აგრეთვე, დერბენდის კედლიდან XIX ს-ის ბოლოს გადმოხატული პატარა წარწერა. არსებობს ზეპირი ცნობა, რომ ალბანეთის ძველი დედაქალაქიდან — კაბალადან 1906 წელს გატანილია ექვსსტრიქონიანი ალბანური წარწერა, მაგრამ ამ წარწერის მიგნება ან თვითონ ცნობის სისწორის შემოწმება დღეს შეუძლებელია.

დასახელებულ წარწერებში გამოყენებული გრაფემების საერთო რაოდენობა არის დაახლოებით 200-მდე და თარიღდება არქეოლოგების მიერ VI-IX სს-ით (ასახელებენ VI-VIII სს-საც).

დაღესტანში აღმოჩენილ სტელას ალბანური ანბანით სპეციალისტები სამართლიანად ეჭვით უყურებენ, ვინაიდან იგი აბსოლუტურად ზუსტი ასლია სომხურ ხელნაწერებში მოცემული ანბანისა.

ჯვრის პოსტამენტის წარწერა

აღმოჩნდა 1948 წელს მტკვრის მარცხენა ნაპირზე ქ. სუდაგილანში VII საუკუნის ტაძრის ნანგრევების გათხრისას. პოსტამენტს წარწერა ოთხივე მხრიე უვლის გარს. წარწერაში გრაფემების საერთო რაოდენობაა 70. წარწერას სპეციალისტები სხვადასხვანაირად კითხულობენ და თარგმნიან.

ა.აბრამიანის თარგმანი:

"ჰერაკლეს [მეფობის] ოცდამეათე [წელს] აღემართა ტაძარი წმიდა ეღიშეს [სახელზე] . . . ეპისკოპოს ობელის მოსახსენებლად".[79]

გ. კლიმოვის თარგმანი:

". 23-ე წელს ხოსროსი ."[80]

ს. მურაჟიოვის თარგმანი:

"ეს სამსხვერპლო (სიტყვა-სიტყვით: სისხლიანი[?] ფილა[?])

აღმართა (?) იოკოპ მღვდელმა, ტომით უდიმ, ძელისათვის (ანუ ჯვარისთვის) . [81]

ვ. შულცეს თარგმანის თავისუფალი გადმოცემა:

"კეისარ პიპეს (ფილიპეს) 27-ე წელს პოსტამენტი(?) .გააკეთა .

იოანე ეპისკოპოს(ს) გაუკეთა ."[82]

მართალია, წინამდებარე ნაშრომი მიზნად არ ისახავს მინგეჩაურის წარწერების შესწავლას, მაგრამ ახალი მონაცემების საფუძველზე წინასწარ მაინც შეიძლება ითქვას, რომ ჯვრის პოსტამენტის წარწერის ყველაზე უკეთესი წაკითხვა მოცემული აქვს გ. კლიმოვს. გავაკეთებ მხოლოდ ორ შენიშვნას:

1. ანთროპონიმ *ბოსროს* პირველი გრაფემა "ხ", რომელიც ცუდად იკითხება, მას აღდგენილი აქვს ანბანის მიხედვით — Ч. სინამდვილეში წარწერაში დაფიქსირებულია ის Ꭶ ხ, რომელიც არ არის დადასტურებული ანბანში, მაგრამ გვაქვს ალბანურ ხელნაწერში.

2. მეორე შენიშვნა ეხება წარწერის შესრულების თარიღს. 1967 წელს გ. კლიმოვმა იგი ხოსრო I-ის 23-ე წლით დაათარიღა და მიიღო 554 წელი. 1972 წელს იგი უკვე ეჭვს გამოთქვამს, წარწერაში ხოსრო I-ის ზეობის შესახებ არის ლაპარაკი, თუ ხოსრო II-ესი, ხოლო წელი უნდა განისაზღვროს 23-ეთი, თუ 27-ეთი.

მე ვფიქრობ, რომ წარწერაში ლაპარაკია ხოსრო I-ის შესახებ, ხოლო თარიღი (ამას კიდევ უნდა მუშაობა) უნდა იყოს 27-ე წელი. ასეთ შემთხვევაში წარწერის შესრულების თარიღი იქნება 558 წელი. ეს თარიღი ძალიან ახლოს არის სპარსელთა მიერ კლასურის კედლის აშენების თარიღთან.[83]

წარწერა N1 თიხის შანდალზე

შანდალს არქეოლოგიურად V-VII სს-ით ათარიღებენ.

მას აქვს ოთხი მხარე და წარწერას ოთხივე მხარე უკავია. ყველა მეცნიერი თვლის, რომ წარწერა უნდა წაკითხულ იქნას გაბმულად, მაგრამ ამ თვალსაზრისით მხარეებს ყველა სხვადასხვაგვარად ალაგებს. ამიტომ (და არა მარტო ამიტომ) სხვადასხვა ავტორის გაშიფრვასა და თარგმანს შორის საერთო არაფერია.

ა. აბრამიანის თარგმანი:

"ღმერთმა შეუნდოს ცოდვები უნარჩევეს ჩახარეს [და] გაანათლოს მისი სული".

გ. კლიმოვი მხოლოდ ალაგებს წარწერას, მაგრამ მის თარგმანს არ იძლევა.

ს. მურავიოვის თარგმანი შესრულებულია გ. კლიმოვის დალაგების მიხედვით:

"მე, იობი, უფალო იესუ, შენი ხატისათვის (ან ხატებისათვის) (?) შემოწირვის გამო მომიხსენე".

ვ. შულცეს თარგმანი:

"უფალო იესუ, გმადლობთ

წარწერა N2 შანდალზე.

ა. აბრამიანის თარგმანი:

"მიეტეეოს ცოდვები გიუტს".

გ. კლიმოვმა შენიშნა, რომ ამ შანდალზე მოცემულია ალბანური ანბანის ნაწილი. ეს შეხედულება გაიზიარეს ს. მურავიოვმა და ვ. შულცემ.

წარწერა N3 შანდალზე

ა. აბრამიანის თარგმანი:

"მე, უვიცი

ს. მურაყიოყის თარგმანი:
"მე, ნათელღებული (ანუ ქრისტიანი)".
ვ. შულცეს თარგმანი:
მე, ?

წარწერები N4 შანდალის ფრაგმენტებზე

ა. აბრამიანის თარგმანი:

1. "მე ცოდვილი მომაკედაჟი ." მისი აზრით, შანდალი შეწირულია ტაძრისათვის მომაკვდავი ავადმყოფის განკურნების ვედრებით.

2. "ხსნა უვიცისა".

ს. მურაყიოყის თარგმანი:

მე, ვასალი, უ[ზენაესო] მომიხსენე ? [. (მისმინე, ? იესუს დედაჟ .]

წარწერა N1 კრამიტის ნატეხზე

ა. აბრამიანი კითხულობს მხოლოდ ცალკეულ სიტყვებს. მათი თარგმანი:

"მე", "ღ(მერთ)ი".

ს. მურაყიოყის თარგმანი:

"მე, მუსამ, შემოუზღუდე ქვით (ან დაყასრულე ქვის)

ვ. შულცეს თარგმანი:

"მე ." დანარჩენი პრობლემურია.

წარწერა N4 კრამიტის ნატეხზე

ა. აბრამიანის თარგმანი:

"უნარჩევესი" (ტრანსკრიპცია *მბარ*).

ს. მურაყიოყის თარგმანი:

წარმოადგენს ანბანის ფრაგმენტს იმ შენიშვნით, რომ წარწერის

ავტორმა 32-ე ასოს მაგიერ შეცდომით დაწერა 34-ე.

ვ. შულცე იზიარებს ს. მურაჟიოვის მოსაზრებას.

ალბანური ანბანი ზემო ლაბკოს (ლობკოს) ქვის ფილებზე

1970 წლის სექტემბერში დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკის ლევაშინის რაიონის სოფელ ზემო ლაბკოს (ლიტერატურაში ამ სოფლის სახელად გვხვდება ლობკოც) მოსწავლეებმა არსლანბეკ არსლანბეკოვმა და გალინა ისაბეკოვმა იპოვეს ქვის ფილა, რომელიც კლასობანს სათამაშოდ ორად გააპეს. როდესაც ბავშვებმა შეამჩნიეს, რომ ქვებზე ამოკაწრულია რაღაც ნიშნები, ისინი მიუტანეს ერთერთის მამას, ისტორიის მასწავლებელს ხასბულატ არსლანბეკოვს. ისტორიკოსს არ გაუჭირდა დაედგინა, რომ ქვის ფილაზე ამოკაწრული ნიშნები წარმოადგენს ალბანურ ანბანს. ამის შემდეგ ზემო ლაბკოს ქვის წარწერა ცნობილი გახდა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისთვის.[84]

არქეოლოგების აზრით, იმ ადგილებში, სადაც აღმოჩნდა ქვის ფილა ალბანური წარწერით, დადასტურებულია III-VII სს-ის ნამოსახლარი. ამიტომ ფილასაც ამავე ხანებით ათარიღებენ ისინი, ვისაც მის ავთენტურობაში ეჭვი არ შეაქვს.[85]

ვ. ღუკასიანის აღწერით, გაპობამდე ქვის ფილა დიდი ზომის არა ყოფილა: 10x6 სმ. მასზე (ან მათზე) ბასრი საგნით ამოკაწრულია 44 გრაფემა: ერთზე 25, ხოლო მეორეზე 19.

სად იწყება ანბანი და სად მთავრდება, გაურკვეველია. ერთი ფილის დასაწყისში ამოკაწრულია, სომხურ ხელნაწერში მოცემული ანბანის მიხედვით, *ჩ სოჷ* (თუმცა თვითონ ვ. ღუკასიანს სტატიაში გამოქვეყნებულ მონახაზში დატანილი აქვს *Ֆ ჰენ.*), ხოლო მეორის დასაწყისში *Ը ზოხ.* ცხადია, არც ერთი მათგანი არ შეიძლება იწყებდეს ალბანურ ანბანს.

ვ. ღუკასიანის დაკვირვებით ქვის ფილაზე მოცემულ ანბანს სომხურ ხელნაწერში შემონახულ ანბანთან შედარებით აკლია 10

გრაფემა, ხოლო მეტი აქვს სამი. ყველა დანარჩენი მოხაზულობით ზუსტად შეესატყვისება ერთმანეთს, გარდა 45-ესი (უნ), რომელსაც ქვის ფილაზე თავზე დასმული აქვს დამატების ლათინური T-ს მსგავსი ნიშანი.

ქვის ფილაზე ამოკაწრულ ანბანს არა აქვს ქვეშ მიწერილი ფონეტიკური მნიშვნელობები, რაც იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ იგი შესრულებულია მაშინ, როდესაც ალბანური დამწერლობა ჯერ კიდევ ხმარებაში იყო და მას განმარტება არა სჭირდებოდა.

ხ. არსლანბეკოვის აზრით, ქვის ფილაზე ამოკაწრულ ანბანს სასწავლო დანიშნულება ჰქონდა.

ვ. ღუკასიანს გაუგებრად მიაჩნია ასეთ შემთხვევაში 10 გრაფემის ნაკლულობა და ანბანის რიგის დარღვევა, თუმცა უშვებს ვარაუდს, რომ მწერალმა შეამჩნია შეცდომა და გადააგდო ქვა, როგორც სასწავლო დანიშნულებისათვის გამოუსადეგარი.

ვფიქრობ, ყოველგვარი თეორიული მსჯელობა ზემო ლაბკოს ქვის ფილაზე ამოკაწრული ანბანის დანიშნულებისა და სხვა ამგვარი საკითხების შესახებ ზედმეტია, ვინაიდან იგი სრულიად უეჭველად ახალი ნაყალბევია სომხურ ხელნაწერში მოცემული ალბანური ანბანის მიხედვით. თავის დროზე ეს ძალიან კარგად აჩვენა ს. მურაჟიოვმა.[86] ასეთი დასკვნისათვის საფუძველს მაძლევს შემდეგი არგუმენტები, რომელთაგან ზოგიერთი ემთხვევა ს. მურაჟიოვის არგუმენტებს (შეხვედრები მითითებული იქნება სქოლიოში):

1. 30-ე ასო ჲ-ს ფონეტიკურ განმარტებას *კარრ* სომხურ ხელნაწერში მოცემულ ანბანში ա გრაფემის თავზე დასმული აქვს მახვილი , რომელიც ყალბის მქნელს (ისევე როგორც ზოგ მეცნიერსაც — გ. კლიმოვი, ვ. ღუკასიანი) პგონია ალბანური გრაფემის ნაწილი და გადააქვს ქვის ფილაზე. ამ გრაფემის ზუსტი მოხაზულობა სინური პალიმფსესტის წყალობით უკვე კარგად არის ცნობილი. მას ეს გრაფიკულად სრულიად ზედმეტი ნიშანი არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს.

2. 45-ე გრაფემა *უნ*-ს, როგორც ვ. ღუკასიანმა მიაქცია ყურადღება თავზე დასმული აქვს ლათინური T-ს მსგავსი გაუგებარი ნიშანი.

სრულიად აშკარაა, რომ ეს ნიშანიც გადმოღებულია შეცდომით სომხურ ხელნაწერში დაცული ანბანიდან. საქმე ის არის, რომ ხელნაწერში 45-ე ასოს ზემოთ მოცემულია 30-ე გრაფემის განმარტება Կառ կարր, რომლის առ (არრ)-ს ხელნაწერში აქვს ლაქა, დამსგავსებულია ლათინურ T-ს და თავზე აზის მის ქვემოთ დაწერილ 45-ე გრაფემა უნ-ს (განსაკუთრებით ზოგიერთ ფოტოზე).[87] ყველაფერი ეს ვერ შეამჩნია ყალბის მქნელმა, რომელმაც არ იცოდა სომხური და საერთოდ არ იყო გარკვეული ალბანური ანბანის საკითხებში.

3. ვ. ღუკასიანს მცდარად აქვს გადმოხაზული ქვის ფილიდან 7-ე გრაფემა *ენ*, რის გამოც განსხვავებას ხედავს ხელნაწერში მოცემულ ანბანთან.

4. ზემო ლაბკოს ქვის ფილაზე დატანილია ყველა ის გრაფემა, რომლებიც დამახინჯებული სახით არის მოცემული სომხურ ხელნაწერში და არა დასტურდება საერთოდ ან ასეთი მოხაზულობით სინურ პალიმფსესტში.

ზემო ლაბკოს ქვის ფილაზე გამოსახულ ანბანში გრაფემათა რიგის სრულიად მარტივი დარღვევა და ბოლოში რამდენიმე გრაფემის დაკლება, ჩემი აზრით, გამოწვეულია ყალბისმქმნელის სურვილით, კვალი აურიოს მკვლევარებს და შექმნას ილუზია წარწერის სიძველისა. ამაჟე დარღვევის მიზეზები სხვაგვარად და, შესაძლოა, სწორად აქვს ახსნილი ს. მურაჟიოჟს.[88]

თავი IV

სინური პალიმფსესტები

რა პერსპექტივებს შლიდა თაყიდანეე ჩვენს წინაშე ალბანური ტექსტების აღმოჩენა და რის თქმა შეგეძლო ამ აღმოჩენის საფუძველზე ჯერ კიდეე მაშინ, როდესაც ტექსტი არ იყო მთლიანად გადმოწერილი და, რა თქმა უნდა, გაშიფრული და ინდეტიფიცირებული?

მაშინ მე უკვე შემეძლო მეთქვა და დამეწერა შემდეგი:

აღარ შეიძლება იყოს ეჭვი, რომ ალბანური დამწერლობა არსებობდა და იგი ჩანასახშიე არ მომკედარა. ალბანურ ენაზე და დამწერლობით არსებობდა საკმაოდ განვითარებული მწერლობა.

აღმოჩენილი ტექსტი (შესაძლოა ტექსტები) ფორმალური თვალსაზრისით შესრულებულია ისეთსავე მაღალ დონეზე, როგორც მისი მსგავსი ტექსტები სომხურ და ქართულ ენებზე. იგი ნაწერია ლამაზი ასომთავრულით, გაბედული და გაწაფული ხელით, ორ სვეტად, შემკულია საზედაო ასოებით, აქვს განკვეთილობისა და ქარაგმის ნიშნები. აშიებზე მცირე ზომის ასოებით მიწერილი აქვს განმარტებები თუ მუხლებზე მითითებები. სათაურები გამოყოფილია უფრო დიდი ზომის ასოებით, ვიდრე თვითონ ტექსტის შრიფტი. ყველა ჩამოთვლილი ნიშნის მიხედვით ალბანური მწერლობა არაფრით არ ჩამორჩებოდა იმავე ხანის სომხურსა და ქართულ მწერლობას.

ალბანური ტექსტი უნდა იყოს საეკლესიო მწერლობის ძეგლი. ტიპოლოგიურად იგი არ განსხვავდება ასეთივე ხასიათის ქართული და სომხური მწერლობის ძეგლებისაგან. პალიმფსესტის საერთო პაბიტუსი ძალიან წააგავს VI-VII სს-ით დათარიღებულ ქართულ-ებრაულ პალიმფსესტს, რომელიც ოქსფორდში, ბოდლეს ბიბლიოთეკაში ინახება. წყაროების მიხედვით, ალბანელებს თარგმნილი ჰქონიათ „წინასწარმეტყველთა წიგნები“, „სამოციქულო“ და „სახარება“. სანამ ტექსტი ჯერ სრულად გადმოწერილი და გაშიფრული არ არის, დასახელებულთაგან შეიძლება უპირატესობა

„სამოციქულოს“ მიენიჭოს.

არ შეიძლება ითქვას, რომ პალიმფსესტებს შორის არ ეძებდნენ ალბანურ ტექსტებს, მაგრამ შეცდომა ის იყო, რომ მათ ეძებდნენ პირველ რიგში სომხურ ხელნაწერებს შორის. ამას წერდა კიდეც ა.შანიძე: "Встретить такие отрывки скорее всего можно в Армянских рукописях. В этом направлении я работал в 1924 году в Ечмиадзине, но безрезультатно".

საქმე ის არის, კავკასიის ქრისტიანული ეკლესიების ისტორიის შესწავლის იმ ეტაპზე სხვაგვარად არც იყო მოსალოდნელი. ჩვენს მეცნიერებაში გაბატონებული იყო შეხედულება, რომ VII ს-ის დამდეგამდე ქართული, სომხური და ალბანური ეკლესიების მრწამსი მონოფიზიტური იყო და მხოლოდ საეკლესიო განხეთქილების შემდეგ გადაიდა ქართული და მცირე ხნით ალბანურიც დიოფიზიტურ, ქალკედონიტურ მრწამსზე.[89]

დღეს ჩვენ უკვე ვიცით, რომ ქართული და ალბანური ეკლესიები VI ს-ის დასაწყისიდან ჯერ იდგნენ ე. წ. ზენონის (ბიზანტიის კეისარი 474-475, 476- 491 წწ-ში) „ჰენოტიკონის“ (482 წ) პოზიციაზე, რომლის მიზანიც იყო მონოფიზიტებისა და დიოფიზიტების შერიგება, ხოლო VI ს-ის ორმოცდაათიან წლებში გაემიჯნენ სპარსეთის იმპერიის ცდას, ამიერკავკასიის ტერიტორიაზე შეეკრა ერთიანი მონოფიზიტური ბანაკი მართლმადიდებლური ბიზანტიის წინააღმდეგ. მაგრამ ეს წინააღმდეგობა ჯერ კიდევ ფრთხილი და ზომიერი ხასიათისა იყო.

VII ს-ის დამდეგს რელიგიური კონფლიქტი კავკასიაში კვლავ გამწვავდა და დიდი საეკლესიო განხეთქილებით დამთავრდა. ერთ მხარეს აღმოჩნდნენ ქართლი და ალბანეთი თავიანთი მართლმადიდებლური მრწამსითა და პრობიზანტიური ორიენტაციით, ხოლო მეორე მხარეს სომხეთი მონოფიზიტური მრწამსითა და ირანის მხარდაჭერით.

VII ს და VIII ს-ის დასაწყისი კავკასიაში რთული კოლიზიების ეპოქაა. აღმოსავლეთის ფრონტზე გამარჯვებული ბიზანტია კვლავ მონოფიზიტთა შემორიგებას ცდილობს ახალ, მონოთელიტურ

პლატფორმაზე. ეს ახალი მრწამსი სცნობს ქალკედონის კრებას და გულისხმობს მაცხოვარში ორ ბუნებასა და ერთ ნებას. ამიერკავკასიაში კვლავ ერთიანი ბანაკი იქმნება, მაგრამ მხოლოდ ერთი საუკუნით.

VIII ს-ის 20-იან წლებში სომხური ეკლესია გმობს თავისი იძულებითი კომპრომისის ხანას და კვლავ შეურიგებელ მონოფიზიტობას უბრუნდება. არაბთა ხელშეწყობით ალბანური ეკლესიაც მონოფიზიტურ მრწამსზე გადადის.[90]

ალბანეთის ტრაგედია ის იყო, რომ მან ვერ იპოვა სხვა, ქართველთაგან და სომეხთაგან განსხვავებული, მრწამსი თავის იდეოლოგიურ პლატფორმად, რაც მას არსებობის ფასად დაუჯდა. კავკასიაში დაირღვა ბუნებრივად ჩამოყალიბებული პოლიტიკური წონასწორობა, პოლიტიკურ ძალთა ბალანსი და ეს მთელ ამიერკავკასიას სულ მალე ძვირად დაუჯდა. აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში შექმნილი ვაკუუმი ქრისტიანულმა სამყარომ ვეღარასოდეს ვეღარ შეავსო, ხოლო ახლებური წონასწორობის დამყარებას ამის შემდეგ დრო დასჭირდა.

ალბანური ქრისტიანული მწერლობის ინტენსიური განვითარების ხანა უნდა იყოს V-VIII სს. კიდევ უფრო თუ დავაზუსტებთ, VI-VII სს. ამ პერიოდის მანძილზე იგი დამოუკიდებელია და დგას ჯერ ზენონის „ჰენოტიკონის“ დიოფიზიტებისა და მონოფიზიტების შემრიგებლურ პოზიციაზე, ხოლო შემდეგ ქალკედონურზე და ქართულ ეკლესიასთან ერთად უპირისპირდება სომხურს. ეს არის მისი თავისუფალი განვითარების ერთადერთი პერიოდი.

ამის შემდეგ (VIII ს-ის 20-იანი წლებიდან) იგი სომხური მონოფიზიტური ეკლესიის უძლიერესი გაელენის ქვეშ ხვდება. წყაროების ცნობებით, სომხური ეკლესია წვავს მათ დიოფიზიტურად მიჩნეულ ლიტერატურას, მონოფიზიტური ალბანეთი გადადის სომხურ ენასა და დამწერლობაზე და ასე იკარგება.

ამიტომ მეტი შანსი ალბანური მწერლობის ფრაგმენტების რაიმენაირად გადარჩენისა არის დიოფიზიტური სამყარო და, კერძოდ, საქართველო. როგორც დავინახეთ, ასეც მოხდა. ქართულ

მწიგნობრულ სამყაროში ალბანური ტექსტის აღმოჩენა თაყის მხრივ ამართლებს კავკასიაში VI-VIII სს-ში რელიგიური სიტუაციის იმ სურათს, რომელიც ბოლო 20-25 წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა და ზემოთ ძალზე სქემატურად იყო წარმოდგენილი.

საიდან გაჩნდა სინას მთაზე პალიმფსესტი ალბანური ტექსტით? ხომ ცხადია, რომ X ს-მდე ხელნაწერი ხელუხლებელი იყო და ინახავდნენ. როგორც ჩანს, მთელი ამ ხნის განმავლობაში ჯერ კიდევ იცოდნენ, რას წარმოადგენდა იგი და ვიღაცას ის ჯერ კიდევ სჭირდებოდა.

დიდია ალბათობა იმისა, რომ ხელნაწერი ხელმეორედ იქნა გამოყენებული სწორედ სინას მთაზე ან სადმე იქვე პალესტინაში. ხელნაწერების ხელმეორედ გამოყენება, ძველი ხელნაწერების ჩამონაჭერი ნაკუწებისაგან ახალი ხელნაწერების შეკერვა დამახასიათებელია სწორედ X ს-ის სინასთვის, რომელიც პერგამენტის დიდ გასაჭირს განიცდიდა. ეს დადასტურებულია სინას მთის კოლექციებში პალიმფსესტთა დიდი რაოდენობითა და ანდერძ-მინაწერებში პირდაპირი მითითებებით პერგამენტის უქონლობაზე.

ალბანური ეკლესია თაყის განმანათლებლად თვლიდა ერთერთ ქრისტეს 70 მოციქულთაგანს, იერუსალიმიდან ჩამოსულ ელიშას, ხელდასხმულს მაცხოვრის ძმის იაკობის მიერ. ამიტომ იყო, რომ ალბანური ეკლესიისათვის განსაკუთრებული მიზიდულობა ჰქონდა წმინდა მიწას და აქ მათი პილიგრიმობა ყველა საბაბით ხდებოდა.

მოსე კალანკატუელს (დასხურანელს) დეტალურად აქვს ჩამოთვლილი იერუსალიმში ალბანური ეკლესია-მონასტრები მათი სახელწოდებისა და მდებარეობის ზუსტი მითითებებით. ამასთანავე იგი დაწვრილებით აღნუსხავს X ს-ისათვის რომელ ეკლესიაში შერჩა ალბანელი მღვდელი, რომელში წირავს ქრისტიანი არაბი და რომლებია საერთოდ არაბების ხელში, იმაზე მითითების გარეშე ქრისტიანები არიან, თუ არა ეს არაბები. ავტორი იერუსალიმის სომხურ და ალბანურ მონასტერთა საერთო რიცხვსაც კი ასახელებს და ეს რიცხვი ფრიად შთამბეჭდავია, რამდენად გაზვიადებულადაც არ უნდა მოიჩნიოთ იგი — ასზე მეტი.[91] ცხადია, მოსე კალანკატუელს

(X ს-ისათვის, ალბათ, მოსე დასხურანელს) მხედველობაში აქვს მონოფიზიტური ალბანური მონასტრები, მაგრამ VI-VII სს-ში ხომ ისინი ქალკედონურები იქნებოდნენ.

როგორც დავინახეთ, სინას მთაზე ალბანური ხელნაწერის მოხვედრის ორი გზაა:

1. ხელნაწერი საქართველოში მოხვდა ალბანეთის ეკლესიის მონოფიზიტობაზე გადასვლის შემდეგ ქალკედონიტი ალბანელისგან (შესაძლოა მის მფლობელთან ერთად). დროთა განმავლობაში მას მკითხველი დაეკარგა. X ს-ში ხელნაწერი გადაფხიკეს, ახალი ტექსტი დაწერეს და შესწირეს სინას მთას (ასეთი შესაძლებლობის ალბათობა დაბალია).

2. პალესტინის ქალკედონურ ალბანურ წრეში შექმნილი ტექსტი, ალბანური ეკლესიის მონოფიზიტურ მრწამსზე გადასვლის შემდეგ, მოხვდება პალესტინისავე ქართულ მონასტერში იერუსალიმში ან საბაწმიდაზე და აქედან გადადის სინას მთაზე. ქართველი (შესაძლოა გაქართველებული ალბანელისთვისაც კი, რომელმაც ხელნაწერი როგორც რელიკვია ჩაიტანა სინას მთაზე) მკითხველისათვის გაუგებარია ალბანური ტექსტი და პერგამენტის საჭიროება აიძულებს მას გადარეცხოს იგი და ახლიდან დაწეროს ქართული ტექსტი.

სხვათაშორის, კაკასიის გარეთ ალბანური ტექსტის აღმოჩენის შესაძლებლობა იყარაუდა გ. კლიმოვმა. 1984 წელს ნორჩი ფილოლოგებისთვის გამოქვეყნებულ ენციკლოპედიაში იგი წერდა: "Новые находки можно ожидать не только на Кавказе, но и в исторических центрах зарубежного Востока".

ჩვენამდე მოაღწია ორმა პალიმფსესტმა ალბანური ტექსტით, რომელთა გადარჩენილი ფურცლების რაოდენობა 170-მდეა 12 ფრაგმენტით. ამათგან ქვედა ტექსტი ბევრ ფურცელზე ისეა გადარეცხილი, რომ სრულიად აღარ იკითხება. ახლა ჯერ კიდევ ძნელია თქმა, სპეციალური აპარატურის გამოყენება რამდენი გვერდის ამოკითხვის საშუალებას მოგვცემს, მაგრამ მე მგონია მათი საერთო რაოდენობა 100 გვერდზე ნაკლები არ იქნება. საბედნიეროდ, არის გვერდები, რომელთა ამოკითხვა ახლაც არ არის შეუძლებელი.

ამრიგად, ჩვენს ხელთაა გაბმული ალბანური ტექსტი, რომელიც დიდ შესაძლებლობებს იძლევა მისი გაშიფრვისა, მიუხედავად იმისა, რომ 1937 წელს აღმოჩენილი ანბანი გასაღების ფუნქციას ვერ ასრულებს.

ალბანური ხელნაწერის კოდიკოლოგიური დახასიათება

აი, ასეთი იყო სიტუაცია, როდესაც მე მეოთხე ექსპედიციაში გავემგზავრე სინას მთაზე უკვე სპეციალურად ალბანურ ტექსტებზე სამუშაოდ.

თავდაპირველად ადგილზევე (სინას მთაზე) შევუდექი კოდიკოლოგიური საკითხების გარკვევას, რასაც შეეძლო თავისი სიტყვა ეთქვა ტექსტის იდენტიფიკაციისა და, განსაკუთრებით, დათარიღების შესახებ.

გამოირკვა, რომ ქართული ხელნაწერი აკინძულია ორად გაკეცილი ალბანური ხელნაწერის გვერდების საფუძველზე. ალბანური ხელნაწერის გვერდების ზომა ყოფილა 29,5 სმ x 22,4 სმ. გაშლილ გვერდზე ალბანური ტექსტი დაწერილია კარგად გამოყვანილი ასომთავრული ასოებით. მელანი ამჟამად ყავისფერია, მაგრამ როგორც ჩანს, ჟანგვის პროცესის შედეგად. სინგური ან წითელი ფერის საღებავი გამოყენებული არ არის. ტექსტი დაწერილია ორ სვეტად. თვითეულ სვეტში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ყოველთვის ოცდაორი სტრიქონია (ზოგჯერ 24), ხოლო თვითეულ გვერდზე მთლიანად — ორმოცდაოთხი. სვეტებს შორის საკმაოდ დიდი მანძილია დატოვებული. აშიებიც მწერალს ასევე გულუხვად დაუტოვებია. ხელნაწერში თავისუფალი ადგილები გამოყენებულია ტექსტთან დაკავშირებული მინაწერების გასაკეთებლად. სტრიქონების სიმეტრიულობის დასაცავად ხელნაწერი დახაზულია სველ პერგამენტზე გაკეთებული ანაბეჭდებით. მუხლების გამოსაყოფად გამოყენებულია საზედაო ასოები, ხოლო ტექსტის შედარებით უფრო მოკლე მონაკვეთები გამიჯნულია ორი თითქმის წერტილის ფორმის

მქონე მოკლე პარალელური ხაზით.

ყოველივე ზემოთ ნათქვამი მიუთითებს, რომ ალბანეთი ეკონომიურად კარგად განვითარებული და საკმაოდ მდიდარი ქვეყანა იყო (ხელნაწერის დამზადება ძალიან ძვირი ჯდებოდა). ალბანურ მწერლობას ჰქონდა მაღალი კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური და პალეოგრაფიული დონე და იგი ძალიან ძველი უნდა ყოფილიყო. კოდიკოლოგიურად და პალეოგრაფიულად ასეთი მაღალი მწერლობისგან შინაარსობლივად ყველაფერს უნდა მოელოდეს მკვლევარი.

საინტერესოა დაკვირვება ხელნაწერის კუთხეებზე მათი ფურცლის შედეგად გაჭუჭყიანების თვალსაზრისით. ზედა და ქვედა ნაპირები თავდაპირველი ალბანური ხელნაწერისა (რომელიც დღეს ქართული ხელნაწერისთვის წარმოადგენს გახსნილი ფურცლის ზედა მარჯვენა და მარცხენა კიდეებს) გაცილებით უფრო ნაკლებად ჭუჭყიანია, ვიდრე ის კიდეები, რომლებიც X ს-ში შექმნილი ქართული ხელნაწერისთვის წარმოადგენდნენ გადასაფურცლად ხელის მოსაკიდ ადგილებს. ეს გარემოება იმის მაჩვენებელია, რომ ალბანური ხელნაწერი ნაკლებად ყოფილა ხმარებაში, ვიდრე ქართული.

ხელნაწერს ზოგიერთ ფურცელზე, სხვადასხვა ადგილას, აქვს სხვადასხვა ზომის მრგვალი ან ოვალური ხვრელები, რომლებიც შევსებულია განსხვავებული ფერის ეტრატით. ეს არის ის მცირე დეფექტები, რომლებიც თავის დროზე წარმოიქმნა ეტრატის დამუშავებისას (დანით გაიჭრა ან ძალიან გათხელდა და გაიხა). შემდეგში, ისევ ეტრატის დამუშავებისას, როდესაც იგი ძლიერ დაჭიმეს დასაწერად მოსამზადებლად, ამ დეფექტებმა ოვალური ან მრგვალი ფორმა მიიღეს. ტექსტზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ხვრელები შევსებულია ეტრატის მეორადი დამუშავების დროს, ანუ ქართული ტექსტის დასაწერად მომზადებისას.

პალიმფსესტის მიხედვით, სანამ ტექსტი მთლიანად არ არის ამოკითხული და იდენტიფიცირებული, ალბანური ანბანის გრაფემათა რაოდენობის აბსოლუტური სიზუსტით განსაზღვრა ძნელია: რჩება ალბათობა ქვედა ტექსტის ამოკითხვაში შეცდომის დაშვებისა (გადარეცხვისას რომელიმე გრაფემას შეიძლება მოცილებული ჰქონდეს განმასხვავებელი დეტალი, ან ეს დეტალი დაფარული იყოს ზედა ტექსტით და არ იკითხებოდეს), ცალკეული გრაფემის აღრეცხა რაიმე ტექნიკურ ნიშანთან, ერთი და იმავე გრაფემის განსხვავებულად დაწერის შემთხვევაში მათი სხვადასხვა გრაფემად მიჩნევისა და ა.შ.

რა თქმა უნდა, ალბანური ტექსტის გრაფემათა საერთო რიცხვი, ასეთი შენიშვნითაც კი, ახლოს არის ილ. აბულაძის მიერ აღმოჩენილი ანბანის გრაფემათა რაოდენობასთან. ჯერჯერობით მხოლოდ შემიძლია ვთქვა ის, რომ ეს რიცხვი შეიძლება 50-სა და 56-ს შორის მოთავსდეს. არ არის გამორიცხული, რომ გამართლდეს ა. აბრამიანის ვარაუდი, რომ მათი საერთო რიცხვი უნდა ყოფილიყო 54.

ალბანური წარწერების გაშიფრვისას, ცხადია, წერის მიმართულების შესახებ შეიძლებოდა გამოთქმულიყო მხოლოდ ორი ვარაუდი: 1. ალბანური დამწერლობა მიმართული იყო მარცხნიდან მარჯვნივ; 2. ალბანური დამწერლობა მიმართული იყო მარჯვნიდან მარცხნივ.

მინგეჩაურის წარწერები მარჯვნიდან მარცხნივ დაწერილად მიიჩნია ნ. რზაევმა. ამოსავალი მისთვის მარტივი იყო. მინგეჩაურის წარწერები მან ჩათვალა V-VII სს-ში შესრულებულ ძველთურქულ დამწერლობად რუნული ანბანით და შეეცადა ასე წაეკითხა. სხვა ანალოგიური დამწერლობით შესრულებულ ძეგლებთან განსხვავება ნ. რზაევმა ახსნა რუნულ დამწერლობაზე ალბანურის გავლენით.[92] მცდარმა წანამძღვრებმა, რა თქმა უნდა, შედეგიც მცდარი მოგვცა.

წარწერების მკვლევართა უმრავლესობას, გ. კლიმოვის გარდა,[93] ალბათ ქვეცნობიერად მინგეჩაურის წარწერების მიმართულებაზე ფიქრისაგან ათავისუფლებდა სომხური წყაროების ცნობები სომხური,

ქართული და ალბანური ანბანების მაშტოცის მიერ შექმნის შესახებ, მიუხედავად იმისა, იზიარებდნენ თუ არა ისინი ამ ტრადიციას და ა.შ.

მართლაც, დიდია ალბათობა იმისა, რომ ალბანური დამწერლობა ქართულისა და სომხური მსგავსად ორიენტირებული ყოფილიყო მარცხნიდან მარჯვნივ, მაგრამ ამ ალბათობას მაინც სჭირდებოდა დოკუმენტური დადასტურება.

გ. კლიმოვმა ამის დასტურად მიიჩნია წარწერათა კორპუსიდან N1 კრამიტის გრაფიტის დასაწყისი გრაფემა Ⴀზ, რომელიც ტექსტის დანარჩენ გრაფემებზე ოდნავ უფრო დიდი მოცულობისაა[94]. მაგრამ ეს, როგორც დღეს უკვე ვიცით, სწორი დაკვირვება, მაშინ არ შეიძლებოდა უცილობელი ყოფილიყო, ვინაიდან სხვა არც ერთ წარწერსა თუ გრაფიტში ასეთი რამ არ განმეორდა, რის გამოც ზომებში მცირე განსხვავების კანონზომიერად ჩათვლა ჭირდა. ამასთანავე, ადრინდელი ხანის ქართული და სომხური გრაფიტები არ გვიჩვენებენ ტრადიციას ტექსტის საზედაო ასოებით დაწყებისა.

სინას მთაზე აღმოჩენილმა ტექსტმა კი საბოლოოდ დაადასტურა, რომ ალბანური დამწერლობა ქართულისა და სომხურის მსგავსად ორიენტირებული იყო მარცხნიდან მარჯვნივ.

ამას მოწმობს საზედაო ასოები, რომლებიც გვხვდება მხოლოდ



ტექსტის მარცხნივ როგორც მისი დასაწყისის მაჩვენებელი. ამას მოწმობს ქარაგმის ნიშნები, რომლებიც მიმართულნი არიან მხოლოდ მარცხნიდან მარჯვნივ, ანუ მარცხენა მხარე ოდნავ აწეული აქვთ, ხოლო მარჯვენა ასევე ოდნავ დაწეული;

ამას მოწმობს ⵔ „უ“-ს დაწერილობა, რომელიც წარმოადგენს ლიგატურას და ბერძნულის (ου), ქართულისა (ოუ) და სომხურის (ՈՒ) მსგავსად შედგება მარცხნიდან მარჯვნივ დალაგებული ორი გრაფემისაგან — ⵁ ო და ⵜ ჯ;

მარცხნიდან მარჯვნივ არის დალაგებული ის დაჭარაგმებული სიტყვებიც, რომელთა სწორ ამოკითხვაში ეჭვი არ უნდა იყოს. მაგალითად *ⴼ̃ⵀ ⵅ̃ⵙ=ქრისტოს, ⵜ̃ⵀ ⴷ̃ⵙ = დესუს*. და ბოლოს, მარცხნიდან მარჯვნივ წერის მიმართულების აშკარა მაჩვენებელია ალბანური ტექსტის დიზაინი:

მარცხენა მხარე მას ყოველთვის ერთ სწორ ხაზში აქვს გამართული, მაშინ, როდესაც მარჯვენა მხარეს ასეთი სისწორის დაცვას მწერალი ყოველთვის ვერ ახერხებს და იგი ერთგვარად დაკბილულია.

გრაფიკული თვალსაზრისით, სინას მთაზე აღმოჩენილი ალბანური ტექსტის ასოთა მოხაზულობა უფრო ახლოს არის წარწერათა კორპუსის გრაფემებთან, ვიდრე სომხური ხელნაწერის ანბანთან და ეს ბუნებრივიცაა: სომხური ხელნაწერი გვიანია და მისი ალბანური ანბანი სომეხი გადამწერების მიერ ხშირად დამახინჯებულია ან უბრალოდ სომხურთან მიმსგავსებული. სინური ტექსტის გრაფემებსა და წარწერათა კორპუსს შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორიც უნდა იყოს კიდეც ლამაზად შესრულებულ ხელნაწერებსა და გრაფიტებს შორის.

უკვე ა. შანიძემ გაარკვია და შემდეგ ყველა მკვლევარმა გაიზიარა, რომ ალბანური ანბანი ტიპოლოგიურად უფრო ახლოს არის სომხურთან, ვიდრე ქართულთან, ვინაიდან ალბანური სპეციფიკური გრაფემები, რომლებიც გადმოსცემენ სპეციფიკურ ალბანურ ფონემებს გაფანტულია ანბანში შესაბამისი ადგილებზე და ქართულის მსგავსად ბოლოში არ ერთვის[95]. ტიპოლოგიურ სიახლოვეში ისინი გულისხმობდნენ ანბანთა რიგს.

„მატენადარანის“ ხელნაწერით თუ ვიმსჯელებთ, ბერძნულისგან განსხვავებულ ფონემათა აღმნიშვნელი გრაფემები ალბანურ ანბანში, სომხურის მსგავსად, გაფანტულია სხვადასხვა ადგილზე, ხოლო ქართულში ისინი დაჯგუფებულია და ანბანს ბოლოში ერთვის.

მაგრამ ტიპოლოგიური სიახლოვის განმსაზღვრელ საფუძვლად თუ ასოთა მოხაზულობას ავიღებთ, დავინახავთ, რომ სინური ხელნაწერის ალბანური გრაფემები ახლოს არიან როგორც ქართულთან, ისე სომხურთან, თუმცა, სომხურ ხელნაწერში დაცული ანბანისაგან განსხვავებით, სიახლოვის სიხშირე ქართულთან მიმართებაში შესამჩნევად უფრო მეტია.

სინური ხელნაწერის გრაფემათა მოხაზულობის შესწავლის საფუძველზე კიდევ ერთი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს. როგორც ჩანს, ალბანური ანბანი გრაფიკულად ახლოს არის ქართულ, სომხურ და ეთიოპურ დამწერლობებთან. ქართულის შემთხვევაში შეგვიძლია გაბედულად ვთქვათ, რომ იგი ახლოს არის ჩვენთვის ცნობილთაგან უძველეს ფორმებთან, ანუ მათთან, რომლებსაც V—VII სს-ებით ვათარიღებთ ხოლმე — თავშეკრულ გრაფემებთან.

ჯერჯერობით ძნელია გადაჭრით თქმა, მაგრამ ალბანურ ხელნაწერში გაირჩევა მინიმუმ ორი ხელი, შესაძლოა სამის შესახებ ლაპარაკიც. ასეთი რამ დიდი მოცულობის ხელნაწერებში გასაკვირი არ არის და არ იძლევა სხვადასხვა ტექსტის შესახებ საუბრის საფუძველს.

ალბანური ტექსტის გასაშიფრად უმოკლესი გზის ძიება

მეოთხე ექსპედიციის შემდეგ უკვე ხელთ მქონდა საკმარისი მასალა (რისი აუცილებლობის შესახებ მანამდე უკვე ბევრს ვლაპარაკობდი) იმისათვის, რომ დამეწყო ფიქრი ტექსტის გასაშიფრად ყველაზე უფრო მოკლე გზის მოსაძებნად.

თავდაპირველად უნდა შეფასებულიყო, ჩემს მიერ აღმოჩენილი ალბანური ტექსტი როგორი სახეობის დამწერლობის ძეგლად უნდა ჩაგვეთვალა და როგორ უნდა გაგვესაზღვრა მისი გახსნის სირთულე:
1. ტექსტი, რომლის ენა უცნობია, მაგრამ ცნობილია დამწერლობა.
2. ტექსტი, რომლის დამწერლობა უცნობია, მაგრამ ცნობილია ენა.
3. ტექსტი, რომლის დამწერლობაც უცნობია და ენაც. ეს ბოლო სიტუაცია მეცნიერებისათვის ითვლება ყველაზე ძნელ შემთხვევად.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე აღმოჩენილი იყო ალბანური ანბანი ფონეტიკური განმარტებებით და სპეციალისტთა უმრავლესობა ალბანური ენის ჩამომაყალიბებლად ვარაუდობდა უდიურ ენას, მე მაინც ახლად აღმოჩენილ ალბანურ ტექსტს გარკვეული კორექტივებით მივაკუთვნებდი მესამე შემთხვევას.

ყველაზე უკეთ და ლაკონურად ასეთი შეფასება დაასაბუთა ი. დიაკონოვმა. ამიტომ მის აზრს მთლიანად მოვიტან:

„ალბანურ ანბანს, ქართულისა და სომხურის მსგავსად, როგორც ჩანს, ჰქონდა რამდენიმე სახეობა, რომლებიც გამოიყენებოდა სწრაფი წერისთვის, მწიგნობრობისთვის, წარწერებისთვის და ა.შ. ეს სახეობები ერთმანეთისგან ძლიერ განსხვავდებოდნენ.

გვიანი შუა საუკუნეების სომხურ ხელნაწერებში დაცული ალბანური ანბანის ტაბულები არ იძლევიან ალბანური წარწერების წაკითხვის საშუალებას შესაძლოა იმიტომ, რომ ისინი დაწერილია დამწერლობის სხვა სახეობით; შესაძლოა იმიტომ, რომ თვითონ ტაბულები არ არის სანდო და წარმოადგენენ ფანტასტიურ „ასახვას“ იმ დამწერლობისა, რომელიც სომხური ტრადიციით მესროპმა შექმნა.

ამოცანის სიძნელეს ისიც აღრმავებს, რომ ალბანური ენა ჩვენთვის სრულიად უცნობია. ძალიან ძნელია მის შესახებ იმსჯელო თუნდაც ყველაზე უფრო ზოგადი ნიშნებით, გარდა იმისა, რომ იგი ეტყობა დაღესტნურ ენათა ჯგუფს ეკუთვნოდა. სხვა არა იყოს რა, ეს ჯგუფი ერთმანეთისაგან ძლიერ განსხვავებული ენებისაგან შედგება.

ძნელად რომ ამაში დიდი დახმარება გაგვიწიოს ჩვენამდე მოღწეულმა უდიურმა ენამაც. ჯერ ერთი, ჯერ კიდევ არ არის დამტკიცებული, რომ იგი ალბანური ენის ჩამომავალია. ყოველ შემთხვევაში იგი თითქმის უეჭველად არ არის იმ ალბანური დიალექტის ჩამომავალი, რომელიც საფუძვლად დაედო ლიტერატურულ ენას, ალბანური ენის დიალექტები კი ერთმანეთისაგან ძლიერ განსხვავდებოდნენ და, ეტყობა, დამოუკიდებელი ენებიც კი იყვნენ. ჯერ კიდევ ძველი ბერძენი გეოგრაფოსი სტრაბონი იტყობინებოდა, რომ ალბანეთში 26 ენა იყო. ჯერ ერთი, თანამედროვე უდიურმა ენამ შეითვისა იმდენი აზერბაიჯანული, ქართული, სომხური და სხვა უცხო სიტყვები, რომ საკარაუდო ალბანური ენის ლექსიკური მარაგიდან მასში ცოტა რამ დარჩებოდა. გარდა ამისა, განვლილი ათასწლეულის მანძილზე იგი უეჭველია ძლიერ შეიცვალა გრამატიკულად"[96].

ვისაც უცნობი დამწერლობით შესრულებული უცნობი ტექსტის გაშიფრვაზე უმუშაია, კარგად იცის, რომ შედეგის მისაღწევად მის წინაშეა ორი გზა: გასაშიფრი ტექსტის (1) შინაგანი და (2) გარეგანი (ბილინგვის ან კვაზიბილინგვის აღმოჩენა) ანალიზი[97]. პირველი გრძელი გზაა და შედეგებში კრიტიკულად განწყობილი ოპონენტების დაჯერება ძნელია. მეორე მოკლე და ეფექტურია, მაგრამ, შეიძლება უშედეგო აღმოჩნდეს, თუ არა ბედნიერი შემთხვევა. იდეალურია ამ ორი მეთოდის ერთმანეთთან შერწყმა.

ცხადია, ახლად აღმოჩენილი ალბანური ტექსტის გასაშიფრად უმოკლესი გზა იქნებოდა ბილინგვის (შესაძლოა, მულტილინგვის) ან კვაზიბილინგვის (თითქმის ბილინგვა, ანუ ორივე ტექსტი იდენტური შინაარსით) მაინც მოპოვება ან შექმნა.

ბილინგვის შესაქმნელად ან მოსაპოვებლად ჩემი ფიქრი შემდეგი

მიმართულებით წარიმართა:

თუ სინას მთაზე დაცული ტექსტების მიხედვით ვიმსჯელებთ, ალბათობა იმისა, რომ ალბანური ტექსტიც საეკლესიოა, აღწევს ოთხმოც პროცენტს. ამიტომ ბილინგვის მოსაპოვებლად საერო თხზულებაზე ორიენტაციით დროის დაკარგვა არ შეიძლება. თუ ალბანური ტექსტი საეკლესიოა, მაშინ ასევე დიდია ალბათობა, რომ იგი თარგმნილია რომელიმე ენიდან და თუ მისი დედანი ვერ მოიძებნება, არის შანსი, რომ რომელიმე ადრეული ქრისტიანობის ქვეყნის ენაზე მისი შესატყვისი ტექსტი მაინც აღმოჩნდეს.

ზოგადი დაკვირვება ალბანურ ტექსტზე მიჩვენებდა, რომ საკუთრივ ალბანური (ანუ ლეზგიური ჯგუფის ენების) ფონემების (ბერძნულის, ქართულისა და სომხურისგან განსხვავებული) შესატყვისი გრაფემების ხმარების სიხშირე უფრო დაბალი ჩანდა, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო. ამ გარემოებამ დამატებითი საფუძველი მომცა მეფიქრა, რომ ტექსტი ორიგინალური არ უნდა ყოფილიყო და მისი სხვა ენიდან თარგმნილობის ალბათობა მართლაც დიდი იყო. სხვაგვარად რომ ჩამოვაყალიბოთ იგივე აზრი, მასში უნდა გვქონოდა საკუთარი სახელები (ანთროპონიმები, ეთნონიმები, ტოპონიმები .) და ტერმინები, რომელთა გადმოცემასაც ალბანური სპეციფიკური ნიშნები არა სჭირდებოდა, ან ნაკლებად სჭირდებოდა. ასეთი ტექსტი კი ჩემი ვარაუდით, შეიძლებოდა ყოფილიყო პირველ რიგში ბიბლიის (ძველი და ახალი აღთქმის) წიგნები.

ასეთი დასკვნის მიუხედავად ჩემთვის თავიდანვე ნათელი იყო, რომ ალბანური ტექსი არ უნდა ყოფილიყო "ახალი აღთქმა" ან საერთოდ რომელიმე ბიბლიური თხზულება, რადგან ორ ხელნაწერში არ აღმოჩნდა ახალი გვერდიდან დაწყებული ტექსტი ან გამოკვეთილი, ცალკე გამოტანილი სათაურით მაინც დაწერილი გვერდი. ბიბლიის წიგნებს გამორიცხავდა, აგრეთვე, შიგ ტექსტში ჩართული მცირე ასოებით გამოყოფილი წინადადებები და მათ გასწვრივ, მარცხენა აშიაზე, ყველგან უკლებლივ, ასევე მცირე ასოებით გაკეთებული მინაწერები. ასეთი მონაკვეთების საერთო რაოდენობა მთელს შემორჩენილ ტექსტში არის ორმოცზე მეტი.

სინას მთაზე დაცული სასულიერო ტექსტების (მათ შორის ახალი ქართული კოლექციისაც) დაახლოებით ოთხმოცი პროცენტი ლიტურგიკული ხასიათისაა. ალბანური ტექსტის მიმართ ამ პროცენტს მნიშვნელოვნად ზრდიდა ბიბლიური წიგნების (განსაკუთრებით "ახალი აღთქმის") გამორიცხვა.

მაგრამ წყაროებში ლაპარაკია ალბანურ ენაზე მხოლოდ ბიბლიური წიგნების (საწინასწარმეტყველოს, სახარებისა და სამოციქულოს) თარგმანების არსებობის შესახებ. ასეთი ვითარება თუ, ერთი მხრივ, ქმნის დაბრკოლებას, მეორე მხრივ, გარკვეულ ბიძგსაც იძლევა შემდეგი ვარაუდებისა: ხალხს, რომელსაც თავის ენაზე აქვს ძველი და ახალი აღთქმის წიგნები, შეიძლება ჰქონდეს მღვდელთმსახურებისათვის ისეთი აუცილებელი თხზულებაც, როგორიც არის *ლექციონარი*. სწორედ ლექციონარია ისეთი ლიტურგიკული წიგნი, რომელშიც მთავარ საკითხად მასალად შედის ბიბლიური წიგნები და განსაკუთრებით ახალი აღთქმა.

ცნობილია, რომ ადრეული ქრისტიანული მწერლობის ძეგლებს შორის ყველაზე ადრე ხმარებიდან გამოდიან ლიტურგიკული წიგნები და განსაკუთრებით ლექციონარი. ლექციონარი, თუ რაიმე, თუნდაც მექანიკური მიზეზით, დაზიანდებოდა, მას აღარ გადაწერდნენ, ვინაიდან ახალი ხმარებისათვის მაინც ცვლილებები ჰქონდათ მასში შესატანი. ადრეულ ლექციონარებში კი ცვლილებები ძალიან ადრე მოხდა. ასე რომ, მართალია ადრეული ხელნაწერის პალიმფსესტის ქვედა ტექსტად გადასაქცევად სხვაც ბევრი მიზეზია[98], მაგრამ ასეთი შესაძლებლობა ლექციონარისთვის კიდევ უფრო დიდია[99]. ამიტომ ასეთი მოსაზრებაც ლექციონარის სასარგებლოდ ლაპარაკობდა ალბანური პალიმფსესტის შესახებ ფიქრისას.

მართალია, მე თეორიულად საკმაოდ ადვილად მიველი ასეთ დასკვნამდე, მაგრამ ფსიქოლოგიურად მაინც მოუმზადებელი აღმოუჩნდი მისთვის.

უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში მეცნიერთა ერთი წრის მიერ ინტენსიურად ინერგება აზრი იმის შესახებ, რომ ალბანური მწერლობა საერთოდ არ არსებობდა ან ჩანასახშივე შეწყვიტა

არსებობა, და ის, რაც ალბანური მწერლობის სახელით არის ცნობილი წყაროებში, არის სომხური მწერლობა, რომელსაც ალბანური ჰქვია მხოლოდ ქვეყნის სახელის მიხედვით[100].

მიუხედავად იმისა, რომ ამ შეხედულების წინააღმდეგ, წყაროთა ანალიზის საფუძველზე, უკვე ზუსტად ამ ოცდაათი წლის წინ გამოვედი[101], მაინც ძნელი აღმოჩნდა ჩემთვის დამეშვა ალბანეთში ამდენად განვითარებული მწერლობის არსებობა. ასე თუ ისე, ჩემი არჩევანი ლექციონარზე შეჩერდა და დავიწყე ამ თვალსაზრისით ჩემს ხელთ არსებული ტექსტის ანალიზი.

ალბანური ტექსტის ფორმალური ანალიზი

შემდეგი, რის კეთებაც უკვე სინას მთაზე, წმინდა ეკატერინეს მონასტრის ბიბლიოთეკაში დავიწყე და თბილისშიც გავაგრძელე, ეს იყო ცდა, გადაბმით ნაწერი ტექსტის დაშლისა სიტყვებად ან რაღაც შედარებით მცირე ერთეულებად მაინც. ამის საშუალებას მაძლევდა განკვეთილობის ნიშნები, საზედაო ასოები, ქარაგმები, ზმნების ინფინიტივური დაბოლოებები, ზოგიერთი ნაცვალსახელისა და რიცხვითი სახელის საკარაუდო ცოდნა, შედარებით მცირე ასოებით ნაწერი, შესაძლოა, სათაურები, რომელთაც აუცილებლად ახალი სიტყვა უნდა მოჰყოლოდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიმაჩნდა აღრიცხვა ტექსტში გამეორებული ადგილებისა, მით უფრო, თუ გამეორებები ერთმანეთთან ახლოს იქნებოდა.

ასეთმა ცდამ რამდენიმე შემთხვევაში მნიშვნელოვანი შედეგი მომცა, რომელთაგან განსაკუთრებით იმედის მომცემი იყო ერთი: ხელნაწერის ერთ გვერდზე, ერთ სვეტში ცხრაჯერ მეორდებოდა ერთი მონაკვეთი, რომლის დაბოლოება უეჭველად შეიცავდა ინფინიტივის სუფიქსს ⰔⰀⰑⰟⰔ -ესუნ. ცთუნება, რომ ეს შეიძლებოდა ყოფილიყო სახარებისეული „ცხრა ნეტარება“ მაშინვე გამოირიცხა, რადგან გამეორებულ ფრაზებს შორის მონაკვეთები, რომლებიც იმავე დროს განკვეთილობის ნიშნებით იყო გამოყოფილი, მნიშვნელოვნად უფრო

პატარა იყო „ცხრა ნეტარების“ ფრაზებთან შედარებით. შემდგომში ამ დაკვირვებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ტექსტის იდენტიფიკაციაში.

თბილისში დაბრუნებისთანავე დავიწყეთ სლაიდების გამჟღავნება, კომპიუტერში სკანირება და ფოტოანაბეჭდების დამზადება. სამწუხაროდ, ეს პროცესი დიდხანს გაგრძელდა შუქისა და გათბობის უქონლობის (სლაიდების გამჟღავნებას შესაფერისი ტემპერატურა ესაჭიროება) გამო. მიუხედავად ამისა, ძლიერი გამადიდებელი ლუპების გამოყენებით მე მაინც ვაგრძელებდი მუშაობას იმ მასალაზე, რასაც ფოტოგრაფი თანდათან მაწვდიდა.

ალბანური ხელნაწერის ფორმალური შედარება ქართული და სომხური ლექციონარების ხელნაწერებთან

ვინაიდან თეორიული ალბათობა ლექციონარზე შევაჩერე, გადავწყვიტე ხელნაწერი ჯერ ტიპოლოგიურად შემედარებინა უძველესი ქართული და სომხური ლექციონარების შემცველ ხელნაწერებთან.

თავდაპირველად ამოსავალად ავიღე ის მონაცემები, რომლებიც ყველაზე თვალშისაცემი იყო დაკვირვებისათვის.

ჩემი ფიქრით, მცირე ზომის ასოებით დაწერილი წინადადებები უნდა გამხდარიყო გასაღები ტექსტის გასახსნელად. ეს მცირე ზომით ნაწერი წინადადებები მართალია უშუალოდ იყო ტექსტში ჩართული, მაგრამ დიდი ასოებით დაწერილ ტექსტთან შედარებით პქონდა ერთი თავისებურება: იწყებოდა საზედაო ასოთი და შემდეგ რამდენიმე მონაკვეთი (შესაძლოა სიტყვა) ასევე საზედაო ასოებით იყო ერთმანეთისაგან გამიჯნული (სურათი 5). მე ვალდებული ვიყავი დამეშვა, რომ ეს განსხვავებულად ნაწერი წინადადებები შეიძლებოდა ყოფილიყო ტექსტის გარკვეული ნაწილების სათაურები, თუმცა საყოველთაოდ გავრცელებული პრაქტიკა საპირისპირო სურათს იძლევა: სათაურები იწერება უფრო დიდი ასოებით.

ქართულმა დიდმა, ანუ იერუსალიმურმა ლექციონარმა, რომელიც

სურათი 5



სურათი 6

შემონახულია პარიზისა და სვანური ხელნაწერების სახით, შედარებისათვის არაფერი მომცა. მასში საკითხავების სათაურები და მთლიანად ტექსტი ერთი და იმავე ზომის გრაფემებით იყო შესრულებული.

სამაგიეროდ, მსგავსება აღმოჩნდა ქართულსავე ე. წ. ხანმეტ ლექციონართან, რომელსაც სპეციალისტები V ს-ის მიწურულით ათარიღებენ.[102] მასში საკითხავების სათაურები შედარებით უფრო მცირე ზომის გრაფემებით არის შესრულებული, ვიდრე ტექსტი. (სურათი 6) ასეთივე ვითარება აჩვენა უძველესი სომხური ლექციონარების აღწერილობამ.

მაშინ ტიპოლოგიურად შესადარებლად გამოვიყენე ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ორი კარგად შენახული, მაგრამ გვიანი ხანის სომხური ლექციონარი, რომლებშიც ზუსტად ისეთივე ვითარება აღმოჩნდა, როგორიც გვაქვს ალბანურ პალიმფსესტში: საკითხავების სათაურები დაწერილია მცირე ზომის გრაფემებით და მათში სიტყვები ერთმანეთისაგან გამიჯნულია დიდი ასოებით. (იხ. დანართი, სურათი 7).

ალბათობა იმისა, რომ მცირე ასოებით დაწერილი სტრიქონები ალბანურ პალიმფსესტში არის ლექციონარის საკითხავების სათაურები, უკვე ძალიან დიდი იყო.

ახლა კი აზრი ჰქონდა ისეთი უმძიმესი სამუშაოს შესრულებას, როგორიც არის მცირე ასოებით დაწერილი და ქართული პატერიკით დაფარული ალბანური ტექსტის ამოწერისა და გაშიფრვის ცდა. მითუმეტეს, რომ ალბანურ ტექსტს რჩებოდა ერთი ფორმალური თავისებურება, რომელიც არა გვაქვს არც სომხურში და არც ქართულში. ეს არის მცირე ზომის ასოების გასწვრივ მარცხნივ აშიაზე ასევე მცირე ზომის ასოებით ნაწერი ტექსტიხ. (იხ. დანართი, სურათი 8).



რამდენიმე თვის დაძაბულმა შრომამ, სხვადასხვაგვარი განათების, გამადიდებელი საშუალებებისა და კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებამ საშუალება მომცა ორმოცამდე სავარაუდო საკითხვის სათაური მეტ-ნაკლებად ზუსტად გადმომეწერა. რამდენიმე მათგანის გარჩევა და გადმოწერა ჩემთვის მისაწვდომი ტექნიკით სრულიად შეუძლებელი აღმოჩნდა.

ალბანური ანბანი შემონახულია XV ს-ის სომხურ ხელნაწერში. მე კარგად ვიცი, რომ ეს ანბანი გვიანი გადამწერების გამო მნიშვნელოვნად არის დამახინჯებული და ზოგ შემთხვევაში ფონემური მნიშვნელობა მას მცდარად აქვს მიწერილი. ყოველივე ამან, როგორც ზემოთ ვაჩვენე, ჩიხში შეიყვანა მინგეჩაურში აღმოჩენილი წარწერების წაკითხვა.

მიუხედავად ამისა, ალბანური ანბანისა და წარწერების კვლევის პროცესში დღემდე გამოიკვეთა ორი მეთოდი: ერთი მეთოდი უპირატესობას ანიჭებს ანბანის შესწორებას წარწერების ამოკითხვის საფუძველზე, ხოლო მეორე — ანბანის შინაგანი სტრუქტურის განსნით ცდილობს წარწერებში დადასტურებული გრაფემების იდენტიფიკაციას და მათ ამოკითხვას.

მე, თქმა არ უნდა, ბევრად უკეთეს პირობებში ვიყავი, ვიდრე ჩემი წინამორბედები და გადავწყვიტე ალბანური ტექსტი წამეკითხა, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნებოდა, შემონახული ანბანის საშუალებით და თავიდან არავითარი ყურადღება არ მიმექცია სპეციალისტების, მათ შორის ჩემიც, ვარაუდებისათვის.

პირველყოვლისა, რა თქმა უნდა, ვეძებდი ლექციონარში მოსალოდნელ ნაცნობ ანთროპონიმებსა და ტოპონიმებს.

მთელს ორმოც სათაურში ასეთი შედარებით უეჭველად ამოკითხული სიტყვა აღმოჩნდა ერთადერთი: 𐍃𐌾𐌷𐌶𐍂𐌾𐌾𐌺𐌺𐌴𐌾 „თესალონიკე“—ს ამოკითხვა ეჭვს არ იწვევდა, რადგან ყველა ასო როგორც გრაფიკულად (არაარსებითი განსხვავებებით), ისე ფონემურად ემთხვევა სომხურ ხელნაწერში მოცემული ანბანის ასოებს

და მათ წაკითხვაში არც სპეციალისტებს აქვთ განსხვაებული აზრი. (სურათი 11) მხოლოდ ერთი შენიშვნით: სომხურ ხელნაწერში შემონახულ ალბანურ ანბანში საერთოდ არ არის Ⴈ ო გრაფემა და ფონემა. მასთან ძლიერ მიახლოებული ფორმის ასოს ქვეშ მიწერილი აქვს *უნ*, ანუ ანბანის მიხედვით იგი უნდა იყოს "უ" მაგრამ ჯერ ერთი "უ" ფონემა არ არის მოსალოდნელი ანბანის რიგში, ვინაიდან იგი დიგრაფით გადმოიცემა, მეორეც, ეს ასო-ნიშანი იმდენად ემთხვევა თითქმის ყველა ბერძნულის ტიპის ანბანში არსებულ ო-ს, რომ მის სწორედ ასე წაკითხვაში ეჭვის შეტანა არ შეიძლებოდა. მინდა აქვე გაიხსენოს მკითხველმა, რომ სომეხ გადამწერს ბერძნულ ანბანშიც Ⴈ გრაფემისათვის სომხურად მიწერილი აქვს ფონეტიკურ მნიშვნელობად Ու "უ".[103] ცხადია, მე ეს სიტყვა ქარიოულად უნდა გამეგო როგორც „თესალონიკე[ლთა]", თუკი რაიმე ფატალური დამთხვევის წინაშე არ ვიდექი. ისიც აშკარა იყო, რომ, რადგან სათაურში გვაქვს "თესალონიკე[ლთა]", საქმე უნდა გექონდეს *პეტრე მოციქულის ეპისტოლესთან თესალონიკელთა მიმართ*.



სურათი 9

აი, ამ მომენტში მე უკვე პირველად მიხვდი, რომ ალბანური ტექსტი იწყებს ლაპარაკს. ადვილი წარმოსადგენია, როგორი იყო ჩემი მღელვარება. მაშინვე გამახსენდა ი. ჯავახიშვილის სიტყვები, წარმოთქმული 1923 წლის 10 თებერვალს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებაზე, როდესაც მან ბოდლეს ბიბლიოთეკაში დაცულ ქართულ-ებრაულ პალიმფსესტში თაშეკრული ბ-ანი დაადასტურა:

“ამ აღმოჩენისაგან გამოწვეული სიხარულისა და მღელვარებისაგან მუშაობა აღარ შემეძლო. ცხადი გახდა ჩემთვის, რომ თვალწინ ქართული მწერლობისა და ენის უძველესი ძეგლი მედგა. აქამომდე IX საუკუნეზე უწინარესი არც ერთი ქართული ხელნაწერი არ იყო ცნობილი და ახლა ერთბაშად სამი საუკუნით უფრო ადრინდელი ძეგლის ნაწყვეტები აღმოჩნდა! მღელვარებისაგან ცოტა ხნით შეწყვეტილი მუშაობის განახლების დროს ვცდილობდი დავრწმუნებულიყავი, რომ თვალი არ მატყუებდა და შეცდომა და მოჩვენება არ იყო ის, რასაც ვკითხულობდი“.

ცხადია, არამც თუ საჯაროდ, კერძო საუბარშიც კი ამ აღმოჩენის შესახებ ლაპარაკს მე ჯერ არავისთან არ ვაპირებდი, სანამ ბოლომდე არ დავრწმუნდებოდი, რომ “თვალი არ მატყუებდა და შეცდომა და მოჩვენება არ იყო ის, რასაც ვკითხულობდი“ გამონაკლისს მხოლოდ ჩემი ოჯახის წევრები წარმოადგენდნენ.[104]

დავუბრუნდეთ კვლავ ალბანური ხელნაწერის ფოტოებზე და ჩემს გაღმონაწერებზე მუშაობის ისტორიას.

შემდეგი გაშიფრული წინადადების პირველ სიტყვაში უეჭველად იკითხება Σ𐒪-ԿԿϑ ,,კო-ინთა-“. გრაფემა, რომელიც 𐒪 ,,ო“-სა და Կ ,,ი“-ს შორის არის, სომხურ ხელნაწერში შემონახული ანბანის მიხედვით უნდა იყოს Ա ,,კ“. თუ ანბანს დავუჯერებთ, ალბანური სიტყვა უნდა წაიკითხოთ როგორც ,,კოკინთა-“, მაგრამ ტექსტი რომ აზრიანი გახდეს, ჩვენგან ითხოვს ,,კორინთა“-ს ამოკითხვას. საქმე ის არის, რომ სომხური ხელნაწერის ალბანურ ანბანში საერთოდ არ არის ,,რ“, ხოლო ,,კ“ სამჯერ არის მოცემული. აღნიშნულ გრაფემას ,,რ“-დ კითხულობდა ა. აბრამიანი და მას მხარს, გარკვეული კითხვის ნიშნით, უჭერდნენ გ. კლიმოვი, ვ. შულცე, ი. გიპერტი.

მომდევნო წინადადების პირველი სიტყვა უფრო რთულ ვითარებას გვაძლევდა: უეჭველად მასში შეიძლებოდა ამოგვეკითხა მხოლოდ Ժ--Ջ ,,ე--ა“. სიტყვის მეორე ასო არის ის გრაფემა (ნ), რომელიც სომხური ხელნაწერის ანბანში მეორე ადგილზე ზის და მნიშვნელობად მიწერილი აქვს ,,ო“. სპეციალისტების ერთი ნაწილი (ა. აბრამიანი, გ. კლიმოვი, ვ. შულცე, ი. გიპერტი და მეც მათ შორის) ვარაუდობდნენ,

რომ ანბანის მეორე ასო აუცილებლად უნდა იყოს „ბ“, როგორც ეს გვაქვს ყველა სხვა ანბანში. გარდა ამისა, „ბ“ საერთოდ არ არის დადასტურებული სომხური ხელნაწერის ანბანში, თუმცა შეუძლებელია ისეთი კაკასიური ენის წარმოდგენა, რომელსაც ეს თანხმოვანი არ ექნებოდა, ხოლო რომ უნდა ჰქონოდა, ჩანს ანბანის მეცამეტე ასოს სახელწოდებიდან — Իրբ „ირბ“. განსახილველი სიტყვის მესამე ასო არის ის, რომელიც ზემოთ განვიხილეთ: Ա — სომხური ხელნაწერის ანბანის მიხედვით „კ“, ხოლო სპეციალისტების ერთი ჯგუფის ვარაუდით „რ“. ანბანს თუ გავყვებით, ხელთ შეგვრჩება გრაფემათა უაზრო გროვა: „ეოკა-“. წინა გამოცდილებით მე კი უკვე ველოდებოდი, რომ ყველა სათაურის პირველი სიტყვა უნდა ყოფილიყო საყოველთაოდ ცნობილი ტოპონიმი ან ეთნონიმი. დავუშვათ ერთ წუთით, რომ ანბანის ის შესწორებები, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ, სწორეა. მაშინ ეს სიტყვა შეგვეძლება წავიკითხოთ როგორც ჩვენთვის კარგად ნაცნობი ეთნონიმი ᲐᲮᲐᲜ- „ებრა-“.

შემდეგი წინადადების პირველი სიტყვა ანბანის მიხედვით კვლავ შედარებით ადვილად იკითხება: ᲡᲧᲐᲮᲜ- „ეფესა-“. მხოლოდ Ꭹ „ფ“ გრაფემა არის მოცემული რამდენადმე განსხვავებული ფორმით ანბანის გრაფემისაგან, მაგრამ მათ იგივეობაში არაფითარი ეჭვი არ არის. ასევე ადვილად მოხდა ᲭᲙᲭᲝᲗᲩ „ტიტუს-“ისა და ᲭᲙᲪᲝᲘᲐᲝᲩ „ტიმოთეს-“-ის იდენტიფიცირება. გარკვეული განსხვავება არის მხოლოდ ანბანისა და ტექსტის Ⴆ ტ გრაფემათა მოხაზულობებს შორის. ეს გრაფემა არ არის დადასტურებული მინგეჩაურის წარწერებში.

რომ საკითხავების ეს ჯგუფი ეკუთვნის პაულე მოციქულის ეპისტოლეთა ჯგუფს, ანუ „პაულენს“, ამაში ეჭვის შეტანა უკვე აღარ შეიძლებოდა. ამიტომ მთლიანი ტექსტის ამოკითხვას ახლა უკვე ამ თვალსაზრისით სჭირდებოდა მიდგომა.

ცხადია, სათაურში სადმე უნდა მოხსენიებული ყოფილიყო პაულე მოციქული.

მართლაც, ზოგ სათაურში მესამე, ხოლო ზოგში მეოთხე დიდი

ასოთი გამოყოფილი სიტყვა ანბანის მიხედვით იკითხებოდა ⵖⵣ-ⵊⵕⵅⵍ „პა-ლოსი“. მესამე ასო ანბანის მიხედვით უნდა იყოს ⵅ „ი“ („იაგ), ანუ ეს სიტყვა უნდა წაგვეკითხა როგორც “პაილოსი“, მაგრამ სრულიად ცხადია, რომ იგი წარმოადგენს ⵙⵜ „უ“-ს შემადგენელ ნაწილს, რომელიც ბერძნულსა, ქართულსა და სომხურ ანბანებშიც ასევე „უ“-ს შემადგენელი ნაწილია და დამოუკიდებელი გრაფემაც არის (ჯ,ւ). სიტყვა იკითხება როგორც ⵖⵣⵅⵊⵕⵅⵍ „პაულოსი“ (ბერძ. Παυλός) და არა „პაილოსი ”.

ახლა უკვე გასარკვევი დარჩა, რატომ არის „პაულოსი “ ხან მესამე სიტყვა, ხან მეოთხე.

როგორც კი ყველა ეპისტოლეს დასათაურება გადაეთვალიერე, მაშინვე დაეინახე, რომ „პაულოსი “ მესამე სიტყვაა იმ სათაურებში, სადაც პაულეს ეპისტოლეთა მხოლოდ ერთი ჯგუფი გვაქვს (ასეთებია ეფესელთა, ტიტეს და ებრაელთა), ხოლო მეოთხეა მაშინ, როდესაც გვაქვს პაულეს პირველ და მეორე ეპისტოლეთა ჯგუფები (ასეთებია კორინთელთა, თესალონიკელთა და ტიტესი).

ყველა ტექსტის ერთმანეთთან შედარებამ მიჩვენა, რომ მეორე ჯგუფს პირველთან შედარებით მეტი აქვს მხოლოდ მეორე სიტყვა. ცხადია, ეს სიტყვა უნდა იყოს „პირველი“ და „მეორე“. ეს სიტყვები, იმ ცოდნის მიხედვით, რაც მე უკვე დამიგროვდა, სრულიად ძალდაუტანებლად იკითხებოდა ასე: ⵀⵚⵃⵏⵔⵙⵛⵅ „სერბაუნ“ და ⵜⵙⵃⵔⵅⵅⵅ „პურანინ“.

მაგრამ რომელია მათ შორის „პირველი“ და რომელი „მეორე“? თანამედროვე უდიურში „ერთის“ აღმნიშვნელი სიტყვაა „სა“, ხოლო „ორი“-სა „პა¸“. ცხადია, უნდა ვიფარაუდოთ, რომ „პირველი“ არის ⵀⵚⵃⵏ-ⵙⵅ „სერბა-უნ“ (-უნ ნათესაობითი ბრუნვის აღმნიშვნელი სუფიქსი უდიურში ითვლება რიგობითის მაჩვენებელ ძველ სუფიქსად, რომელიც დღესაც ცოცხალია, თუმცა იგი ფაქტიურად შეცვალა უფრო გავრცელებულმა აზერბაიჯანულმა –უმჯი-მ[105]), ხოლო „მეორე“ — ⵜⵙⵃⵏⵔ-ⵅⵅ „პურან-ინ“ (შდრ. უდიურის *პურან* = კვლავ, განმეორებით[106]. -ინ, -ინ აგრეთვე ნათესაობითის აღმნიშვნელი სუფიქსია თანამედროვე უდიურში, როგორც ალბანურში, როგორც

ჩანს, რიგობითი რიცხვითი სახელის აღმნიშვნელად გამოიყენებოდა −უნ-ის მსგავსად). მაგრამ ამას ჯერ კიდევ სჭირდებოდა შემოწმება.

და აი აქ უკვე გაიხსენე ის კონტექსტი, რომელშიც ერთი და იგივე ფრაზა ცხრაჯერ მეორდებოდა. ეს ტექსტი აღმოჩნდა იმ სათაურის ქვეშ, რომელიც ამოკითხული მქონდა როგორც ⴑⴇⴊⴝⴝⵖⵗⵄⵇⵄⵏ ⵖⵇⴊⵗⵗⵝ „კორინთაულოდ პურანინ“. მე ვევარაუდობდი, რომ ეს უნდა ყოფილიყო „კორინთელთა (ან „კორინთელთა მიმართ“) მეორე“.

ასეთი ადგილის მოძებნა პაულე მოციქულის მეორე ეპისტოლეში კორინთელთადმი არაფითარ სიძნელეს აღარ წარმოადგენდა და იგი აღმოჩნდა 11 თავის 25-27 მუხლები, სადაც პაულე მოციქული ყვება თავისი განსაცდელების შესახებ, რომლებიც მან ნახა მდინარეთაგან, ავაზაკთაგან, თავისი ხალხისგან, წარმართთაგან, ქალაქებში, უდაბნოებში, ზღვებში, ცრუ ძმებისაგან; მრავალი უძილო ღამე, შრომა, შიმშილი და წყურვილი, რომელიც მან გამოიარა და ა.შ.

ძირითადი ფრაზა, რომელიც ამ კონტექსტში ცხრაჯერ გვხვდება, არის ⴆⴊⴋ ⴊⴑⴋⵀⵇⵄⵗⵇⵀ „მარაკესუნუხ“.

„მარ“ თანამედროვე უდიურში არის „ჩირქი“, ხოლო „აკესუნ“ — „ნახვა“, რაიმეს „განცდა“. „-უხ“ დღევანდელ უდიურში არის მრავლობითის მაჩვენებელი სუფიქსი, რაც, ცხადია, ასევე იყო ალბანურში. ეს გამოთქმა („მარ აკესუნუხ“) ქართულად ძალიან კარგად გადმოიცემა ანალოგიური შესიტყვებით: „ჭირთა (resp. ჩირქთა) ნახვანი“.

ჩამოთელაში, თუ რისგან ნახა ჭირი პაულე მოციქულმა, გვხვდება რამდენიმე სიტყვა, რომელიც დადასტურებულია როგორც ძველ, ისე თანამედროვე ქართულში, სომხურსა და უდიურში, ასე რომ მათი წაკითხვა არაფითარ სიძნელეს აღარ წარმოადგენს. ამიტომ ამ სიტყვათა აღმნიშვნელი გრაფემების ფონემურ მნიშვნელობაში ეჭვის შეტანა აღარ შეიძლება.

ესენია:

1. ⴆⴆⴊⴑⴊⴑⴑ „აბაზაკ“ = ყაჩაღი (ასევეა თანამედროვე უდიურში), ხოლო ქართულსა და სომხურში გვაქვს „ავაზაკ“. ცხადია, ამის შემდეგ

უეჭველად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ანბანის მეორე ასო (ნ) არის მხოლოდ და მხოლოდ „ბ“ და არა „ო“.

2. ᲘᲐᲕᲙᲝᲮ „პეთანოს“ = წარმართი (< ბერძნ. ეთნოს). ასევეა სომხურში (հեթանոս). ამის შემდეგ უეჭველია, რომ ანბანის 23-ე ასო, რომელიც მოხაზულობით ძლიერ განსხვავდება ალბანური ტექსტის იმავე გრაფემისგან, არის „ჰ“.

3. ⊥ᲥᲘᲔ⊥ „ქალაქ“ = ქალაქი. ასევეა ქართულში და სულ მცირე ფონეტიკური სხვაობით (ოდნავ განსხვავებული „ლ“) IX ს-დელ სომხურშიც (IX ს-დან სომხურში გვაქვს քաղաք „ქაღაქ“). უეჭველია, რომ ის გრაფიკული ნიშანი, რომელიც ქართულსა და სომხურშიც „ქ“-ს“ აღნიშნავდა, ნამდვილად არის „ქ“.

4. ᲦᲝᲨ-ᲧᲩ „ბუს-ინ“ = შიმშილ-ით. თანამედროვე უდიურში „ბუსა“ = „შიმშილი“.

დავუბრუნდეთ ახლა კელაჟ პაულე მოციქულის ეპისტოლეებს.

მაგალითისთვის ავიღოთ მხოლოდ ერთერთი საკითხავი (ვთქვათ, ეფესელთა), რადგან საკითხავების სათაურების ერთი ჯგუფი ერთმანეთის მიმართ სრულიად იდენტურნი არიან, თუ მხედველობაში არ მოვიღებთ ეპისტოლეს ადრესატს:

ᲯᲧᲯᲐᲘᲥᲝᲨᲝᲘ ᲘᲩᲬᲧᲝᲫᲘᲝᲢ ᲣᲥᲘᲘᲝᲐᲩ ᲘᲯᲬᲘ ᲥᲘᲝᲘᲥ ᲝᲐᲧᲯᲐᲘᲝᲐᲩ „ეფესაულოდ დიპნუხოც პაულოსი ჰებიდ. ადოდა უფესუნ“.

გრამატიკული ფორმების ზუსტი დაცვით ეს წინადადება ასე გადმოითარგმნება:

„ეფესელთად (ეფესელების) ეპისტოლეთაგან პაულესი მოციქულისად. ალილუია სრულდება (ან შესრულდეს)“.

ᲯᲧᲯᲐᲘᲥᲝᲨᲝᲘ „ეფესაულოდ“-ში Ნ „ღ“-ს ამოკითხვა პრობლემებთან არის დაკავშირებული.

ანბანში გვაქვს ორი გრაფემა, რომლებიც მოხაზულობით ძალიან ახლოს არის შესატყვის გრაფემასთან სიტყვაში ᲯᲧᲯᲐᲘᲥᲝᲨᲝᲘ „ეფესა-ულ-ოდ“: ესენია სომხურ ხელნაწერში შემონახული ალბანური ანბანის 37-გრაფემა խամ „ხამ“ და 41-ე — ⊥ჩს „ფეს“. ამათგან „ფეს“ უფრო მეტად წააგავს ᲯᲧᲯᲐᲘᲥᲝᲨᲝᲘ „ეფესაულოდ“-ში

დადასტურებულ გრაფემას და თავდაპირველად მას ასეც ვკითხულობდი. მაგრამ მოსვენებას არ მაძლევდა უდიურის მრავლობითის –უხ, რომელიც სხვადასხვა პოზიციაში (ძირითადად ხმოვნებს შორის) გვაძლევს -უე სუფიქსს. ასეთ წაკითხვაში ხელს მიშლიდა ის გარემოება, რომ დაახლოებით ანალოგიურ პოზიციაში სხვა ადგილას მრავლობითის ფორმანტი -უხ სხვა გრაფემით იყო გადმოცემული (ᲘᲧᲜᲧ-ᲝᲗᲨ-ᲝᲢ დიპნ-**უხ**-ოც). ვფიქრობდი, რომ შესაძლოა ალბანურში ჯერ კიდევ არ არის მომხდარი შესაბამისი ფონეტიკური პროცესი და ეს სიტყვა უნდა წავიკითხოთ როგორც „ეფესა-**უხ**-ოც“.

საქმე რომ გვაქვს ნამდვილად „ღ“-სთან და არა „ხ“-სთან და მით უმეტეს „ფ“-სთან, ამაში დამარწმუნა კელაუ II კორინთელთა 11 თავის ახლა უკვე 25 პარაგრაფის ანალიზმა.

იქ, სადაც პაულე მოციქული ამბობს, რომ ზღვის ფსკერზე დაუყოვნებლივ *დღე და ღამეო*, ალბანურში გვაქვს ᲕᲨ ᲝᲨᲨ ᲚᲝᲨ „ღი უნ შუ“, თუ განსახილველ გრაფემას წავიკითხავთ როგორც „ღ“-ს, აზრიან შესიტყვებას მოვიღებთ. უდიურში „ღი“ ნიშნავს დღეს, ხოლო „შუ“ ღამეს. აქვე აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ სომხური ხელნაწერის ალბანურ ანბანში „ღ“ საერთოდ არ არის დადასტურებული, იმ დროს, როდესაც Վ „ხ“ (ᲮᲫᲜ) გვხვდება (17-ე ასო). ამიტომ ანბანში დადასტურებული 37-ე ასო არის არა „ხამ“, არამედ „ღამ“. ეს ასო ანბანის სომეხმა ჩამწერმა იმიტომ ვერ გადმოსცა ღ-თი, რომ მას იმ დროს ასეთი გრაფემა არა ჰქონდა. ანუ გრაფემა Ղ მაშინ ჯერ კიდევ უფრო ახლოს იყო ლ ფონემასთან და არა ღ-სთან. ყოველივე ზემოთ ნათქვამი მაიძულებს გავაკეთო შემდეგი მნიშვნელოვანი დასკვნა:

სომხურ ხელნაწერში მოთავსებული ალბანური ანბანის დედანი შესრულებულია IX ს-ზე ადრე.

ზმნა „ფესუნ“ თანამედროვე უდიურშიც არის „გაკეთება“, „შესრულება“ რაიმესი.

ალბანურში „ალილუჲა“ გადმოცემულია „ლ“-ს გარეშე (“ადოჲა“), რაც ფონეტიკური კანონზომიერება ჩანს (ხმოვნებს შორის „ლ“-ს

დაკარგეა) როგორც ალბანურ ენაში ისე თანამედროვე უდიურში.

ᲘᲧᲜᲧ „დიპნ“ (შესაძლოა ფორმაშეკუმშულია და სახელობითში უნდა იყოს „დიპუნ“ ან აღდგეს რომელიმე სხვა ხმოვანი) ალბანურში უეჭველად აღნიშნავდა „ეპისტოლეს“. ᲘᲧᲜᲧᲝᲗᲘᲝᲢ „დიპნ-უხ-ოც“ რომ მრავლობითის აბლატიეია, ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ მას კლაუ II კორინთელთა 11. 26-ის ჩვენთვის უკვე ნაცნობ ფრაზებს შევადარებთ:

ᲓᲔᲫ ᲔᲔᲯᲘᲝᲗᲧᲝᲗᲘ ᲔᲓᲔᲘᲔᲔᲯ-ᲝᲗᲕ-ᲝᲘ-ᲝᲢ „მარ აკესუნუხ აბაზაკ-უღ-ოხ-ოც“ („ჭირნი აბაზაკთა-გან“), „მარ აკესუნუხ პეთანოს-უღ-ოხოც“ („ჭირნი წარმართთა-გან“).

ᲩᲯᲜᲧ „პები“ = მოციქული.

ქვემოთ მკითხველი იხილავს კათოლიკე ეპისტოლეთა სათაურებს, რომლებიც ამოკითხულ იქნა სინურ პალიმფსესტში:

ᲖᲔᲔᲝᲜᲧ ᲔᲔᲓᲝᲘᲧᲔᲯᲝᲗᲕᲝᲘ ᲘᲧᲜᲧᲝᲗᲘᲝᲢᲔᲘᲝᲘᲔ ᲝᲗᲨᲯᲘᲝᲗᲧ

დაკობი კათოლიკეუღოდ დიპნუხოც. აᲓოდა უფესუნ (“იაკობის კათოლიკე ეპისტოლეთაგან. ალილუია სრულდება“).

ᲨᲯᲒᲫᲝᲘᲧ ᲔᲔᲓᲝᲘᲧᲔᲯᲝᲗᲕᲝᲘ ᲨᲝᲒᲫᲔᲧᲧᲧ ᲘᲧᲨᲧᲝᲗᲘᲝᲢ ᲝᲗᲨᲯᲘᲝᲗᲧ პეტროსი კათოლიკეუღოდ პურანინ დიპნუხოც უფესუნ („სრულდება პეტრეს მეორე კათოლიკე ეპისტოლედან“).

საინტერესო შედეგი მოგვცა „იაკობ მოციქულის კათოლიკე ეპისტოლეებიდან“ პირველი თავის დასაწყისის იდენტიფიკაციამ:

ᲖᲔᲝᲔ ᲜᲘᲝᲗᲧ - - - - ᲘᲘᲧ ᲯᲘᲧ - - - - დაკობ, ბ̄Დ უნ ------ Დ̄სი ᲩᲘსი ---- (იაკობ, ღმრთისა და უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტჱსი .).

ამ ადგილმა კიდევ ერთი სადავო პრობლემა გადაწყვიტა: დაქარაგმებული ᲜᲘ ბ̄Დ არის ნამდვილად ᲜᲧᲔᲫᲧ-ᲗᲕ-ᲝᲘ „ბიხაჯ-უღ-ოდ“ („ღმრთისა“. –უღ გაქვეებული მრ.[107]).

„ბიხაჯუღ“ რამოდენიმენაირად ქარაგმდება ტექსტებში. სახელობითი უნდა იყოს ნ(ᲧᲔᲫᲧᲗ)Ნ „ბ(იხაჯუ)ღ“, ხოლო იესუ ქრისტე ქარაგმდება სწორედ ისე, როგორც ეს მოცემული გვაქვს ტექსტში: Ⲓ(ᲗᲝᲗ)ᲨᲧ ⳉ(ᲫᲧᲨᲒᲝᲨ)Ყ ⲥ(სუ)სი ქ(რისტოს)ი (“იესუ ქრისტესი“).

აქვე შეიძლება აიხსნას „ქრისტეს“ დაქარაგმება სხვადასხვა

ბრუნვაში და სხვადასხვა წესით: ⱶ(ⰻⰿⰽⰰⰱⰻ)ⰽ ⰽ(რისტო)ს, ⱶ(ⰻⰿⰽⰰⰱⰻⰽ) ⰽ(რისტოს), ⱶ(ⰻⰿⰽⰰⰱⰻⰽ)ⰺⰴ ⰽ(რისტოს)ან, ⱶ(ⰻⰿⰽⰰⰱⰻⰽ)ⰺ ⰽ(რისტოს)ა, ⱶ(ⰻⰿⰽⰰⰱⰻⰽ)ⰾⰿ ⰽ(რისტოს)ენ, ⱶ(ⰻⰿⰽⰰⰱⰻⰽⰾ)Ⰿ ⰽ(რისტოსე)ნ.

უფრო ძნელი ამოსაკითხი აღმოჩნდა სათაურები სახარების საკითხავებიდან, მაგრამ Ⴔ.ⴔⴘⰾⰻⰽⰺⰿ „მათეოსი“, ⰱⰻⰻⰣ.ⴔⰺⰿ „ლუკასი“, ⰱⰻⰽ›ⴔⰿⴔⰺⰾⰺⰿ „დოპანანესი“ ადვილად იკითხება. დანარჩენს შემდგომი მუშაობა სჭირდება.

ძალიან ძნელი ამოსაკითხია სათაურების გასწვრივ მცირე ასოებით გაკეთებული მინაწერები, თუმცა ბევრ შემთხვევაში ეს არის თვითონ სათაურის შემოკლებულად გამოტანა ტექსტის გარეთ საკითხავის უფრო ადვილად მისაგნებად.

მაგალითად:

ⰻⰣⰽⰰⰱⰻⰽ ⰱⴔⰣⰻⰻⰾ ›ⰰⰾⰾⰺⰾ ⴔⰱⰻⰻⰴ „უფესუნ დაკობი პებიდ, ადიდა“ (სრულდება პაულე მოციქულისა, ალილუია).

ⰻⰣⰽⰰⰱⰻⰽ ⴘⰰⰱⰻⰻⰽ ⴆ-ⰻⰻⰱ „უფესუნ პეტროსი ბ-ლიდ“ (სრულდება პეტრეს მეორედან).

მაგრამ სახარების საკითხავებთან უფრო ვრცელი ტექსტია გარეთ გამოტანილი და მათში ზოგჯერ ფსალმუნის (ⰻⴔⰱⰾⰻⰻⰽ „სალმოს“) წაკითხვაც არის მითითებული. მათ სწორად ამოკითხვას ჯერ კიდევ ხანგრძლივი მუშაობა სჭირდება.

ყოველივე იმან, რაც უკვე ნამდვილად ამოკითხულია, დაგვანახა ისიც, რომ დაქარაგმების არსებობის შემთხვევაში ყოველთვის რაიმე საპატიო სიტყვა არ უნდა ვეძებოთ.

მაგალითად:

სიტყვა ⰻⰣⰽⰰⰱⰻⰽ „უფესუნ“ გვხვდება სრულად დაწერილიც და ბოლოდაქარაგმებულიც (ⰻⰣⰽⰰⰱⰻⰽ „უფესუნ“). ასევეა ⴘⰻⰰⴔⰺⰽⰽⰽ „პურანინ“ > ⴘⰻⰰⴔⰺⰽⰾ̃ „პურანნ̃“. ამრიგად, სინურ პალიმფსესტში დაქარაგმებული ⰻ̃ⰾ ⰾ̃ⰽ არის –ⰻⰿⰽ -ს(უ)ნ და ⰾ̃ⰾ ⰽ̃ⰽ -ნ(უ)ნ[108].

მე ჯერ არ ვეხები ანბანის შედგენილობის საკითხს, მაგრამ კითხვა ამასთან დაკავშირებით ალბათ დაიბადება და მინდა ვთქვა შემდეგი:

ჩემი წინასწარი დათვლით, ალბანურ ტექსტში გრაფემათა

რაოდენობა უნდა ყოფილიყო 54 — 56 (უფრო მეტად სავარაუდოა 54). დღეს ამაზე შორს წასვლა ჯერ კიდევ ნაადრევია. ამიტომ უნდა ამოვიდეთ გრაფემათა იმ რაოდენობიდან, რომელიც მოცემული გვაქვს სომხური ხელნაწერის ანბანში — 52. ანბანის 52 გრაფემიდან მოხაზულობის თვალსაზრისით (მეტ-ნაკლები მსგავსებით) იდენტიფიცირებულია 42. 10 გრაფემა ანბანსა და პალიმფსესტებში ერთმანეთთან მსგავსებას ვერ ნახულობს. 42 გრაფემიდან ფონემური თვალსაზრისით უეჭველად იდენტიფიცირებულია 36. დანარჩენის ფონემურ ღირებულებაზე ჯერჯერობით ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ ანბანის მიხედვით. 36 დადგენილი ფონემური მნიშვნელობის მქონე გრაფემიდან სომხური ხელნაწერის ანბანში სრულიად მცდარია 9 (ოდეთ, ზიმ, გატ, კორ, უნ, ხამ, კატ, ჯაჲ, ჲაიგ).

ალბანური ხელნაწერის გრაფემათა იდენტიფიკაცია და მათი ფონემური მნიშვნელობა

სომხურ ხელნაწერში დაცული ალბანური ანბანი რომ ხშირად მიმსგავსებულია სომხურ გრფემებს, ეს ყველა სპეციალისტმა მაშინვე შენიშნა. მაგრამ არავის მოსვლია ფიქრად ევარაუდა, რომ ალბანურ ანბანს დედანში მნიშვნელობები თავდაპირველად მიწერილი ექნებოდა ალბანურ ენაზე და ალბანური ასოებით. ამიტომ შეცდომები გრაფემათა ქვეშ მიწერილ ფონეტიკურ მნიშვნელობებში სომეხი მწიგნობრისგან ალბანური გრაფემების არასწორი ამოკითხვითაც უნდა აგხსნათ.

ქვემოთ სადაო გრაფემათა მნიშვნელობების განსაზღვრაში ეს ვარაუდიც იქნება გათვალისწინებული.

1. Ջ Ալթ ალთ — ანბანის, წარწერებისა და პალიმფსესტის მონაცემებს შორის არის არაარსებითი განსხვავებები და მათი იდენტიფიკაცია ადვილია. ამიტომ ამ გრაფემის ფონემურ შეფასებას მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობა არ გამოუწვევია და არც გამოიწვევს. ა. აბრამიანმა ეს გრაფემა გადაბრუნებულ ქართულ

ასომთავრულ ა-ნს მიამსგავსა[109].

სინურმა პალიმფსესტმა დაადასტურა, რომ ალბანური ანბანის პირველი გრაფემა მართლაც არის Ջ ა, რადგან ასე იკითხება იმ სიტყვებში და საკუთარ სახელებში, რომელთა სწორად წაკითხვაში ეჭვს ვერ შეიტანთ.

მაგალითები: ՋեՋՃՋՀ აბაზაკ (ავაზაკი), ՋեՀՃՋՐՋԼ აბრაჰამ (აბრაამი), ԹՋՂՋԹ ქალაქ (ქალაქი).

2. Ե Ոութ ოდეთ — პირველად ამ გრაფემის ო-დ წაკითხვა ეჭვის ქვეშ დააყენა ა. შანიძემ. მისთვის, რა თქმა უნდა, თვალშისაცემი იყო ის ფაქტი, რომ ალბანურ ანბანში, რომელიც ასე მდიდარია თანხმოვნებით, არ არის დადასტურებული მჟღერი ბ. ცხადია, მან მაშინვე შეამჩნია ისიც, რომ ალბანურს ჰქონდა ასეთი ფონემა, ვინაიდან იგი გამოყენებულია ორი გრაფემის დასახელებაში: Էբ Ցბ და Իրբ ირბ. ამიტომ ეს გრაფემა, მისი ვარაუდით, ან შემთხვევით არის გამოტოვებული გადამწერის მიერ, ან იგი არ არის გამოტოვებული, მაგრამ მიწერილი აქვს მცდარი მნიშვნელობა, როგორც ეს დადასტურდა სხვა ანბანებში (მაგ. „ელტა“ „დელტა“-ს მაგიერ ბერძნულ ანბანში და „ახა“ „ხა“-ს მაგიერ ქართულში).

ა. შანიძის ვარაუდით, ასო ბ უნდა ყოფილიყო მეორე ან მესამე გრაფემა ანბანის რიგში და მისი სახელი იქნებოდა "ბალთ". ამასთან დაკავშირებით მან წამოაყენა უაღრესად გონებამახვილური მოსაზრება: ქართული გამოთქმა „ერთი ალთას მეორე ბალთას“ (ორი პირის ერთმანეთის საწინააღმდეგო ქმედების აღსანიშნავად), შესაძლოა, ქართულში ალბანურიდან იყოს ნასესხებიო. უფრო კი ა. შანიძე იხრებოდა იმ აზრისაკენ, რომ ალბანურ ანბანში ბ უნდა იმალებოდეს რიგით მეორე გრაფემის ქვეშ, რომელსაც შეცდომით აქვს მიწერილი „ოდეთ“, ან რომელიმე ისეთი თანხმოვნის ქვეშ, რომელიც ორი ან სამი შესატყვისით არის წარმოდგენილი[110].

ბ-ს არ არსებობა ანბანში დაადასტურა ჟ. დუმეზილმაც, მაგრამ მიიჩნია, რომ იგი შეიძლება იმალებოდეს რომელიმე p-ს ქვეშ[111].

ასეთივე შეხედულება გამოთქვა ჰრ. აჯარიანმაც, რომელმაც შესაძლოდ ჩათვალა ორი ფ-დან ერთერთში ბ იგულისხმებოდეს[112].

ჟ. დიუმეზილისა და პრ. აჭარიანის ნაშრომები დაახლოებით ერთდროულად გამოქვეყნდა, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოვიდნენ ამ აზრამდე.

სრულიად უყოყმანოდ გააიგივა ნ გრაფემა ბ-სთან ა. აბრამიანმა. მისი აზრით, იგი არის გადმობრუნებული სომხური ჲ გრაფემა, ხოლო მისი სახელწოდება უნდა იყოს „ბეთ“ და არა „ოდეთ“[113].

ასეთივე შეხედულებას იზიარებენ გ. კლიმოვი[114], ე. ღუკასიანი[115], გ. შულცე[116] და ი. გიპერტი[117].

ნ=ბ კატეგორიულად არ გაიზიარა ს. მურაყიოვმა. მისი აზრით, როგორც ჩანს, ალბანურში არც იყო ანბანში ადგილით და ჟღერადობით სომხური ჲ (ბ)-ს შესატყვისი გრაფემა/ფონემა[118].

ალბანურმა პალიმფსესტმა დაადასტურა, რომ ალბანური ანბანის მეორე გრაფემა ნ ნამდვილად ჟღერდა როგორც ბერძნული, სომხური და ქართული ბ-ს შესატყვისი. ცხადია, ამიტომ ალბანური ანბანის მეორე ასოს სახელწოდება არ შეიძლება იყოს „ოდეთ“. უფრო ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ მისი სახელწოდება იქნებოდა „ბეთ“, „ბოდეთ“ (არა ჟღერს ბუნებრივად) ან იქნებ მართლაც ა. შანიძის მიერ ნაპარაუდევი „ბალთ“.

ალბანური ანბანის მეორე ასოს სახელდების შესახებ საინტერესო დაკვირვება აქვს ე. ღუკასიანს:

"Слово "алфавит" (азбука) в арамейских, греческом, армянском, грузинском, русском и др. языках образуется сочетанием названия букв "А" и "Б" (Ср.: арамейский айб+бей=алефбей; греческий алпһ+бета=алпһабет; армянский айб+бен=айбубен; грузинский ан+бан=анбани; русский аз+бук=азбука и т.д.)... в "Истории албан" Мойсея Утийского употребляется слово "алпһабет". Автор сообщает, что когда албанский князь Джеваншир был убит, поэт Давтак "стал петь, по алфавитному заглавию, следующий гимн. ." В армянских рукописях "Истории албан", относящихся к XIII-XVIII вв., это слово (чуждое армянскому языку) написано через "ֆ"– alfafit.

Следовательно, если первая буква албанского алфавита

называлась alth (alph!), то вторая могла бы называться beth. Таким образом, "алфавит" в албанском имел бы такую же форму, как в греческом (athabet < alphabet). Это вполне допустимо для Абании V-VII вв., когда в стране развит был грекофилизм"[119].

გ. კლიმოვი პრინციპულად დაეთანხმა ვ. ღუკასიანის ამ ვარაუდს, მაგრამ მიიჩნია, რომ ის ფორმა, რომელიც შემოინახა "ალბანეთის ისტორიამ", უნდა იყოს ძველი ალბანური ტერმინის გვიანდელი ასახვა, ვინაიდან გრაფემა/ფონემა f სომხურში შემოვიდა მხოლოდ XII ს-ის შემდეგ.

ვ. ღუკასიანს არ შეეძლო გაეთვალისწინებინა (ხოლო გ. კლიმოვი, როგორც ჩანს, მთლიანად მას დაეყრდნო) მოსე კალანკატუელის "ალბანეთის ისტორიის" კრიტიკული გამოცემა, რომელიც გვიჩვენებს, რომ ֆ f-იანი ფორმები დაცულია თხზულების გვიანდელ რედაქციებში. ყველაზე ადრინდელ ხელნაწერში (1288-1289 წწ.) გვაქვს ապհատիէտ (ალფაფეტ), ხოლო ერთ, შედარებით გვიანდელ ხელნაწერში (1730-1737) დაცულია ատբաբետ (ალბაბეტ/ალბაბეტ) ფორმაც[120]. ცხადია, უნდა ვიფიქროთ, რომ ალბანურ დედანში გვქონდა ՀղՑԲՀՑ "ალთაბეთ" ან ՀղՑԲՀՂ (ალთაბალთ), ხოლო გადამწერები მასში ეელარ გაერკვნენ და დაწერეს ისე, როგორც მათთვის უფრო გასაგები იყო.

მაგალითები: ՀԲՀՃՀՀ აბაზაკ (აჯაზაკ-ი), ՀԵՒՀՃԾՃՕԴ ებრაულოი (ებრაელთაი), ՀԲԼՀՃՑՀ აბრაჰამ, ԴՀՀՕԵ იაკობ.

3. Հ Ջիմ Ზიმ — ა. აბრამიანის აზრით, ანბანის რიგის მიხედვით (3-ე გრაფემა) უნდა გექონდეს გ და არა ზ. შეცდომა დაშვებულია გადამწერის მიერ, რომელმაც ერთმანეთში აურია სომხურში მსგავსი ასოები Ջ ზ და Գ გ[121].

ამ შეხედულებას დასაბუთების თვალსაზრისით აქვს მხოლოდ ის ნაკლი, რომ ალბანურ ანბანში გრაფემათა სახელწოდების პირველი ასო აღნიშნულია ყოველთვის ასომთავრულით, ხოლო სომხური ზ და გ ერთმანეთს ჰგავს მხოლოდ ნუსხურ დამწერლობაში (შდრ. ՋԳ და զգ). ასეთ შემთხვევაში იძულებული გაუხდებით დაუშვათ, რომ ხელნაწერის დედანში გრაფემათა სახელწოდებები თავდაპირველად აღნიშნული იყო ნუსხური დამწერლობით, რაც ძნელი წარმოსადგენია.

ანბანის მესამე გრაფემა ა. აბრამიანმა მოხაზულობით მიამსგავსა მარცხნივ მოტრიალებულ ქართულ გ-ანს და მიანიჭა სახელწოდება „გიმ“.

აღნიშნული შესწორება გაიზიარეს ვ. ღუკასიანმა[122], გ. კლიმოვმა[123], შულცემ[124] და ი. გიპერტმა.

არ გაიზიარა იგი ს. მურაჟიოვმა და ამოიკითხა მასში ბ, რომელიც ჟღერადობით განსხვავდება სომხური բ ბ-სა და, რა თქმა უნდა, ქართული ბ-სგან, ხოლო თვითონ ასოს ზედწოდება განსაზღვრა როგორც *ბიმ* [125].

ალბანურმა პალიმფსესტმა დაადასტურა, რომ აღნიშნული გრაფემა ნამდვილად უნდა წაკითხულ იქნას როგორც გ და მისი სახელწოდება სავარაუდოა ყოფილიყო „გიმ“. ადვილი შესაძლებელია, რომ სომეხმა ავტორმა ალბანურად დაწერილი “გიმ“-ის პირველი ასო მიამსგავსა ანბანის 20-ე ასოს “ზოხ“, რომელსაც სომხურ ხელნაწერში მისგან განასხვავებს ზევით მარცხნივ ძლიერ გაზიდული ხაზი. ასეთი ხაზი მნიშვნელოვნად უფრო მოკლეა სინურ პალიმფსესტში —𐡆𐡌𐡋 /𐡂𐡌𐡋 ЄЧЦ / ЄЧЦ.

მაგალითები: ՋԿՀՎՈՖ ანგელოს (ანგელოზი), ՑՋՃՋՀՉՋԿ თარგმან (თარგმანი).

4. Գափ գափ — ა. აბრამიანი ვარაუდობდა, რომ ამ შემთხვევაშიც გვაქვს სომხურის მსგავსი გრაფემების — Դ დ და Գ გ-ს აღრევასთან საქმე და ანბანის მეოთხე გრაფემა სომხური ანბანის რიგის მიხედვით უნდა იყოს “დ “. ამ აზრს, მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ეს გრაფემა არ არის დადასტურებული მინგეჩაურის წარწერებში, კიდევ უფრო აძლიერებს მისი მსგავსება ქართულ ასომთავრულ დ-ონთან გადმობრუნებულ მდგომარეობაში.[126]

ა. აბრამიანის იდენტიფიკაცია გაიზიარეს გ. კლიმოვმა[127] და ი. გიპერტმა.

ს. მურაჟიოვისათვის იგი არის გ გრაფემა, ოღონდ ფონემური ღირებულებით განსხვავდება სომხური գ გ-სგან.[128]

ალბანური ანბანის მეოთხე გრაფემა არ არის დადასტურებული არა მარტო მინგეჩაურის წარწერებში, არამედ ალბანურ

პალიმფსესტშიც. რაც მთავარია, იგი არ არის მოცემული N2 შანდალზე დატანილ ალბანურ ანბანშიც. სომხური ხელნაწერის გარდა იგი გვხვდება მხოლოდ ქვის ფილაზე ზემო ლაბკოდან, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ეჭვს ამ ფილაზე გამოსახული ანბანის აუთენტურობაში.

ეს გარემოება კი არ შეიძლება იყოს შემთხვევითი და ახსნა სჭირდება.

ჯერ-ჯერობით მე შემიძლია ამ ფაქტის ასახსნელად ორი ვარაუდი წამოვაყენო:

1. ანბანში მეოთხე გრაფემა საერთოდ შემთხვევით არის მოხვედრილი (თუნდაც ქართული ანბანიდან, რომელშიც მეოთხე ადგილზე ზის მისი სრულიად იდენტური დ-ონი, ოღონდ ალბანური გრაფემა გადმოტრიალებულია).

2. ანბანში ეს გრაფემა გაჩნდა გვიან, რეფორმის შემდეგ. როგორც შემდეგ გამოჩნდება, ანბანში ცვლილების შემთხვევები სხვაცა გვაქვს. შდრ. მე-18 გრაფემა ქვემოთ.

5. Ⴟ Ⴡ Ⴒ — რიგის მიხედვით ა. აბრამიანი ვარაუდობს, რომ ანბანის მეხუთე ასო უნდა იყოს ⴡ და არა Ⴒ.[129]

გ. კლიმოვი[130], ი. გიპერტი, და ვ. შულცე ანბანის მეხუთე გრაფემას მიიჩნევენ ე-დ, მაგრამ არ უსვამენ ხაზს მის სიგრძე-სიმოკლეს.

ს. მურაყიოვი Ⴟ ე გრაფემას ა. აბრამიანის მსგავსად განიხილავს სომხური ანბანის ⴡ გრაფემასთან მიმართებაში.

ალბანურმა პალიმფსესტმა დაადასტურა, რომ სწორია ა. აბრამიანის მოსაზრება და Ⴟ გრაფემა არის ე და არა Ⴒ. ამიტომ მისი სახელწოდება უნდა იყოს ⴡ ებ.

მაგალითები: ᲥᲔᲑᲠᲐᲘᲚᲝᲓ (ებრაელთად), ᲮᲐᲜᲓᲐᲖᲘᲐᲜ ვარტაპეტ (მოძღვარი), ᲔᲚᲘᲐᲜᲔᲡ ეკლესია, ᲛᲐᲗᲔᲝᲜᲔᲡ მათეოსი (მათესი).

6. Ⴝ Ⴜ Ⴣ — ამ გრაფემის ფონემური ღირებულება სპეციალისტთა შორის სადაო არ არის და ამას ადასტურებს სინური პალიმფსესტიც. მოხაზულობის მიხედვით ა. აბრამიანს მიაჩნია გადაბრუნებული ქართული ზ-ანის მსგავსად.[131] ქვემოთ, შედარებით ტაბულებში ჩვენ ვნახავთ, რომ იგი ზუსტი ასლია ქართული

ასომთავრული იოტისა.

მაგალითად: ⴰⵓⵛ ზუ (მე), ⴵⴱⴵⴰⴵⵣ აბაზაკ (აჟაზაკი).

7. Ⴢ ⴔⵏ ენ — ანბანის რიგის მიხედვით ა. აბრამიანი თვლის, რომ ეს უნდა იყოს გრძელი "ე" (პირობითად ქართული ⵒ-ს ან სომხური է-ს ბადალი) და არა მოკლე (ქართული ე-ს ან სომხური ե-ს შესატყვისი), როგორც სახელწოდებაშია მოცემული. ანუ მისი სახელი უნდა იყოს ⴔⵏ ⵒⵏ.[132]

გ. კლიმოვი უფრო საჟარაუდოდ მიიჩნევს, რომ ალბანური ანბანის მეშვიდე ასო არის არა გრძელი ე, რომელსაც არ იცნობს უდიური ენის ფონოლოგიური სისტემა, არამედ ფარინგალიზებული ე.[133]

სინური პალიმფსესტის მიხედვით ალბანური ანბანის მეშვიდე გრაფემა სომხურისა და ქართულის მსგავსად უნდა იყოს გრძელი "ე", ან მის გადმოსაცემად უნდა გამოიყენებოდეს სხვა ენებიდან ლიტერატურული გზით შესულ სიტყვებში.

მაგალითი: ⵟⵓⵛⵀⵔⵀ მუსⵒს (მოსე).

8. Ⴣ ժիլ ჟილ — ა. აბრამიანის აზრით, Ⴣ გრაფემა უნდა იყოს Ⴟիլ ჲილ და არა ժիլ ჟილ. ამ გრაფემას იგი აახლოებს სომხური ანბანის ამაჟე მნიშვნელობის Ⴋ -სთან (ოდნავ მაღლა აწეული ფეხით).

ასეთი ვარაუდი გაიზიარა გ. კლიმოვმაც, რომლისთვისაც ალბანური Ⴣ გრაფემა შეესატყვისება, აგრეთვე, ულტრამოკლე „у-ს.[134]

ი. გიპერტი ვერ ადგენს მის ფონემატურ მნიშვნელობას, ხოლო ს. მურაკიოვი არა ცალის ანბანის დასახელებას და მისთვის გრაფემა Ⴣ არის ჟ ფონემა.[135]

ალბანური პალიმფსესტის საფუძველზე Ⴣ გრაფემის ზუსტი იდენტიფიკაცია ჯერ ვერ ხერხდება, ვინაიდან იგი არ შეგხვდა არც ერთ ისეთ სიტყვაში, რომელიც გაკონტროლდებოდა სხვა ენებზე თარგმანების ან უდიური ენის ლექსიკის საშუალებით. ამიტომ ალბანური ანბანის დასახელებაში ცვლილება არ შეგეტანა.

გრაფიკული თვალსაზრისით იგი ზუსტი შესატყვისია ქართული ასომთავრული Ⴣ წ-სი.

9. Ꝑ Ꝑաɯ თას — არც ერთი სპეციალისტისთვის ეს გრაფემა და მისი ფონეტიკური მნიშვნელობა სადავო არ არის. მხოლოდ ი.

გიპერტი აყენებს მას კითხვის ნიშნის ქვეშ. ა. აბრამიანის აზრით იგი გაუს გადაბრუნებულ ქართულ თ-ს.[136] როგორც ჩანს, გულისხმობს ნუსხურ ან, უფრო მეტად, მხედრულ ანბანს, ვინაიდან ასომთავრულთან მას საერთო არაფერი აქვს.

სინური პალიმფსესტი ანბანში მოცემულ ფონემურ მნიშვნელობას უეჭველად ადასტურებს.

მაგალითები: Ⳑⲁⲛⲇⲣⲟⲩⲕⲩⲉⲁⲟⲩⲁⲟⲩ თესალონიკეუღო (თესალონიკელთა), ⲛⲁⲑⲇⲩⲟⲛ ჰეთანოს (წარმართი).

10. ⵛⵛ — ა. აბრამიანის აზრით სახელწოდება დამახინჯებულია და უნდა აღდგეს ⵛⵜ. [137] ამ გრაფემის იდენტურს ქართულსა და სომხურ ანბანებში იგი ვერა ხედავს.

გ. კლიმოვისთვისაც იგი არის ⵛ.[138]

ს. მურაყიოი[139] და ი. გიპერტი არა ცვლიან ანბანში მოცემულ მნიშვნელობას (ⵛ).

სინურ პალიმფსესტში ასეთი გრაფემა დადასტურებული არ არის.

11. ⵍ ⵅიⵏ ⵄⵓⵔ — მისი გრაფიკული მოხაზულობა და ანბანში მოცემული მნიშვნელობა (ⵄ) სადაო არ არის. ა. აბრამიანის აზრით იგი ზუსტი შესატყვისია ქართული ასომთავრული ⵍ ი-სი.[140]

სინური პალიმფსესტი ამ გრაფემის მოხაზულობასა და ფონემატურ ღირებულებას უეჭველად ადასტურებს.

მაგალითად: ⲖⲈⲟⲃ ⵄაკობ, ⲔⲀⲟⲒⲔ ⵄალილუია).

12. ⵜ ⵛⵜ ⵡⵄ — ა. აბრამიანის აზრით, სომეხ გადამწერს სახელწოდების გადაწერისას აღრეული აქვს სომხური Ց და ⵛ. ამიტომ ამ გრაფემის ფონეტიკური მნიშვნელობა უნდა იყოს Ցაყს ⵄაⵏ (ⵄ). იგი 11-ე გრაფემის სახეობაა, მის გვერდით დგას და გაკეთებულია მისივე მიხედვით: მარჯვენა ფრთის მიმატებით. იგი საკუთრივ ალბანური ფონემაა და სომხურში არა აქვს შესატყვისი.[141]

ს. მურაყიოი მას თვლის ⵡ-ს სახეობად.[142]

გ. კლიმოვისა[143] და ი. გიპერტისათვის მისი მნიშვნელობა უცნობია.

სინურ პალიმფსესტში ასეთი გრაფემა დადასტურებულია, მაგრამ არა გვხვდება ისეთი სიტყვების შემადგენლობაში, რომ მისი

ფონემური ღირებულება უეჭველი იყოს.

13. Ⴗ Ⲓⲣⲣ ⲟⲣⲃ — მისი მოხაზულობა, სახელწოდება და მნიშვნელობა (ი) არაეისთვის საეჭვო არ არის.

ა. აბრამიანისათვის იგი არის მარცხნივ გადაბრუნებული სომხური Ի.[144]

სინური პალიმფსესტი უეჭველად ადასტურებს Ⴗ ი გრაფემის ფონეტიკურ მნიშვნელობას.

მაგალითები: ⲰⲈⲘⲰⲤⲒⲄ ეკლესია, ⲌⲁⲑⲰⲘⲁⲤⲒⲄ მათეოსი (მათესი), ⲖⲨⲄⲞⲘⲒⲄ ჩიბუხ (ცოლი), ⲒⲄⲖⲨⲄ ვიჩი (ძმა).

14. Ⴝ Ⲥⲁⲥ — ა. აბრამიანის აზრით, გადამწერს აღურევია სომხური Շ და Լ ერთმანეთში, ამიტომ ეს გრაფემა უნდა იყოს Լա ლა. იგი მას ამსგავსებს ქართულ ასომთავრულ Ზ ლ-ს ზედა კაუჭის გარეშე.[145]

გ. კლიმოვისათვის ამ გრაფემის მნიშვნელობა უცნობია.

ს. მურაეიოვი[146] და ი. გიპერტი თვლიან, რომ ანბანის სახელწოდება სწორეა.

სინური პალიმფსესტი უეჭველად ადასტურებს ამ გრაფემის ფონეტიკურ მნიშვნელობას — "შ", მაგრამ გრაფიკულად ოდნავ განსხვავებულ მოხაზულობას იძლევა: სომხური ხელნაწერის ანბანისაგან განსხვავებით მას მუცელი გახსნილი აქვს და სრული იდენტურია ქართული ს-ანისა.

მაგალითები: ⲎⲤⲤ ხ,აშ. (ნათელი, უდ. მთვარე), ⲆⲀⲤⲔ ბეში (ჩვენი).

15. Ⲩ Լ ⲁⲥ ⲗⲁⲛ — ა. აბრამიანის აზრით, ჟღერადობით იგი მსგავსია წინამავალი გრაფემისა, მის გვერდით დგას და მისგან არის გაკეთებული. წარმოადგენს სპეციფიკურ ალბანურ ფონემას და შესატყვისი არა აქვს სომხურში.[147]

გ. კლიმოვი,[148] ს. მურაეიოვი[149] და ი. გიპერტი სცნობენ ანბანის სახელწოდებას.

სინური პალიმფსესტი უეჭველად ადასტურებს ანბანში მოცემულ ფონემურ მნიშვნელობას. იგი სრულიად იდენტურია ქართულში, სომხურში, ბერძნულსა და სხვა ენებში ცნობილი "ლ" ფონემისა.

მაგალითები: ⲰⲈⲘⲰⲤⲒⲄ ეკლესია, ⲖⲰⲨⲞⲤ სალმოს (ფსალმუნი), ⲖⲰ სა (ერთი).

16. Ինա ონა — ა. აბრამიანის აზრით, ამ გრაფემის სახელწოდებაში არეულია სომხური Ի ი Խ ხ-სთან. ამიტომ მისი ფონემური მნიშვნელობა უნდა იყოს "ხ". მისი გრაფიკული პროტოტიპია შებრუნებული ქართული ასომთავრული Ը..[150]

გ. კლიმოვისათვის აღნიშნული გრაფემის ფონეტიკური მნიშვნელობა უცნობია.[151]

ს. მურავიოვი[152] და ი. გიპერტი მას მიიჩნევენ ი-ს მსგავს სპეციფიკურ ალბანურ ფონემად, რომელსაც არა აქვს ზუსტი შესატყვისი სომხურში.

სინურ პალიმფსესტში ასეთი გრაფემა დადასტურებული არ არის.

17. Գ Խէն ზθნ — ყველა სპეციალისტისათვის ეს არის ხ ფონემა.

ა. აბრამიანი ქართულსა და სომხურში გრაფიკულად მის მსგავს ასოს ვერ პოულობს.[153]

სინური პალიმფსესტი ადასტურებს ასეთი მოხაზულობის გრაფემის არსებობას და ანბანში მოცემულ ფონეტიკურ მნიშვნელობას. იგი საკარაუდოა, რომ იყოს დაახლოებით ქართული ჯ-არის ბადალი. გრაფიკული თვალსაზრისით ახლოს არის ქართულ ასომთავრულ Գ ჯ-სთან. ჯერჯერობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იგი უფრო ხშირად გეხვდება ანლაუტში (სიტყვის დასაწყისში).

მაგალითები: ԳԿნ ჯიბ (სამი), ԳԿნՋՒՕՅԿ ჯიბარუნ (მესამე), ԳՋՆ ჯაშ (ნათელი).

18. Ի Դան დან — ა. აბრამიანის აზრით, მნიშვნელობა მიწერილი აქვს შეცდომით და უნდა იყოს Խղան ხღან. ეს არის სპეციფიკური ალბანური ფონემა ახლოს მდგარი სომხურ ხ-სთან. გაკეთებულია 17-ე გრაფემის საფუძველზე და ჟღერადობითაც მისი მსგავსია.[154]

გ. კლიმოვმა არ იცის მისი მნიშვნელობა.[155]

ს. მურავიოვი ანბანში მოცემულ მნიშვნელობას სწორად თელის.[156]

ი. გიპერტი ანბანის 4-ე ასოს (დ) სახესხვაობად მიიჩნევს.

ალბანური პალიმფსესტი ადასტურებს ამ გრაფემის ანბანში მოცემულ მნიშვნელობას "დ". შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი სომხური ხელნაწერის ანბანში არ არის თავის ადგილზე და უნდა ეკავოს მე-4 ადგილი.

მაგალითები: ⟩ᎫᏍᎾᏂ- -პეროდ- - (პეროდ[ე]), *ᏂᏦᏭᎾᎿᏦ დიპუნ (ეპისტოლე).

19. Ꮯაი ჯარრ — ა. აბრამიანის აზრით, გადამწერების მიერ დაშვებულია შეცდომა და მისი სახელწოდება უნდა იყოს Ꮾაი წარრ. იგი დადასტურებული არ არის წარწერებში. რომელიმე სომხურ ან ქართულ გრაფემასთან მიმსგავსება შეუძლებელია.[157]

გ. კლიმოვისთვის გაუგებარია გრაფემის ფორმაც და მნიშვნელობაც.[158]

ს. მურაყიოვისთვის მისაღებია ანბანში მოცემული განმარტება.[159]

სინურ პალიმფსესტში დასტურდება ასეთი გრაფემა, თუმცა მისი იდენტიფიკაცია ანბანის გრაფემასთან საკმაოდ ძნელია. არ შეგვხვედა იგი, აგრეთვე, რომელიმე ისეთ სიტყვაში, მისი ფონეტიკური ღირებულება რომ დადგენილიყო. ვინაიდან ამ ფონემის სახელწოდების დაბოლოება სომხურად გადმოცემულია კოშტი რ-თი, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი მსგავსი ფონემისაგან განსხვავდებოდა მეტი ინტენსიურობით. შდრ. 30-ე Ⴒ გრაფემა, რომელიც ალნიშნულია "კარრ" სახელწოდებით. ვფიქრობთ, კოშტი რ (ი) გრაფემის სახელწოდების ანლაუტში დიაკრიტიკული ნიშნის ფუნქციას ასრულებდა.

20. Ꭼ Ꮓიხ Ზოხ — ა. აბრამიანისთვის ამ გრაფემას ანბანში შეცდომით აქვს მნიშვნელობა მიწერილი და უნდა იყოს Ꮾიხ წოხ. იგი წარმოადგენს მე-19 გრაფემის ფონემურ სახესხვაობას და ამიტომ დგას მის გვერდით.[160]

გ. კლიმოვმა არ იცის მისი ფონეტიკური მნიშვნელობა.[161]

ს. მურაყიოვს[162] და ი. გიპერტს ეჭვი არ შეუქვთ ანბანში მოცემულ მნიშვნელობაში.

სინურ პალიმფსესტში დადასტურებულია ანალოგიური გრაფემა გარკვეული სახესხვაობით, მაგრამ იგი არა გვხვდება ისეთ სიტყვაში, რომ დარწმუნებული ვიყოთ მის ფონემურ მნიშვნელობაში.

21. Ꮥ Կար კარ — მის ფონეტიკურ მნიშვნელობაში (კ) არაყის ეპარება ეჭვი, გარდა გ. კლიმოვისა, რომელიც ერთ თაყის ნაშრომში მის გვერდით სვამს კითხვის ნიშანს[163]. მის ბოლო ნაშრომში ალბანური ანბანის შედგენილობის შესახებ კითხვის ნიშანი უკვე მოხსნილია.[164]

სინურ პალიმფსესტში ეს გრაფემა დადასტურებულია მრავალჯერ და მის ფონემური ღირებულება "კ" სრულიად ცხადია.

მაგალითები: ᎫᎩᏁᏂᏦᎩ ეკლესია, ᎩᎤᏝᏦᏳᎩᎤᏃᎤᏀ კორინთაულოჲ (კორინთელთაჲ), ᏀᎤᎩᎩᏂᏦ ლუკასი (ლუკას), ᏩᎩᏝᎩᎤᏂᏦ მარკოსი (მარკოზის).

22. Ⱡἱφ ⱡιτ — ა. აბრამიანის აზრით, ანბანში ადგილმდებარეობის მიხედვით იგი უნდა იყოს Ꮶ ჰ და არა Ⱡ, ხოლო შესაბამისად სახელწოდება იქნება Ⱦἱφ ჰიტ. ამიტომ დგას იგი მომდევნო ჰ-ს გვერდით.[165]

გ. კლიმოვისათვის მისი მნიშვნელობა გაურკვეველია[166].

ს. მურაუიოვი და ი. გიპერტი სცნობენ ანბანში მოცემულ მნიშვნელობას.

სინურ პალიმფსესტში ანალოგიური გრაფემა დადასტურებული არ არის.

22. ᏒἜφ ϩϑϯ — რატომღაც ა. აბრამიანს მის სახელად აღნიშნული აქვს ἡφ ჰიტ.[167]

მასთან ერთად ფონეტიკური მნიშვნელობა სწორად მიაჩნიათ ს. მურაუიოვსა[168] და ი. გიპერტს.

გ. კლიმოვი ამ მნიშვნელობას კითხვის ნიშანს უსვამდა შედარებით ადრინდელ ნაშრომში[169], რომელიც შემდეგში მოხსნა[170].

სინური პალიმფსესტი უეჭველად ადასტურებს მის ფონეტიკურ მნიშვნელობას. გრაფიკულად იგი საგრძნობლად განსხვავდება ანბანის შესაბამისი გრაფემისგან (თუმცა, როდესაც სიტყვა იცი, მისი ცნობა მაინც შესაძლებელია) და ძალიან ახლოს არის წარწერების ამაუე გრაფემასთან.

მაგალითები: ᏒᎫᎩᏦᎤᏂ ჰეთანოს (წარმართი), ϮᎩᏒᎩᏦᎩ ქაჰანა (მღვდელი), ᎩϬᏧᎩᏒᎩᏨ აბრაჰამ (აბრაამი).

23. Ꮢϗϳ ϩϫ — ა. აბრამიანის აზრით, მოსალოდნელია, რომ გადამწერის მიერ დაშვებულია შეცდომა და უნდა გექონდეს Ꭿϗϳ ძაჲ. იგი არა გეხვედება წარწერებში.[171]

გ. კლიმოვისათვის ამ გრაფემის მნიშვნელობა გაუგებარია.[172]

ს. მურაუიოვსა[173] და ი. გიპერტს ანბანის ჩვენებაში ეჭვი არ შეაქვთ.

სინურ პალიმფსესტში ასეთი გრაფემა დადასტურებული არ არის.

24. Ս Ար არ — ა. აბრამიანის[174], ს. მურაყიოვისა[175] და ი. გიპერტისათვის მისაღებია ანბანის ჩვენება (ა. აბრამიანი ლათინური ტრანსკრიპციით აღნიშნავს როგორც ä).

გ. კლიმოვისათვის გაუგებარი იყო ამ გრაფემის როგორც მოხაზულობა, ისე ფონეტიკური მნიშვნელობა.[176] შემდეგში მისი ფონეტიკური ჟღერადობა ლათინურად მან ასე აღნიშნა — ar.[177]

სინური პალიმფსესტის მონაცემებით Ս გრაფემა უნდა გადმოსცემდეს გრძელ ა-ს, რომელიც შესაძლოა ახლოს იყოს "ჰა"-სთან.

მაგალითები: ՋեՃՍՂ აბრა,მ (აბრაამ ან აბრაჰამ), ԿՀՍՀ ისა,კ (ისააკ ან ისაჰაკ).

24. Ս Յոյ ցոգ — ამ გრაფემის დასახელებას ა. აბრამიანი შეცდომით კითხულობს როგორც Յոյ Յոգ და თვლის, რომ იგი უნდა იყოს Ö, წარმოთქმაში ჰ-სთან ახლოს.[178]

ასევე ը-ად კითხულობს მას ს. მურაყიოვი.[179]

გ.კლიმოვისათვის 24-ე გრაფემის ფონეტიკური მნიშვნელობა უცნობია.[180]

ი.გიპერტი მას კითხვის ნიშნის ქვეშ კითხულობს "ც"-დ.

თავის დროზე იგი სწორად ("ც") ამოიკითხა ა. შანიძემ.[181]

სინურ პალიმფსესტში "ცოგ" გრაფემა ჯერჯერობით არ შეგვხვდა ისეთ სიტყვაში, რომ შესაძლებელი იყოს მისი ზუსტი ფონეტიკური მნიშვნელობის დადგენა.

27. Ֆ ՃՀ ჭი — ყველა სპეციალისტისათვის სომხური ხელნაწერის ანბანში სწორად არის გადმოცემული მისი ფონეტიკური მნიშვნელობა.

სინური პალიმფსესტი არ იძლევა ჯერჯერობით რაიმე ახლის თქმის საშუალებას და უნდა ვიფარაუდოთ, რომ ეს გრაფემა არის მართლას "ჭ".

მაგალითი: ՖԿԿՕՀՈՐ ჭინუხოც (ნათესაუთაგან).

28. Ղայ ჩაგ — ა. აბრამიანს მიაჩნია, რომ ამ ადგილას უნდა იყოს სომხური ղ (ღ /ლ)-ს ბადალი ფონემა.[182]

გ. კლიმოვი მხოლოდ ამ საკითხზე თავის ბოლო ნაშრომში მოვიდა იმ აზრამდე, რომ ანბანის მითითება სწორია.[183]

ს. მურაკიოვისთვის ანბანის განმარტება მისაღებია[184], ხოლო ი. გიპერტი კითხვის ნიშნის ქვეშ კითხულობს ჭ-ს.

სინურ პალიმფსესტში ასეთი გრაფემა არა დასტურდება.

29. 𐤋 Մակ մակ — ყველა სპეციალისტისათვის სომხური ხელნაწერის ანბანის განმარტება სწორია და ეს გრაფემა არის "მ". ა. აბრამიანი ამსგავსებს გადაბრუნებულ ქართულ ასომთავრულ Ჭ მ-ს.

სინური პალიმფსესტი უეჭველად ადასტურებს ანბანის მონაცემს.

მაგალითები: 𐤋𐤊𐤉𐤏𐤇𐤍 მარკოსი (მარკოზისი), 𐤋𐤊𐤆𐤉𐤏𐤇𐤍 მათეოსი (მათესი), 𐤋𐤊𐤉𐤋𐤌𐤍 მარმინ (ხორცი, სხეული).

30. 𐤊 Կատ կարր — ა. აბრამიანი თვლის, რომ ანბანში ამ ადგილას უნდა ყოფილიყო Յատ ձարր, ანუ გრაფემის ფონეტიკური მნიშვნელობაა "ձ".[185]

გ. კლიმოვმა არ იცის მისი მნიშვნელობა და, ამავე დროს, გრაფემას სრულიად მცდარად გამოსახავს: გრაფემის სახელწოდებაში ա-ს თავზე დასმული დიაკრიტიკული ნიშანი ასოს პალეოგრაფიული ნიშანი ჰგონია.[186]

ს. მურაკიოვისა და ი. გიპერტისათვის მისაღებია ანბანში მოცემული ფონეტიკური მნიშვნელობა.

სინური პალიმფსესტი გვიჩვენებს, რომ გრაფემა 𐤊 გადმოსცემს ქართული "ყ"-ს შესატყვის ფონემას. მისი სახელწოდება უნდა იყოს „ყარ". სომხურ ენაში არ არის ქართული ყ-ს შესატყვისი ფონემა. უფრო ბუნებრივი იქნებოდა, რომ სომხურად მისი მნიშვნელობა გადმოცემული ყოფილიყო Ղ ღ ფონემით. მაგრამ სომხურ ხელნაწერში ალბანური ანბანის შეტანის დროს, როგორც ჩანს, ასეთი ფონემა სომხურ ენაში ჯერ კიდევ არ არსებობდა. ასეთი პერიოდი უნდა დათარიღდეს მე-9 ს-ზე ადრინდელი პერიოდით, როდესაც Ղ ჯერ კიდევ უფრო ახლოს იყო "ლ" ფონემასთან. დამატებით იხ. 19-ე გრაფემის კომენტარი.

მაგალითი: 𐤍𐤏𐤇𐤊𐤉𐤏𐤇𐤍 ბუყესუნ (ყვარება, სიყვარული).

31. 𐤌 Նուց նուց — ასეთი განმარტება ყველა სპეციალისტისთვის

მისაღებია. ა. აბრამიანი თვლის, რომ გრაფიკულად ეს ასო იდენტურია სომხური ს ნ-სი.[187]

სინური პალიმფსესტი უეჭველად ადასტურებს ანბანის ჩვენებას.

მაგალითები: 𐎢𐎠𐎢𐎠𐎴 აუაზან (აბაზანა, ემბაზი), 𐎢𐎢𐎫𐎡𐎢𐎴 თარგმან (თარგმანი), 𐎡𐎢𐎫𐎡𐎴𐎴 მარმინ (ხორცი, სხეული).

32. 𐎭 𐎢𐎩𐎡 𐎧𐎠𐎢 — ა. აბრამიანი 32-ე, 33-ე, 34-ე გრაფემებს განიხილავს როგორც "შ" ფონემის ვარიანტების აღმნიშვნელ ასოებს. ამათგან 32-ე და 34-ე გრაფემათა დასახელებები მას სომეხი მწერლის მიერ კორექტირებულად მიაჩნია, ვინაიდან სომხურს არ შეეძლო სამი შ-ს გადმოცემა.[188]

გ. კლიმოვისა[189] და ი. გიპერტისათვის ამ გრაფემის სახელდება გაურკვეველია.

ს. მურაყიოვისთვის მისაღებია ანბანში მოცემული მნიშვნელობა[190].

წარწერებში ასეთი გრაფემა დადასტურებული არ არის.

სინურ პალიმფსესტში ანბანის 32-ე გრაფემა გვხვდება მისგან ოდნავ განსხვავებული ფორმით: მარცხენა კაუჭი აწეულია ბუნის შუა წელთან. მისი ფონეტიკური მნიშვნელობაა "ჯ", ხოლო სახელწოდება „ჯაე".

მაგალითად: 𐎡𐎠𐎭𐎠𐎠𐎮 მუჯურ (სუფთა, წმიდა). უდიურში „ნათელი, სუფთა, მოწმენდილი [ცა]".[191]

33. 𐎮 𐎠𐎰𐎢 𐎱𐎮𐎢 — ანბანის ჩვენება სპეციალისტებისათვის მისაღებია. ეს არის "შ$_2$".

სინური პალიმფსესტი უეჭველად ადასტურებს ანბანის ჩვენებას. მოხაზულობით იგი ზუსტი ასლია ქართული ასომთავრული Ⴎ მ-ანისა.

მაგალითები: 𐎮𐎠𐎭 შუ (ღამე), 𐎭𐎢𐎮 ხაშ (ნათელი), 𐎬𐎮𐎭 ბეში (ჩვენი).

34. 𐎢𐎮𐎬 𐎧𐎮𐎢𐎲 — ა. აბრამიანისათვის ეს გრაფემა ანბანში მცდარად არის განმარტებული და უნდა აღნიშნავდეს " შ " ფონემის ვარიანტს (იხ. ზემოთ 32-ე გრაფემასთან დაკავშირებული კომენტარი).[192]

გ. კლიმოვისა[193] და ი. გიპერტისათვის მისი მნიშვნელობა უცნობია.

ს. მურაკიოისთვის მისაღებია ანბანში მოცემული სახელდება.[194] სინურ პალიმფსესტში ასეთი გრაფემა არა გვხვდება.

35. Ուն — ყველა სპეციალისტისათვის აშკარაა, რომ ანბანში გვაქვს შეცდომა და ეს გრაფემა უნდა იყოს "ო". ა. აბრამიანისათვის მისი პროტოტიპია ქართული ასომთავრული Ჿ.[195] ასეთივე შეცდომა სომეხ გადამწერს დაშვებული აქვს ბერძნული ანბანის მიმართ. "უ" ფონემა ალბანურში წარმოდგენილია დიგრაფით ՕՒ.

სინური პალიმფსესტი მხარს უჭერს ასეთ შეხედულებას. გრაფიკულად მისი "ო" განსხვავდება სომხურ ხელნაწერში მოცემული ანბანის ო-სგან: მას ქვედა რკალი შეკრული აქვს — Օ.

მაგალითები: ԶՀՃՀՕՃՆԿ პეტროსი (პეტრესი), ՂԶՀՕԵԿ ჲაკობი (იაკობისი), ՀՋՑՕԳԿՀՀՕՅՕԳ კათოლიკეულოჲ (კათოლიკეთაჲ).

36. Տայ ტაჲ — 36-ე, 37-ე, 38-ე და 39-ე გრაფემები ა. აბრამიანს მიაჩნია "ჩ" ფონემის სახესხვაობებად, რის გამოც, მისი აზრით, ისინი გვერდიგვერდ არიან მოცემული: გადამწერს უცნაურად მოეჩვენა, რომ ერთმანეთის გვერდით ჩამოწერილი იყო ოთხი "ჩ" და ისინი შეასწორა ისე, როგორც შემოგვინახა სომხურმა ხელნაწერმა. გრაფემის სახელწოდებაა Ձայ ჩაჲ. იგი წარწერებში არა გვხვდება.

გ. კლიმოვისთვის ამ გრაფემის ფონემური მნიშვნელობა უცნობია.[196]

ს. მურაკიოვი[197] და ი. გიპერტი ანბანის ჩვენებას მისაღებად თვლიან.

სინურ პალიმფსესტში ასეთი, ან თუნდაც მასთან შორეულად მიახლოებული გრაფემა არა გვხვდება.

37. Ծ Խամ ხაჲ — ა. აბრამიანისათვის ეს გრაფემა არის "ჩ" ფონემის სახესხვაობისთვის განკუთვნილი ანუ Ձամ ჩაჲ (იხ. 36 გრაფემის კომენტარი). მისი პროტოტიპია გადაბრუნებული სომხური Ջ ჩ.[198]

ამ აზრს ბოლო ნაშრომში უკვე კითხვის ნიშნის გარეშე იზიარებს გ. კლიმოვი.[199]

ს. მურაკიოვისა[200] და გიპერტისათვის ანბანის ჩვენება მისაღებია და ეს გრაფემა უნდა გადმოსცემდეს $ხ_2$-ს.

სინურ პალიმფსესტში გეხვდება ამ გრაფემის მსგავსი მოხაზულობის გრაფემა, მაგრამ ფორმით იგი უფრო ახლოს არის 41-ე გრაფემასთან. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვთვლით, რომ იგი სწორედ 37-ე გრაფემის შესატყვისია და მისი ფონეტიკური მნიშვნელობა არის "ღ", ხოლო სახელწოდება უნდა იყოს Ⴗამ ღამ.

მაგალითები: ᲯᲧᲯᲮᲐᲔᲝᲮ ეფესაულოჲ (ეფესელთაჲ), ᲜᲧ ღი (დღე), ᲜᲜ ბ(იხაჯუ)ღ (ღმერთი), ᲜᲔᲯ ღარ (ძე, შვილი).

38. ႷაᲯ ძაჲ — ა. აბრამიანის აზრით (იხ 36-ე გრაფემის კომენტარი), ამ გრაფემის სახელწოდება უნდა იყოს ႷაᲯჩაჲ (როგორც ჩანს, მას მხედველობიდან გამორჩა, რომ 36-ე გრაფემა უკვე ამ სახელით ჰქონდა აღნიშნული).[201]

გ. კლიმოვისა[202] და ი. გიპერტისათვის ანბანის 38-ე გრაფემის ფონეტიკური მნიშვნელობა უცნობია.

ს. მურაყიოვისათვის მისაღებია ანბანის ჩვენება.[203]

სინურ პალიმფსესტში ასეთი გრაფემა დადასტურებული არ არის.

39. ᲫⴗაᲩჩატ — ა. აბრამიანის აზრით, ეს გრაფემა პროტოტიპია 38-ე გრაფემისა გადაბრუნებულ მდგომარეობაში და ეინაიდან ერთი ფონემის სახესხვაობებს წარმოადგენენ, ამიტომ ერთმანეთის გვერდით არიან დაყენებულნი.[204]

გ. კლიმოვისათვის მისი მნიშვნელობა უცნობია.[205]

ს. მურაყიოვი, როგორც უმეტეს შემთხვევაში, უჯერებს ანბანს[206], ხოლო ი. გიპერტი მის ჩ-დ წაკითხვას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.

სინურ პალიმფსესტში დადასტურებული გრაფემა, რომელიც უეჭველად წარმოადგენს "ჩ" ფონემას, ძნელად, მაგრამ მაინც შეიძლება მოუმსგავსოთ ანბანის 39-ე გრაფემას.

მაგალითები: ᲩᲧᲫᲧ ვიჩი (ძმა), ᲫᲧᲔᲝᲨ ჩიბუხ (ცოლი), ᲧᲫᲧ იჩი (თავისი).

40. Ⴟ ႺᲔᲜ ႺᲔᲜ — მის ფონეტიკურ მნიშვნელობას არც ერთი მეცნიერი ეჭვის ქვეშ არ აყენებს.

სინური პალიმფსესტის Ⴟ პ გრაფიკულად რამდენადმე განსხვავდება ანბანის მონაცემისგან, მაგრამ მისი ცნობა ძალიან ძნელი არ არის, ამასთანავე უეჭველად ადასტურებს მის ფონეტიკურ

მნიშვნელობას.

მაგალითები: ϬϪϽϿϴϞϤ პაულოსი (პაულესი), ϬϪϞϩϮ პასექ (პასექი, აღდგომა), ϨϪϢϪϪϬϪϮ ვარტაპეტ (მოძღვარი).

41. ϮϦϩ ϥϭϩ — ა. აბრამიანის აზრით, სომხური ანბანის თანმიმდევრობის მიხედვით მის სახელწოდება უნდა იყოს Ջեհ ჯეჰ ანუ ფონემა "ჯ" და არა "ფ". მისი პროტოტიპია სომხური Ջ ჯ გადაბრუნებულ მდგომარეობაში.[207]

გ. კლიმოვი იზიარებს ა. აბრამიანის აზრს ბოლო ნაშრომში უკვე კითხვის ნიშნის გარეშე.[208]

ს. მურაჟიოვი ანბანის დასახელებას მისაღებად თელის.[209]

ი. გიპერტისათვის გაუგებარია მისი ფორმა, მაგრამ ფონემური მნიშვნელობისთვის მითითებული აქვს "გ".

სინური პალიმფსესტი ასეთ გრაფემას არ იცნობს (იხ. 37-ე გრაფემის კომენტარი).

42. Ⲗ Կատ კატ — ა. აბრამიანი თელის, რომ ამ გრაფემის სახელწოდებაში აშკარა შეცდომაა დაშვებული. ვინაიდან სომხურ ანბანში Ջ ჯ-ს მოსდევს Ռ რ (კოშტი, ანუ რრ), მისი სახელწოდებაც უნდა იყოს Ռատ რრატ. მისი პროტოტიპი უნდა იყოს სომხური ან ქართული ამაჟე მნიშვნელობის ასო.[210]

გ. კლიმოვი[211] და ი. გიპერტი მხარს უჭერენ ა. აბრამიანის ვარაუდს, ოღონდ აღნიშნავენ ფაფუკ Ր რ-ს და არა კოშტს — Ռ რრ.

ს. მურაჟიოვისთვის ეს გრაფემა გადმოსცემს ლაბიალიზებულ კ-ს.[212]

სინური პალიმფსესტი უეჭველად ადასტურებს, რომ 42-ე გრაფემა არის ნამდვილად "რ" ფონემის აღმნიშვნელი და იგი არაფრით არ უნდა განსხვავდებოდეს ლათინური r-სგან. როგორ ჩანს, მისი სახელწოდება იყო "რატ".

მაგალითები: ϫϦⲖϪϴϬϪϽϿϤ ებრაულოჲ (ებრაელთაჲ), ϽϪⲖ ღარ (ძე, შვილი), ϨϪⲖϨϤϤ მარმინ (ხორცი სხეული), ϪϪϤϪϨϪⲖϪ ტალაჟარ (ტალაჟარი, კარჟი), ϨϪⲖϪϪϬϪϪ ვარტაპეტ (მოძღვარი).

43. Ⲏ Սէկ სწკ — ყველა სპეციალისტისთვის სახელწოდება სწორად გადმოსცემს გრაფემის ფონემურ მნიშვნელობას — "ს".

სინური პალიმფსესტი უეჭველად ადასტურებს ანბანის ჩვენებას.

მაგალითები: ჰ𐡄 სა (ერთი), ᲯᲔᲚᲯᲐᲚ𐡄 ეკლესია, ჰ𐡔𐡋𐡏𐡄 სალმოს (ფსალმუნი), 𐡉𐡀𐡄𐡏𐡄 ჲესუს (იესუ), 𐡑𐡀𐡅𐡋𐡏𐡄 პეტროს (პეტრე).

44. 𐡄 Վէզ ვᲨზ — ა. აბრამიანის აზრით, ლათინური ტრანსკრიპციით იგი გადმოსცემს w-ს და შეცდომაა დასახელებაში: უნდა იყოს Վէւ (ამით იგი ამსგავსებს შესაბამისი სომხური გრაფემის სახელდებას). პროტოტიპის შესახებ მსჯელობა არ შეუძლია.[213]

გ. კლიმოვმა ბოლო ნაშრომში გაიზიარა ა. აბრამიანის მოსაზრება[214], ხოლო ს. მურაიოი[215] და ი. გიპერტი ანბანის მონაცემებში არაფერს არა ცვლიან.

სინური პალიმფსესტი უეჭველად ადსტურებს, რომ გრაფემა 𐡄 გადმოსცემს "ე" ფონემას, ხოლო გრაფიკული თვალსაზრისით ახლოს არის სომხურ խ ხ-სთან.

მაგალითები: 𐡉𐡊𐡌𐡊 ვიჩი (ძმა), 𐡀𐡔𐡉𐡔𐡄𐡔 ტალავარ (ტალაჟარი, კარაჟი), 𐡉𐡔 ვა (შენ, შენთვის), 𐡉𐡔𐡋𐡀𐡔𐡑𐡉𐡀 ვარტაპეტ (მოძღვარი).

45. 𐡀 Տիւր ტიჟრ — ყველა სპეციალისტი მიიჩნევს, რომ სომხური ხელნაწერის ანბანში მოცემული სახელწოდება სწორია (მხოლოდ გ. კლიმოვი სვამდა თუდაპირველად კითხვის ნიშანს და გრაფემას კიდევ უფრო გაუგებარ ფორმას აძლევდა, ვიდრე ეს მოცემულია ანბანში[216]).

ა. აბრამიანის აზრით, გრაფემა იმდენად არის დამახინჯებული ანბანში, რომ მისი პროტოტიპის მოძებნა შეუძლებელია.

სინური პალიმფსესტის 𐡀 ტ დიდი გაჭირვებით შეიძლება მიამსგავსო ანბანში მოცემულ 45-ე გრაფემას, მაგრამ ეს რომ "ტ" ფონემაა, ამაში ეჭვის შეტანა არ შეიძლება.

მაგალითები: 𐡀𐡊𐡏𐡑𐡉𐡏𐡊 ტიმოთეოსი (ტიმოთესი), 𐡀𐡊𐡀𐡏𐡊 ტიტოსი (ტიტესი), 𐡀𐡔𐡉𐡔𐡄𐡔 ტალავარ (ტალაჟარი, კარაჟი).

46. 𐡔 Սոյ սոօ — ა. აბრამიანის აზრით, სომხური ანბანის ასოთა თანმიმდევრობიდან ამოსვლით 45-ე და 46-ე გრაფემებს შორის შეიძლება იყოს მხოლოდ "ტ" ფონემის ვარიანტი. ამიტომ საჭიროდ თვლის მის შესწორებას Տոյ ტოჲ-დ.[217]

გ. კლიმოვმა არ იცის ამ გრაფემის ფონეტიკური მნიშვნელობა[218], ხოლო ს. მურაიოი[219] და ი. გიპერტი ანბანის ჩვენებას მისაღებად

თელიან.

სინურ პალიმფსესტში დაცულია დაახლოებით ასეთი მოხაზულობის გრაფემა, მაგრამ იგი არ არის დადასტურებული არც ერთ ისეთ სიტყვაში, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემდა მის ფონეტიკურ მნიშვნელობაზე გვემსჯელა.

47. Ḫის იონ — ა. აბრამიანი თელის, რომ ანბანის გადაწერისას დაშვებულია შეცდომა და ერთმანეთში აღრეულია სომხური Ի და ր გრაფემები, ამიტომ სახელწოდება უნდა იყოს Րის რონ.[220]

გ. კლიმოვისათვის ამ გრაფემის ფონეტიკური მნიშვნელობაა o, ხოლო ს. მურავიოვი[221] და ი. გიპერტი ანბანის დასახელებას მისაღებად მიიჩნევენ.

სინურ პალიმფსესტში ასეთი გრაფემა არა დასტურდება.

48. Ծաւ წაჯ — ა. აბრამიანი თელის ც ფონემის ვარიანტად მომდევნო 49-ე გრაფემასთან ერთად.[222]

გ. კლიმოვისათვის მისი ფონემური ღირებულება უცნობია.[223]

ს. მურავიოვი აღადგენს "რ" ფონემას და შესაბამისად ცელის გრაფემის სახელწოდებას — რაჯ.[224]

ი. გიპერტს სომხური ხელნაწერის ანბანის სახელდების მაგიერ შემოაქვს ცაჯ სახელწოდება.

სინურ პალიმფსესტში ასეთი გრაფემა არა გვხვდება, მაგრამ იგი ჰგავს 32-ეს.

49. Ծ Ցայს ცაძნ — ა. აბრამიანი[225] და ს. მურავიოვი[226] მისაღებად თელიან ანბანის მონაცემებს.

გ. კლიმოვი ბოლო ნაშრომში აღარ აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ ანბანის ჩვენებას.[227] ხოლო ი. გიპერტი კვლავ ტოვებს მას.

სინურ პალიმფსესტში ასეთი გრაფემა მრავალჯერ დასტურდება და, საუარაუდოა, რომ იგი "ც" ფონემას გამოხატავს.

მაგალითები: ԻԿԾԿՕՃԻՕԾ დიპნუხოც (ეპისტოლეთაგან), ՋեՋՈՋՀՕՃԻՕՅՕԾ აბაზაკუხოლოც (ავაზაკთაგან).

50. Դ Ցայი ძაძძ — ა. აბრამიანის აზრით, რიგის მიხედვით ამ გრაფემის სახელწოდება უნდა იყოს Ուայի უაძძ. წარწერებში გვხვდება ცალკეც და Օ ო-სთან კომბინაციაშიც. მისი პროტოტიპია

სომხური (վ) ან ქართული (ჳ) იმავე მნიშვნელობის გრაფემა.[228]

გ. კლიმოვი[229] და ს. მურავიოვი[230] ა. აბრამიანის მსგავსად ამ გრაფემას w (ჯ) კითხულობენ.

ი. გიპერტი ტოვებს ანბანის სახელდებას.

სინური პალიმფსესტში ასეთი ასო (მცირე გრაფიკული განსხვავებებით) დასტურდება და მისი ფონემური მნიშვნელობაა ჯ (ბერძნ. υ, სომხ. ւ). იგი შემადგენელ ნაწილად იხმარება ალბანური 𐰀𐰉 უ-სი. გრაფიკულად ბევრად უფრო ახლოს არის ქართულ ასომთავრულ Ჳ ვ-სთან, ვიდრე სომხურ վ ვ-სთან. სახელწოდება შესაძლოა იყოს "ჯაად", მაგრამ სომხურად მისი ასე გადმოცემა შეუძლებელია, ამიტომ იგი უნდა დაწერილიყო ისე, როგორც მოცემულია ანბანში, ან ისე, როგორც ამას აკეთებს ა. აბრამიანი.

მაგალითები: 𐰔𐰢𐰇𐰋𐰀𐰍𐰏 პაჯლოსი (პაველი), 𐰍𐰃𐰆𐰣𐰢𐰀𐰍 სერბაუნ (პირველი).

51. 𐰏 փիւր ფიჯრ — ანბანის სახელდებას იზიარებს ყველა სპეციალისტი. მხოლოდ ი. გიპერტი აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ.

ა. აბრამიანი ამსგავსებს ამავე მნიშვნელობის სომხურ და ქართულ გრაფემებს.[231]

სინური პალიფსესტის 𐰏 ფ გრაფემა მნიშვნელოვნად განსხვავდება ანბანის 51-ე გრაფემისაგან, მაგრამ მათი იდენტიფიკაცია მაინც შესაძლებელია.

მაგალითი: 𐰏𐰃𐰋𐰀𐰍𐰏 ფესუნ (კეთება).

52. ֆ Քհւ ქიჯ — სპეციალისტები ანბანის სახელდებას და ფონეტიკურ მნისვნელობას საკამათოდ არა ხდიან.

ა. აბრამიანი ამსგავსებს შესაბამისი მნიშვნელობის სომხურ და ქართულ გრაფემებს.[232]

სინური პალიმფსესტის ֆ ქ მნიშვნელოვნად განსხვავდება ანბანის 52-ე გრაფემისაგან, მაგრამ მათი იდენტიფიკაცია მაინც შესაძლებელია. იგი გაცილებით უფრო ახლოს არის წარწერების ანალოგიურ გრაფემასთან.

მაგალითები: ֆ𐰢𐰇ֆ ქალაქ (ქალაქი), ֆ𐰋𐰢𐰆𐰢 ქაპანა (მღვდელი), ֆ𐰃𐰆𐰉𐰋𐰀𐰋 ქრისტოს (ქრისტე).

სომხური ხელნაწერის ანბანისა და პალიმფსესტების
გრაფემათა შედარებითი
ტაბულა

სომხური ხელნაწერი N7117		სირული პალიმსესტები N/Sin-13, N/Sin-55	
	ალთ		ა
	ოდეთ		ბ
	ზიმ		გ
	გატ		
	ტბ		ე
	ზარრლ		ზ
	ენ		ⱅ
	ჟილ		ჟ?
	თას		თ
	ჭა		
	ჲუდ		ჲ
	ჯა		ჟ?

	ირბ		ი
	შა		შ
	ლან		ლ
	ინა		
	ხცნ		ჴ
	დან		დ
	ჭარრ		ჭ?
	ზოხ		ზ?
	კარ		კ
	ლიტ		
	ჰცტ		ჯ
	ჰაი		
	არ		აი

	ცოი		ც?
	ჭი		ჭ?
	მაქ		მ
	კარრ		ყ
	ნუც		ნ
	ჯაი		ჭ
	შაქ		შ1
	ჯაან		
	უნ		ო
	ტაი		
	ხამ		ღ
	ძაი		ძ?
	ჩატ		ჩ

	პენ		პ
	ფეს		ფ?
	კატ		რ
	სტკ		ს
	ვტზ		ვ
	ტიურ		ტ
	სოდ		ს?
	იონ		
	ცაძი		ც
	ძაძდ		ჯ
	ფიურ		ფ
	ქიჯ		ქ

ალბანური და ეთიოპური დამწერლობების შედარებითი ტაბულა

ალბანური	ეთიოპური	
		sa, so
		nā
		Ro
		na
		ga
		'u
		hi
		yu
		P.a
		ta
		Ha
		hu
		dā
		ni

ეთიოპური დამწერლობა არის ფონემურ-სილაბური. გ. სეგაკი ამიერკავკასიის სამივე დამწერლობას (სომხურს, ქართულს და ალბანურს) გრაფიკულად ეთიოპურიდან მომდინარედ თვლიდა. ანუ, მისი აზრით, ისინი მაშტოცმა შექმნა ეთიოპური დამწერლობისათვის დამახასიათებელი გრაფიკული პრინციპით, როდესაც გრაფემისათვის დართული დამატებითი ხაზები ცვლის მის ფონემურ მნიშვნელობას (ეთიოპურისთვის მარცვლის მნიშვნელობას).[233]

ალბანური და ქართული გრაფემების შედარებითი ცხრილი

ქართული ანბანის ნიმუშები აღებულია ხანმეტი ლექციონარიდან ილ. აბულაძის პალეოგრაფიული ალბომის მეშვეობით.[234]

ალბანური		ქართული	
	ზ		ი
			წ
	ი		ი
	შ		ს
			ჯ
			ა
	ყ		ბ
	ე		რ
	ო		ო
	ღ		დ

ალბანური და სომხური გრაფემების შედარებითი ტაბულა

ალბანური		სომხური	
	ბ		ე
	ზ?		ը
	დ		ი
	ე		ხ
	ა		ზ
	ჯ		ტ
			რრ
			ს
	ქ		ქ
	ჰ		ჰ

კომენტარი: ალბანური ანბანის ქართულ, ეთიოპურ და სომხურ დამწერლობასთან შედარებისათვის პრინციპად აღებული მქონდა შესადარებელ გრაფემათა თითქმის სრული იდენტიფიკაცია მათი გადაბრუნება-გადმობრუნების გარეშე. სომხურისა და ალბანურის შედარებისას რამდენიმე გამონაკლისი დაჟუშვი, რასაც მკითხველი ადვილად შეამჩნევს.

თავი V

ალბანური „ლექციონარი“

ალბანური ხელნაწერის შინაარსი

ალბანური ხელნაწერი წარმოადგენს *ლექციონარს*.

ლექციონარი არის მთელი წლისათვის საღესასწაულო დღეებში საკითხავი ლიტურგიკული კრებული, რომელიც შედგენილია ბიბლიის წიგნების (ძველი და ახალი აღთქმის) საკითხავების საფუძველზე.

იმისათვის, რომ ლექციონარი შეადგინო და შემდეგ გამოიყენო, შენს ენაზე უნდა გქონდეს ბიბლიის სრული თარგმანი მაინც. ჩვენამდე მოღწეული წყაროები გვამცნობენ, რომ კაკასიის ალბანეთს უკვე მეხუთე საუკუნის პირველ ნახევარში ჰქონია ასეთი თარგმანები. დღეს ჩვენ უკვე დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ კაკასიის ალბანელებმა ქრისტიანობის მიღებიდან ძალიან მალე თარგმნეს მთლიანად ბიბლია; რომ ალბანური დამწერლობა და მწერლობა არა მარტო არსებობდა, არამედ მას საკმაოდ განვითარებული ხასიათიც ჰქონდა.

ალბანური პალიმფსესტების დღეისათვის შემორჩენილი ფურცლებიდან ამოკითხულია საკითხავების სათაურები სახარების წიგნებიდან (მათეს, ლუკას და იოანეს თავები), მოციქულთა საქმეთაგან, კათოლიკე ეპისტოლეებიდან (პეტრეს, იაკობის და იოანეს ეპისტოლეები), პავლე მოციქულის ეპისტოლეებიდან (I და II კორინთელთა, ეფესელთა, თესალონიკელთა, I და II ტიმოთეს, ტიტეს და ებრაელთა მიმართ). რამდენიმე სათაური იმდენად არის გადარეცხილი, რომ ჩემს ხელთ არსებული ტექნიკური საშუალებებით მათი ამოკითხვა ჯერჯერობით შეუძლებელია.

„ლექციონარის“ აღმოჩენა ალბანურ ენაზე და ალბანური დამწერლობით პირდაპირი მითითებაა ალბანეთში განვითარებული ქრისტიანული საეკლესიო მწერლობის არსებობაზე. წყაროებში მითითებულ ცნობებს ალბანურ ენაზე წინასწარმეტყველთა წიგნების, სახარებისა და სამოციქულოს თარგმანების არსებობის შესახებ

მთლიანად ადასტურებს ალბანური „ლექციონარის“ აღმოჩენა, ვინაიდან „ლექციონარი“ შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ იმ ხალხს, რომელსაც თავის ენაზე აქვს ბიბლიის სრული ტექსტი.

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტიც, რომ ალბანურ „ლექციონარში“ დადასტურებული ზოგიერთი საკითხავი არა გვხვდება უძველეს სომხურ, სირიულ და ქართულ ლექციონარებში. ეს გარემოება შესაძლებელია მიუთითებდეს მასზე, რომ ალბანური „ლექციონარი“ არ არის თარგმნილი არც ერთი ამ ენიდან და შედგენილია დამოუკიდებლად ალბანურ ენაზე უკვე არსებული ბიბლიის წიგნების საფუძველზე დღეისათვის დაკარგული ბერძნული „ლექციონარის“ მიხედვით.

ქვემოთ მოცემულია ალბანური ლექციონარის იდენტიფიცირებული საკითხავების შედარებითი ტაბულა მათი წაკითხვის დღეების მითითებით უძველეს ქართულ და სომხურ ლექციონარებთან.

ალბანური	ქართული	სომხური
2კორინთელთა 11, 23-27	არ არის დადასტურებული	არ არის დადასტურებული
ეფესელთა 5, 25-28	ეფესელთა 5, 20-32 1. 15 XII იოანე პატრიარქის აშენებული, იოანე ნათლისმცემელის ეკლესიის სატფურება 2. ეკლესიის სატფურება (ზოგადი დღესასწაული) მე-2 დღე 3. 23 X მაკრიკ მეფის აშენებული ყეთსამანიის ეკლესიის დიდი სატფურება	არ არის დადასტურებული

	1 კორ. 12, 26-31	1 კორ. 12, 26-14,4
1 კორინთელთა 12, 28-29	1. 27 I ხსენება წმ.იოჳანე ოქროპირისა, თეედორე მთავარეპისკოპოსია და ეალენტი მეფისა 2. 15. II ნისიმო, ანდრია და სხვა მარტჳილნი 3. დღესა შაბათსა გ მარხეათა სახსენებელი წმ. მოციქულთა 4. 10 VI ზაქარია წინასწარმეტყუელის	1. 30 XI ანდრია მოციქულის ხსენების დღეს. 2. 10 VI ზაქარია წინასწარმეტყუელის ხსენების დღეს. 3. 23 VIII თომა მოციქულის ხსენების დღეს
	საქმე 11, 1-17	საქმე 11, 1-24
საქმე მოციქულთა 11, 1-2	1. 29 XII იაკობ მოციქულისა და იოანე მახარებლის ხსენების დღეს 2. ხუთშაბათსა გ ზატიკთა ბეთლჳმს ჩჳილთა ყრმათა კრჳბაჲ, რომელნი პეროდე მეფემან მოწყუდნა	1. 29 XII იაკობ, იოანე 2. 9 V ბეთლჳმს ჩჳილთა ყრმათა ხსენების დღეს

ებრაელთა 11, 17-19	ებრაელთა 11, 17-19 18 VII ბეთლემის გზაზე რაქელის საფლავზე აღსრულებული ხსენება ებრაელთა 11, 1-31 1. კათაკმეველთა საკითხავი, მარხეათა მე-5 პარასკევი 2. 2 IX ისუ ნაეეს ხსენება პრობატიკეს	ებრაელთა 11, 1-31 კათაკმეველთა V საკითხავი
მათე 17, 1-5	მათე 17, 1-9 6 VIII ხატისცვალება მაცხოვრისა მთასა თაბორსა	არ არის დადასტურებული
ებრაელთა 3, 1-5	ებრაელთა 3, 1-6 1. 20 XI იუსტინიანე მეფის აშენებული ღმრთისმშობელისა ეკლესის სატფური 2. 23 XII ხსენება კონსტანტინოპოლში იუსტინიანე მეფის მიერ აშენებული სოფიაწმიდის ეკლესიის სატფურებისა 3. სატფურება ეკლესიისა (ზოგადი დღესასწაული)	არ არის დადასტურებული

იაკობ, 1, 1-7	იაკობ 1, 1-12 1. 26 XII დაეითისი და იაკობისი, ძმისა უფლისაჲ 2. ზატიკის პირველი სამშაბათი 3. 25 V (კათოლიკენი მიწყებით)	იაკობ 1, 1-12 1. 29 XII იაკობ მოციქულისა და იოანე მახარებელისა 2. აღგდგომის ოთხშაბათი
2 თესალონ. 2,13-17	2 თესალ. 2,13-3,5 ლიტანიის საკითხავები	არ არის დადასტურებული
1 თესალონ.2, 5-8	არ არის დადასტურებული	არ არის დადასტურებული
ტიტე 2, 13-	არ არის დადასტურებული	ტიტე 2, 11-15 განცხადება II დღე
რომაელთა 12, 5	რომაელთა 12, 6-16 მარხვათა მესამე კვირიაკე	არ არის დადასტურებული

შედარებითი ტაბულიდან აშკარად ჩანს: ალბანური ლექციონარი არ ემთხვევა არც ქართულს და არც სომხურს. მაინც შეიძლება ითქვას, რომ სიახლოვე მას, შესადარებელი მასალის მიხედვით, მეტი აქვს ქართულთან (9), ვიდრე სომხურთან (5)

ალბანურ „ლექციონარში“ ყველა საკითხავის სათაური დაწერილია ტექსტთან შედარებით ბევრად უფრო მცირე ზომის გრაფემებით (ასეთი ტრადიცია აქვს უძველეს ქართულ და სომხურ „ლექციონარებს“), სათაურის დასაწყისი და შემდეგ თითქმის ყველა სიტყვა დაწერილია საზედაო ასოთი (ასეთი ტრადიცია აქვს სომხურ „ლექციონარებს“). სათაურშივე, ბევრ შემთხვევაში, მოცემულია ძლიერ მოკლედ მითითება ტექსტის წაკითხვის შემდეგ ფსალმუნის,

შედარებით იშვიათად, ხოლო უფრო ხშირად (პაულე მოციქულის ეპისტოლეების შემდეგ) „ალილუიას“ შესრულების აუცილებლობაზე. სათაურის გასწვრივ ყოველთვის მარცხნივ აშიაზე, ასევე წვრილი ასოებით საზედაო გრაფემათა გარეშე, გამოტანილია შემოკლებულად სათაური, ხოლო სახარების საკითხავებთან მოცემულია შედარებით უფრო ვრცელი ლიტურგიკული განმარტება.

აშიებზე გეხვდება, აგრეთვე მეტად მცირე ზომის გრაფემებით მიწერილი ციფრები, რომლებიც, შესაძლოა იყოს IV ს-დან ქრისტიანულ პრაქტიკაში შემოღებული ახალი აღთქმის ტექსტების დაყოფა ე.წ. ამონიოსის „პერიკოპებად“.

ალბანური ლექციონარის დათარიღება შინაარსის მიხედვით

ლექციონარების ფარდობითი თარიღის დასადგენად საკმარისია გაირკვას, თუ რამდენად მარტივი ან რთულია ესა თუ ის ლექციონარი. .ჩვეულებრივ ლექციონარების განვითარება მიდის მარტივიდან რთულისკენ. თავდაპირველად მასში არის მხოლოდ 12 საუფლო დღესასწაულისათვის საკითხავები ფსალმუნებისა და ალილუიას დართვით (IV ს.). შემდეგში იგი რთულდება, ემატება სხვა, არა საუფლო დღესასწაულებიც, გამოჩენილ საეკლესიო მოღვაწეთა და მოწამეთა მოსახსენებლები, იერუსალიმში შესაბამის წმიდა ადგილებში შეჩერებები (V-VII სს) და მდიდარი ჰიმნოგრაფიული მასალა (VII-X სს).

თანდათან ლექციონარები იმდენად რთულდება, რომ იძულებულნი ხდებიან მათგან ცალკე გამოყონ მთელი წლის საკითხავი ჰიმნოგრაფიული კრებულები.

სინას მთაზე აღმოჩენილი ალბანური ლექციონარი გვიჩვენებს ლექციონარების განვითარების ყველაზე ადრინდელ ეტაპს. იგი შედგება მხოლოდ საუფლო დღესასწაულებზე საკითხავებისაგან, რეგულარულად ალილუიას შესრულებაზე და იშვიათად ფსალმუნის წაკითხვაზე მითითებით. ამ ნიშნებით იგი მნიშვნელოვნად უფრო

მარტივია სომხურ ლექციონარზე, რომელიც სწორედ მისი სხვა ლექციონარებთან შედარებით სიმარტივის გამო ჩაითვალა ყველა შემორჩენილთაგან უძველეს ლექციონარად და დათარიღდა 438 წლის ახლო ხანებით.

ალბანური ლექციონარი ტიპოლოგიურად ყველაზე ახლოს არის ქართულ ხანმეტ ლექციონართან, რომელიც მნიშვნელოვნად უფრო მარტივია სომხურ ლექციონარზე. იგი უფრო მარტივია იმ ლექციონარზეც კი, რომელიც აღდგება IV ს-ის 80-იანი წლების დასაწყისში წმიდა მიწაზე ეგერიას მოგზაურობის დღიურის საფუძველზე, რაც ალბანური ლექციონარის IV-V სს-ის მიჯნით დათარიღების შესაძლებლობას გვაძლევს. ყოველივე ეს ეხება ალბანურ ლექციონარს შინაარსის მიხედვით და არა პალეოგრაფიულად. ხელნაწერი შეიძლება შექმნილი იყოს ამაზე ხანებში ან შედარებით უფრო გვიან, მაგრამ მინგეჩაურის წარწერებზე უფრო ადრე.

ცხადია, ბიბლიის წიგნების თარგმნა წინ უნდა უსწრებდეს ალბანური ლექციონარის შედგენას და ამიტომ ალბანური დამწერლობის შექმნაც უფრო ადრინდელი ან დაახლოებით ამავე ხანით უნდა დათარიღდეს.

ალბანური „ლექციონარი“, როგორც უკვე ნათქვამი იყო, ტიპოლოგიურად ყველაზე უფრო ახლოს დგას ქართულ ე.წ. „ხანმეტ ლექციონართან“,[235] რომელიც, სამწუხაროდ, მცირე მოცულობის ფრაგმენტის სახით შემოგვრჩა.

ალბანური "ლექციონარის" აღმოჩენა საშუალებას იძლევა ახლებურად წარმოვადგინოთ საერთოდ ქრისტიანულ სამყაროში შემორჩენილი "ლექციონარების" ქრონოლოგია: ბერძნული (დაკარგულია) > ქართული ხანმეტური და ალბანური — სომხური[236] — სირიული[237] — დიდი ქართული „ლექციონარი“[238].

რომელი ტიპის ლექციონარი უნდა იყოს ალბანური

ცნობილია რამდენიმე ტიპის უძველესი ლექციონარი:

იერუსალიმური, ედესური, ანტიოქური და სინაგოგური.

სინაგოგური ტიპის ლექციონარები ამჯერად ჩვენთვის არ არის საინტერესო, ვინაიდან ისინი ებრაულ-იუდაურ ლექციონარებს წარმოადგენენ და, ცხადია, მხოლოდ თორებიდან (ძველი აღთქმიდან) საკითხავებს შეიცავდნენ. ალბანური ლექციონარი კი ქრისტიანული ლექციონარია. შემორჩენილ და ამოკითხულ ნაწილში იგი ძირითადად ახალი აღთქმის წიგნებისგან შედგება, თუმცა საყარაულოა ძველი აღთქმის წიგნების გამოჩენაც.

ანტიოქიური ლექციონარის შესახებ მასალა თითქმის არ შემონახულა. ყველაზე ძველ ცნობებს ანტიოქური ლექციონარის არსებობისა და შედგენილობის შესახებ ნახულობენ მოციქულთა გარდამოცემებსა და იოანე ოქროპირის ქადაგებებში (IV ს-ის ბოლო მეოთხედი). ამ წყაროებიდან ასკვნიან, რომ ანტიოქიური ლექციონარები შედგებოდა წინასწარმეტყველთა წიგნებისგან, სახარებისა და სამოციქულოსგან. მაგრამ ასეთი ფრაგმენტული მონაცემებით ანტიოქიური ლექციონარის განსხვავება სხვა ლექციონარებისგან და მის თავისებურებებზე ლაპარაკი შეუძლებელია.

გაცილებით უფრო მეტი გვაქვს ცოდნა ედესური ანუ სირიული ლექციონარების შესახებ. მართალია, მთლიანად უძველესი ედესური ლექციონარი სირიულ ენაზე არ შემონახულა, მაგრამ ჩვენამდე მოღწეულია მისი სრული ინდექსი ანუ საძიებელი, რომელსაც VI საუკუნით ათარიღებენ. ამ საძიებლიდან ჩანს, რომ სირიული ლექციონარიც იერუსალიმურის მიხედვით არის შედგენილი და ისიც ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ალბანური.

იერუსალიმური ლექციონარი შეიძლება ჩაითვალოს დედად ყველა ჩვენამდე მოღწეული უძველესი ლექციონარისა. მათ რიცხვშია ბერძნულიდან V ს-ში თარგმნილი სომხური ლექციონარი და ქართული ე. წ. დიდი ლექციონარი. მიეკუთვნება თუ არა ალბანურიც ამ რიგის ლექციონარებს, შექმნილია თუ არა იგი პალესტინურ წრეში, გვაქვს თუ არა ამისათვის რაიმე ნიშანი?

საქმე ის არის, რომ წყაროები სრულიად არ იცნობენ ადრეულ

ქრისტიანულ ხანაში ალბანეთის კონტაქტს ანტიოქიასა და ედესასთან. სამაგიეროდ ეს კავშირები ძალიან მჭიდროა იერუსალიმთან.

საკუთარი სახელი „იოანე“ (მაგალითად, იოანე მახარებელი) ალბანურ ლექციონარში გვხვდება მხოლოდ ებრაულ-სირიული ფორმით — „Დოჰანან“. ასეთი ფორმით ეს სახელი არ არის დაცული არც ბერძნულში („იოანნეს“), არც სომხურ (“Დოჰანნეს“) და არც ქართულ („იოანე“) ტრადიციასა და ლექციონარებში. ასევე ებრაული წარმოშობისაა ΣᲝᲫნᲧ კორბა (ძღვენი, ნიჭი, შესაწირავი). ცხადია, ყოველივე ეს მიგვითითებს ალბანეთის მჭიდრო კავშირზე პალესტინასთან და საკუთრივ იერუსალიმთან.

კავკასიის ალბანეთის მჭიდრო კავშირი პალესტინასთან დადასტურებულია ისტორიული წყაროებითაც. ზემოთ უკვე აღნიშნული იყო, რომ ალბანური ეკლესია თავის განმანათლებლად თვლიდა ქრისტეს ერთერთ 70 მოციქულთაგანს, იერუსალიმიდან პირდაპირ ალბანეთში ჩამოსულ ელისეს, ხელდასხმულს მაცხოვრის ძმის იაკობის მიერ. წყაროები ასახელებენ, აგრეთვე, ადრე შუასაუკუნეების იერუსალიმში მრავალი ალბანური ეკლესია-მონასტრის არსებობას. ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ ალბანური ხელნაწერი აღმოჩნდა სწორედ პალესტინურ გარემოში სინას მთაზე. ყოველივე ეს, დიდი ალბათობით, მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ალბანური ლექციონარი შექმნილი უნდა იყოს იერუსალიმურ გარემოში და უნდა მიეკუთვნებოდეს იერუსალიმური ლექციონარების უადრეს ტიპს.

მაგრამ იოანე მოციქულის სახელის აღსანიშნად ებრაულ-სირიული ფორმის გამოყენება, რა თქმა უნდა, არა ნიშნავს იმას, რომ იგი ამ ენებიდან არის თარგმნილი. უბრალოდ, როგორც ჩანს, პალესტინის ალბანური თემი ასე გამოთქვამდა ამ სახელს.

რა შეუძლია მისცეს ბიბლიოლოგიას ალბანური ლექციონარის აღმოჩენამ

მოდელი, რომლის მიხედვითაც შეიქმნა ალბანური ლექციონარი, ჩვენამდე არ არის მოღწეული.

უძველესი ბერძნული ლექციონარი ცნობილი არ არის და ჩვენ მის შესახებ შეგვიძლია ვიმსჯელოთ მხოლოდ სომხური და ქართული ლექციონარების მიხედვით.

ალბანური ლექციონარი ფორმის მიხედვით განსხვავდება როგორც სომხურისგან, ისე ქართულისგან. საკითხავების სათაურებთან აშიაზე ლიტურგიკული კომენტარები მცირე ზომის ასოებით დღემდე ცნობილი ლექციონარებიდან მიწერილი აქვს მხოლოდ ალბანურს. ეს ფაქტი უნდა იყოს ან მხოლოდ ალბანურის თავისებურება, ან ახასიათებდა ბერძნულ ლექციონარს თავის საწყის პერიოდში და მხოლოდ შემდეგ (იმ ეტაპზე, რომელსაც ასახავს სომხური) აშიებზე გაკეთებული კომენტარები შევიდა სათაურებში.

ალბანურმა ლექციონარმა, იმ მცირე ნაწილშიც კი, რომელიც დღეს ამოკითხულია, შემოინახა "ახალი აღთქმის" ტექსტის რამდენიმე ისეთი წაკითხვა, რომელსაც სერიოზული მნიშვნელობა ექნება ბიბლიის ტექსტის არქეტიპის რეკონსტრუქციისათვის.

ლუკას სახარების 8-ე თავში (41-52) ასეთ სიუჟეტს ვკითხულობთ: სინაგოგის წინამძღვარი, რომელსაც 12 წლის ქალიშვილი უკვდება, შესთხოვს იესო ქრისტეს მის განკურნებას. ამასობაში მოდის ვიღაც მისი ახლობელი და ეტყვის სინაგოგის წინამძღვარს: ნუღა აწუხებ მოძღვარს, შენი ქალიშვილი უკვე მკვდარიაო. იესუ მას ამშვიდებს და მიჰყვება სახლში. და აი, ბინაში, სადაც მიცვალებული ასვენია, იესო ქრისტე არაფის შეუშვებს, გარდა პეტრესი, იაკობისა, იოანესი და გოგონას მშობლებისა. დანარჩენი თავისთავად გასაგებია.

მოციქულების სახელების დალაგება ალბანურში ისეთივეა, როგორც ქართულსა და სომხურში: ᲞᲔᲢᲠᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲘᲐᲙᲝᲑᲘ ᲓᲐ ᲘᲝᲐᲜᲔ "პეტრესიან უნ დაკობან უნ დოპანანან" (პეტრე და იაკობ და იოანე). ბერძნულსა და ყველა სხვა რედაქციაში კი ეს

რიგი განსხვავებულია: Πέτρον καὶ Ἰωάνην καὶ Ἰακώβον "პეტრონ კაი იოანენ კაი იაკობონ" (პეტრე და იოანე და იაკობ).

ცხადია, ბერძნულმა ვერ შემოინახა თავდაპირველი რედაქცია, ვინაიდან სახარებათა დალაგება ოთხთაში და ის გარემოება, რომ იოანე მოციქულთა შორის უმცროსი იყო, მხარს უჭერს ქართული, სომხური და ალბანური ტექსტების უპირატესობას.

ეს სიუჟეტი სახარებაში სხვა ადგილასაც გვხვდება, სადაც სახელების დალაგება ყველა ვერსიაში სწორია (მარკოზ, 5. 35-42)

ასეთ დასკვნას მხოლოდ ამ კონკრეტული შემთხვევისათვის არა აქვს მნიშვნელობა. იგი გვიჩვენებს, რომ ამიერკავკასიის ხალხების ენებზე თარგმანების გათვალისწინების გარეშე ბიბლიის არქეტიპის დადგენა ვერ იქნება სრულყოფილი. ამის მკაფიო მაგალითია კიდევ ერთი ადგილი პაულე მოციქულის ეპისტოლეში კორინთელთადმი (1. კორინთელთა 12. 28-29)

როდესაც პაულე მოციქული სწერს კორინთელებს, თუ ვინ დაადგინა ღმერთმა ეკლესიაში მოციქულებად, წინასწარმეტყველებად და მოძღვრებად; ვის მისცა სასწაულთმოქმედების, მკურნალობის, სხვისი შეწევნის, მმართველობის და სხვადასხვა ენის ცოდნის ძალა, ალბანურ ტექსტში მოსდევს სიტყვები, რომელიც სომხურის გარდა არა გვაქვს არც ერთ სხვა ენაზე: "ენათა თარგმნის უნარი".

მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს სიტყვები იყო "ახალი აღთქმის" თავდაპირველ რედაქციაში. საქმე ის არის, რომ ამ ჩამოთვლის შემდეგ პაულე მოციქული აგრძელებს მსჯელობას: ნუთუ ყველანი მოციქულები იყვნენ, ნუთუ ყველანი წინასწარმეტყველები იყვნენ, ნუთუ ყველას ჰქონდა სასწაულთმოქმედების, მკურნალობის, მოძღვრების ძალი, ნუთუ ყველა ენა იცოდნენ, ნუთუ ყველა ენიდან თარგმნა შეეძლოთ. ცხადია, ეს არის პასუხი პირველ ჩამოთვლაზე და თუ თავიდანვე არ იქნებოდა რაიმე ნათქვამი ენებიდან თარგმნაზე, ბოლოში მასზე პასუხს აზრი არ ექნებოდა. გარდა ამისა, პაულე მოციქულის იმავე ეპისტოლეს იმავე თავში, ცოტა უფრო წინ, ისეთივე ჩამოთვლაა, როგორიც ზემოთ მოვიტანეთ და აქ უკვე ბერძნულთან ერთად ყველაენოვან თარგმანში შემონახულია ის სიტყვები, რომელიც სხვა ადგილას მხოლოდ ალბანურსა და სომხურში

გექონდა დამოწმებული: უნარი სხვა ენებიდან თარგმნისა.

ალბანურ ლექციონარში არის კიდევ ერთი დეტალი, რომელიც მას უპირატესობას ანიჭებს სიძველის თვალსაზრისით ყველა სახეა ენაზე შემონახულ ტექსტთან. ეს არის ჩამოთვლაში ჯერ წინასწარმეტყველების დასახელება, შემდეგ მოციქულებისა და შემდეგ მოძღვრებისა.

მაგრამ ჯერ შეუძლებელია ვთქვათ, ასეთი დალაგება რამდენად რეგულარულია ალბანური ტექსტის სხვა, ჯერ კიდევ წაუკითხავ ადგილებში.

მთელი ეს ინფორმაცია, რის შესახებაც დღეს ჩვენ ვისაუბრეთ, მიღებულია ალბანური ლექციონარის განსაზღვრული რაოდენობის საკითხავების იდენტიფიკაციისა და ამოკითხვის შედეგად. ცხადია, როდესაც გადარჩენილი ტექსტი მთლიანად იქნება წაკითხული, სალაპარაკოც გაცილებით მეტი გვექნება.

თავი VI

ალბანური „ლექციონარის“ ენა

ალბანური „ლექციონარის“ ენა დღეს შემორჩენილ ენათაგან, რა თქმა უნდა, ყველაზე უფრო ახლოს არის უდიურთან როგორც ლექსიკურად, ისე ფონეტიკურად და გრამატიკული ფორმებით.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ ალბანური ანბანის აღმოჩენის შემდეგ მეცნიერებმა დიდი ალბათობით დაასკვნეს, რომ ძველი ალბანების ჩამომავლები უნდა იყვნენ უდიები, ხოლო ახალი ალბანური ენა უნდა იყოს უდიური ენა. მაგრამ ეს ვარაუდი დღემდე მეცნიერულ ჰიპოტეზად რჩებოდა, ვინაიდან ვერ მოხერხდა მინგეჩაურის წარწერების გაშიფრვა.

ბოლო ხანებში გაჩნდა შეხედულებები და მთელი წიგნიც კი დაიწერა იმის შესახებ, რომ ძველი ალბანური ენის ჩამომავალია არა უდიური, არამედ ლეზგიური ენა, ლეზგიურ (ლაკურ) ენაზე იქნა „წაკითხული“ მინგეჩაურის წარწერები, და „აღმოჩნდა“ ძველ ალბანურად („ალუპანურად“) დაწერილი რაღაც ისტორიული ტექსტი, რომელიც თავისუფლად „იკითხება“ ასევე ლეზგიურ ენაზე[239]. რა თქმა უნდა, სერიოზულ მკვლევართათვის მაშინვე ცხადი იყო, რომ ყველაფერს ამას არაფერი საერთო არა აქვს მეცნიერებასთან[240].

ალბანური „ლექციონარის“ აღმოჩენისა და გაშიფრვის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ ჰიპოტეზების ეპოქა დამთავრდა: ალბანური ენა მართლაც არის ძველი უდიური ენა ან პირიქით — უდიური ენა არის ახალი ალბანური.

დღეისათვის მეტ-ნაკლები სისრულით ამოკითხულია ალბანური „ლექციონარის“ 40-დე საკითხავის სათაური და იდენტიფიცირებულია 14 საკითხავი. თვითეული საკითხავიდან ჯერ-ჯერობით ზუსტად დადგენილია მხოლოდ რამდენიმე მუხლის შესატყვისი ქართულ, სომხურ, ბერძნულ და სხვა ენებზე. რა თქმა უნდა, გრამატიკული და ლექსიკური აღწერაც გაკეთებულია მხოლოდ ამ მცირე მოცულობის ტექსტის ფარგლებში. უნდა ველოდოთ, რომ მომავალი მუშაობა ამ

თვალსაზრისით ბევრს ახალს იტყვის და, შესაძლოა, კორექტივებსაც შეიტანს ქვემოთ ნათქვამში.

უდიები

უდიები დღეს კომპაქტურად მოსახლეობენ სამ სოფელში: ნიჯი და ოღუზი (ადრე ვართაშენი) აზერბაიჯანში და ოქტომბერი (ადრე ზინობიანი) საქართველოში (ყვარლის რაიონი). საქართველოში უდები 1922 წელს გადმოსახლდნენ სოფელ ვართაშენიდან (ოღუზი). დღეს ვარაუდობენ, რომ მათი საერთო რაოდენობა არის დაახლოებით 8000 სული. მათი 80% თავმოყრილია სოფელ ნიჯში და ესენი ენასაც საკმაოდ კარგად ინახავენ.

უდიურ ენას აკუთვნებენ მთის კავკასიურ ენათა აღმოსავლურ ჯგუფს, უფრო კონკრეტულად ლეზგიურ ენათა ჯგუფის სამხრეთ შტოს[241]. XVII ს-ის სომხურ წყაროში უდიები მოხსენიებული არიან ალბანელთა შთამომავალად ("ალბანთა ტომი, რომლებსაც დღეს უდიებს უძახიან").[242]

რა ენიდან არის თარგმნილი ალბანური ლექციონარი?

პირველყოვლისა, მინდა დაკონკრეტდეს ჩემი შეხედულება საერთოდ ლექციონარების ეროვნულ ენებზე შექმნის შესახებ:

ჩემი აზრით, მათ კი არა თარგმნიდნენ მზამზარეულად რომელიმე ენაზე არსებული ლექციონარიდან, არამედ ადგენდნენ ძირითად ენაზე (სავარაუდოა, ბერძნულ) არსებული ლექციონარისა და ეროვნულ ენაზე უკვე თარგმნილი ბიბლიის წიგნების საფუძველზე. ზუსტად ასევე უნდა შექმნილიყო ალბანური ლექციონარიც. ამიტომ არის, რომ ალბანურ ტექსტში ამოკითხული ზოგიერთი საკითხავი არა დასტურდება ქართულ, სომხურ და სირიულ ლექციონარებში.[243] ეს ფაქტი იმის მოწმობაა, რომ ალბანური ლექციონარი არ არის თარგმნილი ან შედგენილი დასახელებულ ენებზე არსებული

ლექციონარებიდან. მისი წყარო უნდა იყოს ბერძნული ლექციონარი, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია.

ალბანურ ლექციონარში დადასტურებული ლექსიკა, საკუთრივ ალბანური სიტყვების გარდა, შეიცავს, რა თქმა უნდა, უცხო (ბერძნულ, ქართულ, სომხურ) ენებში დადასტურებულ საკუთარ სახელებს, სიტყვებსა და ფორმებს. ეს სიტყვები გვიჩვენებენ ბერძნულ, ბერძნულ-ქართულ, ბერძნულ-სომხურ, ქართულ, ქართულ-სომხურ, სომხურ და სირიულ-ებრაულ ფორმებს, რაც არ გვაძლევს საშუალებას განვსაზღვროთ ალბანური ლექციონარის წარმომავლობა. ყველა ეს სიტყვა მოცემული ფორმით, როგორც ჩანს, გავრცელებული იყო ალბანურ სამყაროში "ახალი აღთქმის" თარგმნამდე.

ქარაგმები

ალბანურ ლექციონარში ქარაგმა გამოყენებულია დაახლოებით ისევე, როგორც სხვა უძველეს ქრისტიანულ ტექსტებში. ანუ პირველ ყოვლისა ქარაგმდება ისეთი სიტყვები, რომლებიც ქრისტიანული სამყაროსათვის ითვლება საპატიოდ (ამიტომ ეწოდება ქართულსა და სომხურ მწერლობაში ქარაგმის ნიშანს "პატივი") და ადვილი გამოსაცნობია ტექსტში.

ასეთებია: იესუ, ქრისტე, ღმერთი, უფალი, ღმრთისმშობელი, წინასწარმეტყველი, იერუსალიმი, ისრაელი, წმინდა, სული, ამენ და იგივე სიტყვები სხვადასხვა ბრუნვაში.

შესაძლოა, დაქარაგმებული იყოს, აგრეთვე, ისეთი კავშირები, რომლებიც ტექსტში ძლიერ ხშირად გვხვდება და მათი შემოკლება ძვირფასი საწერი მასალის საგრძნობ ეკონომიას იძლევა. ქართულისათვის ასეთია: რამეთუ, ვითარცა, რაჲთა, რომელი.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ქარაგმდებოდა, აგრეთვე, განსაკუთრებით ხშირად ხმარებული ზმნური დაბოლოებები.

რაც უფრო ძველია ტექსტი, მით უფრო შეზღუდული და განსაზღვრულია დაქარაგმებულ სიტყვათა გამოყენება. სწორედ ასეთი

სახისაა ქარაგმების გამოყენება ალბანურ ლექციონარში.

მაგალითები:

ⴒⵅⵔⴼ, ⵔⵣ, ⵔⵒ ⴓⴓ, ⵔⵣⵍ, ⵏⵒⵊⴰⴱⴱⴰ, ⵏⵒ ⴰⴱⴱ, ⵏⵊⴰⴱⴱ, ⵏⵊⴰⴱⴱⴰⵍ, ⵏⵒⴰⴱⴱⴰⵏ, ⵏⵒⵊⴰⴱⴱⴰⵏ, ⵏⵒⵊⴰⴱⴱⴰⵏ, ⵏⵒⵊ

რატომ ვარ დარწმუნებული, რომ რიცხვები აღინიშნებოდა გრაფემებით და რომ ნ ბ, ალბანური ანბანის მეორე ასო, ორს აღნიშნავს? თუკი რომ დავანებოთ, ამ თვალსაზრისით, ქართულ და სომხურ ანბანებთან მოსალოდნელ ტიპოლოგიურ მსგავსებას, ტექსტში გვაქვს პირდაპირი მითითებებიც.

N13-ის 4r-3v-ზე სათაურის გასწვრივ იკითხება: ⵓⵖⵢⵒⵃⵓⵖⵎⵖⵊⵣⵒⵅⵎ ⵏⵆⵓⵊ უფესუნ პეტროსი ბღოდ.

ამ ტექსტის სხვაგვარად წაკითხვა შეუძლებელია, თუ არა ასე: ⵓⵖⵢⵒⵃⵓⵖⵎ ⵖⵊⵣⵒⵅⵎ ⵏ-ⵆⵓⵊ უფესუნ პეტროსი ბ-ღოდ. "სრულდება (ან, შესრულდეს) პეტრეს მე-2-ეთაგან".

მართლაც ეს მინაწერი გაკეთებულია პეტრე მოციქულის მეორე ეპისტოლეთა ჯგუფის სათაურთან:

ⵖⵊⵣⵒⵅⵎ ⴼⵔⵑⵓⵍⵎⴼⵊⵓⵃⵆⵓⵊ ⵖⵓⵐⵒⵔⵖⵖ ⵑⵎⵖⵎⵓⵃⵓⵜ ⵓⵖⵢⵊⵃⵓⵖⵎ პეტროსი კათოლიკეულოდ *პურანინ* დიპნუხოც უფესუნ. "პეტრეს *მეორე* კათოლიკე ეპისტოლეთაგან სრულდება (ან, შესრულდეს)".

ამრიგად "მეორეს" ან "ორს" (2) ალბანურში აღნიშნავს, როგორც სიტყვა "პურანინ", ისე ანბანის მეორე ასო ნ ბ.

რიცხვების აღნიშვნაზე უნდა მიუთითებდეს გრაფემათა გარკვეული ჯგუფების გამოყოფა დანარჩენი ტექსტიდან, ანუ მათ თავზე და ქვემოთ დასმული ქარაგმის ნიშნები (როგორც ჩანს, შიშობდნენ მხოლოდ ზემოდან დასმულ ქარაგმის ნიშანს მკითხველი შეცდომაში არ შეეყვანა და დაქარაგმებულ სიტყვად არ მიეჩნია).

N55, 4v ⵠⵑⵒ (189?) –ზევიდან და ქვევიდან გასმული აქვს ხაზები.

N13, 27v-28r. მინაწერი შუა აშიაზე, ზევიდან და ქვევიდან ქარაგმის ნიშნის მსგავსი ხაზებით — ⵜⵊ ⴷⵉ (25) ფსალმუნი მსხვერპლის შეწირვაზე (კორბა). ვინაიდან 25-ე ფსალმუნი მართლაც მსხვერპლის შეწირვის შესახებ ლაპარაკობს, უნდა ვიფარაუდოთ, რომ სომხურ ხელნაწერში მოცემული ალბანური ანბანის რიგი ძირითადად სწორია.

მაგრამ სინურ პალიმფსესტზე დაყრდნობით გრაფემებით გადმოცემული რიცხვების ზუსტი მნიშვნელობის დადგენა ჯერ-

ჯერობით ძნელდება. ამის მკაფიო მაგალითია ის ფაქტი, რომ სომხური ხელნაწერის ანბანში მოცემული რიგიდან ალბანურ პალიმფსესტში არა ჩანს მეოთხე ნიშანი (გ-ატ).

N13, 12v-13r (მარცხენა აშია) ᲘᲡ (18, 14), ამ შემთხვევაში, შესაძლოა, საქმე არა გვქონდეს ციფრთან, რადგან ორივე გრაფემა ასეულების აღმნიშვნელია. გარდა ამისა, მათ თავზე და ქვემოთ არ არის დასმული ქარაგმის ნიშნის მსგავსი ხაზები.

თავი VII

ალბანური „ლექციონარის“ საკითხავების სათაურთა ნიმუშები ტრანსკრიპციითა და სიტყვა-სიტყვითი ქართული თარგმანით

ϯϫⲗⲟⲛⲩ ⲉⲣⲯⲟⲩⲩⲉϫⲁⲑⲁⲟⲩ ϯⲟⲑⲗⲣⲩⲩⲩ ⲓⲩϯⲩⲟⲑⲓⲟⲧ ⲟⲑⲩϫⲛⲟⲑⲩ

პეტროსი კათოლიკეულოდ პურანინ დიპნუხოც უფესუნ

პეტრეს კათოლიკე ეპისტოლეთაგან შესრულდეს (სრულდება).

ⲉⲟⲗⲩⲩⲯⲣⲟⲑⲁⲟⲩ ⲓⲛⲕⲣⲟⲑⲩ ⲓⲩϯⲩⲟⲑⲓⲟⲧ ϯⲣⲍⲩⲟⲛⲩ ⲩⲛⲕⲩⲏ ⲣⲍⲟⲛⲣ ⲟⲑⲩϫⲛⲟⲑⲩ

კორინთაულოდ სერბაუნ დიპნუხოც პაულოსი პებიდ ადოდა უფესუნ

კორინთელთა პირველ ეპისტოლეთაგან პაულესი მოციქულისა. ალილუია შესრულდეს (სრულდება).

ⲉⲟⲗⲩⲩⲯⲣⲟⲑⲁⲟⲩ ϯⲟⲑⲗⲣⲩⲩⲩ ⲓⲩϯⲩⲟⲑⲓⲟⲧ ϯⲣⲍⲩⲟⲛⲩ ⲩⲛⲕⲩⲏ ⲣⲍⲟⲛⲣ ⲟⲑⲩϫⲛⲟⲑⲩ

კორინთაულოდ პურანინ დიპნუხოც პაულოსი პებიდ ადოდა უფესუნ

კორინთელთა მეორე ეპისოლეთაგან პაულესი მოციქულისა. ალილუია შესრულდეს (სრულდება).

ϫⲩϫⲛⲣⲟⲑⲁⲟⲩ ⲓⲩϯⲩⲟⲑⲓⲟⲧ ϯⲣⲍⲩⲟⲛⲩ ⲩⲛⲕⲩⲏ ⲣⲍⲟⲛⲣ ⲟⲑⲩϫⲛⲟⲑⲩ

ეფესაულოდ დიპნუხოც პაულოსი პებიდ ადოდა უფესუნ

ეფესელთა ეპისტოლეთგან პაულესი მოციქულისა. ალილუია შესრულდეს (სრულდება).

ϫⲕⲗⲣⲟⲑⲁⲟⲩⲓⲩϯⲩⲟⲑⲓⲟⲧ ϯⲣⲍⲩⲟⲛⲩ ⲩⲛⲕⲩⲏ ⲣⲍⲟⲛⲣ ⲟⲑⲩϫⲛⲟⲑⲩ

ებრაულოდ დიპნუხოც პაულოსი პებიდ ადოდა უფესუნ

ებრაელთა ეპისტოლეთაგან პაულესი მოციქულისა. ალილუია შესრულდეს (სრულდება).

ᲭᲐᲜᲔᲝᲜᲧᲔᲐᲝᲗᲜᲝᲒ ᲬᲐᲘᲬᲔᲝᲗᲧ ᲘᲧᲧᲝᲗᲘᲝᲢ ᲧᲔᲒᲒᲝᲜᲧ ᲛᲐᲒᲔᲒᲝᲒ ᲣᲔᲒᲒᲝᲔ ᲝᲗᲧᲐᲜᲝᲗᲧ

თსალონიკეულოჲ სერბაუნ დიპნუხოც პაჳლოსი ჰებიჲ აჲოჲა უფესუნ

თსალონიკელთა პირველ ეპისტოლეთაგან პაულესი მოციქულისა. ალილუია შესრულდეს (სრულდება).

ᲭᲐᲜᲔᲝᲜᲧᲔᲐᲝᲗᲜᲝᲒ ᲧᲝᲗᲘᲯᲧᲧᲧ ᲘᲧᲧᲝᲗᲘᲝᲢ ᲧᲔᲒᲒᲝᲜᲧ ᲛᲐᲒᲔᲒᲝᲒ ᲣᲔᲒᲒᲝᲔ ᲝᲗᲧᲐᲜᲝᲗᲧ

თსალონიკეულოჲ პურანინ დიპნუხოც პაჳლოსი ჰებიჲ აჲოჲა უფესუნ

თსალონიკელთა მეორე ეპისტოლეთაგან პაულესი მოციქულისა. ალილუია შესრულდეს (სრულდება).

ᲨᲧᲦᲝᲭᲐᲝᲜᲧ ᲬᲐᲘᲬᲔᲝᲗᲧ ᲘᲧᲧᲝᲗᲘᲝᲢ ᲧᲔᲒᲒᲝᲜᲧ ᲛᲐᲒᲔᲒᲝᲒ ᲣᲔᲒᲒᲝᲔ ᲝᲗᲧᲐᲜᲝᲗᲧ

ტიმოთოსი სერბაუნ დიპნუხოც პაჳლოსი ჰებიჲ აჲოჲა უფესუნ

ტიმოთეს პირველ ეპისტოლეთაგან პაულესი მოციქულისა. ალილუია შესრულდეს (სრულდება).

ᲘᲝᲨᲔᲔᲧᲜᲧ ᲦᲝᲨᲢᲝᲨᲬ Ღ - - ᲩᲔᲕᲐᲜᲝᲨᲧ

ლუკას [სახარება]

ᲦᲔᲭᲐᲝᲜᲧ ᲦᲝᲨᲢᲝᲨᲬ ᲘᲝᲨ - - - -

მათეს [სახარება]

Ე--Წ-ᲬᲘᲝᲢ ᲨᲐᲬᲧᲔᲘ

კ--რ-ბხოც ჰებიახ

[საქმეთაგან] მოციქულის

იდენტიფიცირებული და ამოკითხული საკითხავების ნიმუშები

2 კორინთელთა 11, 23-27
(N13, 76r-77v)
(სურათი 10)



(სურათი 10)

2 კორინთელთა 11, 23-27
(N13, 76r-77v)

ალბანური	ქართული
Ⳗ̃ⷪⷮ Ⳗⷪⷦⷪ-ⷩⷦ	მსახურნი თუ ქრისტესნი
ⷪⷠ.ⷪ⸗̃ⷭ ⷠⷦⷩ ⷈⷭⷪⷢⷦ	არიან? უუგუნერესადრე ვიტყჳ:
ⷦⷪⷦⷪ-ⷪⷃⷬⷩⷈⷩⷈⷦ	უფროჲსღა მჳ;
ⷃⷩⷦⷪ ⷃⷈⷦ: Ⳗⷈⷠⷃⷈⷩ	შრომითა უმეტეს.
ⷈⷩⷦⷪ ⷩⷪⷠⷪⷈⷩⷈ-: ⷩ	პყრობილებითა
- ----- -- --ⷠⷪ	გარდარეულად,
ⷩ------ -----ⷈⷦ	სიკუდილთა შინა მრავალ
ⷠⷈⷭⷪ--------	გზის.
ⷭⷈⷦⷈⷭⷪⷩⷈⷭ---ⷩ	ჰურიათაგან ხუთ გზის
ⷦⷈⷦⷠⷭⷪⷩⷈⷭ ⷈⷈⷦ-ⷪⷠ	ორმეოცსა ერთ-მოკლებული
ⷦⷠⷪⷪⷠⷦⷈ ⷭⷈⷦ-ⷪⷠ	ცემაჲ მოვიღე.
ⷒⷪ ⷯⷪⷠ ---ⷈⷭⷈ	სამ გზის კუერთხითა
ⷭⷩⷈⷦⷬ-ⷪ--ⷓⷪⷩⷦⷩ	ვიეც, ერთ გზის
ⷪⷪⷩⷪⷯⷈⷩ---ⷭⷩⷬ	ქვითა განვიტყნე,
ⷈⷪⷦⷈⷦⷈⷩ----ⷣⷩⷩ	სამ გზის ნავი დამექცა,
ⷈⷦⷬⷪⷬⷩ----ⷣⷪⷩ	ღამე და დღე უფსკრულთა
ⷈⷪⷬ: ⷒⷯⷦ ⷯⷪⷠ ⷥⷯⷦⷈ	შინა დავყავ. გზისა სლვანი,
ⷦⷪⷠ ⷪⷣⷯⷒⷈⷩⷈⷒⷭ	მრავალ გზის,
ⷓⷈⷒⷠⷓⷈⷦⷈ:	ჭირნი
ⷦⷪⷠ ⷪⷣⷯⷒⷈⷩⷈⷩⷭ	მდინარეთანი,
ⷪⷓⷪⷈⷪⷣⷈⷓⷓⷈⷦⷈ:	ჭირნი
ⷦⷪⷠ ⷪⷣⷯⷒⷈⷩⷈⷒⷭ	ავაზაკთაგან,
ⷯⷩⷈⷩⷒⷭⷈⷦⷈ:	ჭირნი
ⷦⷪⷠ ⷪⷣⷯⷒⷈⷩⷈⷩⷭ	ნათესაეთაგან,
ⷥⷯⷯⷈⷩⷒⷈⷓⷒⷭⷈⷦⷈ:	ჭირნი
ⷦⷪⷠ ⷪⷣⷯⷒⷈⷩⷈⷩⷭ	წარმართთაგან,
ⷯⷪⷦⷯⷯⷪ:	ჭირნი
ⷦⷪⷠ ⷪⷣⷯⷒⷈⷩⷈⷩⷭ	ქალაქთა შინა
ⷣⷓⷪⷓⷪⷩⷪ:	ჭირნი
	უდაბნოთა ზედა

ეფესელთა 5, 25-28
(N13, 28v-27r)
(სჳრათი 11)



სურათი 11

ეფესელთა 5, 25-28
(N13, 28v-27r)

ⵕⵐⵃⵕⵁⵏ ⵃⵕⵐ ⵒⵒⵏⵃⵕⵏⵒⵏⵒⵏⵒⵏⵒ ⵒⵏ ⵃⵕⵐⵏ ⵔⵍⵒⵒⵐⵏ ⵒ‍ⵐⵒⵏ ⵃⵕⵐⵒⵏⵒⵃⵏⵃⵏⵒⵏ))ⵒⵒ(?) ⵏⵏⵔ ⵒⵔⵏⵒⵐⵏⵏⵒⵏ :ⵏⵒⵔ ⵃⵕⵐⵏ ⵒⵒⵒⵒⵒⵔ)ⵒⵒⵏⵏ ⵕⵒⵏ ⵒⵒⵒⵒⵏⵒ : ⵒⵒⵕⵕⵐⵏ ⵒ ⵕⵐ ⵏ ⵕⵐ ⵒⵔ ⵃ ⵒ ⵒ ? ⵒ ⵏ ⵔ ⵒ ⵕⵒⵏⵏⵒⵕⵕⵐⵔ ⵒⵏ ⵒⵒⵒ ⵔⵒⵏⵕⵕⵏⵏⵒⵏ ⵃⵕⵐⵏⵒⵐ ⵃⵒⵒ:ⵒⵏⵔ ⵒ ⵕⵒⵒⵏⵒⵏⵒⵐⵕⵐⵏⵒ ⵓⵒⵕⵐⵐⵒⵏⵒⵏⵒⵐⵒⵏⵒⵏⵔ ⵏ ⵒ ⵐ ⵏ ⵏ ⵏ ⵕⵐ ⵒ ⵏ ⵒ ⵔ ⵒ ⵣⵒⵏⵒⵒⵒⵒⵏⵔⵕⵕⵃⵕⵃⵐⵒⵒⵒ ⵏⵕⵔⵒⵏⵒⵏⵕⵕⵃⵕⵃⵐⵒⵒⵒ ⵔⵕⵐⵒⵏⵒⵏⵕⵕⵃⵕⵃⵐⵒⵒⵒ ⵕⵒⵏⵒⵏⵒⵏⵕⵕⵃⵕⵃⵐⵒⵒⵒ ⵏⵒⵏⵒⵏⵒⵏⵕⵕⵃⵕⵃⵐⵒⵒⵒ ⵔⵒⵏ

1. კორინთელთა 12. 28-29
(N13, 26r-31v)
(სურათი 12)

ⴶ-ⵖⵔⵅ- - ⵔⵊⵜ - ⴶⵆⵂ	დაადგინნა ღმერთმან
ⴶⵃⵅⵔ - -ⴶ: ⵃⴶⵍⵜⵔ	ეკლესიათა: პირველად
ⵙⵊⵅ ⵏⴶⵜⵅⵂⵊⵔⵔ ⵗⵎⵍ: ⵟⵙⵊ	მოციქულნი, მეორედ
ⵍⵔⵖⵅⵏ ⵟⵔⵔⵍⵏⵔⵔⴶⵅⵙⵊⵅ	წინასწარმეტყუელნი,
ⵅⵅⵜⵔⵍⵙⵊⵅ ⵈⵔⵍⵏⵔⵔⵜⵔ	მესამედ მოძღუარნი,
ⵜⵙⵊⵍⵙⵊⵅ ⵈⵔⵍⵜⵔⵔⵟⴶ	მერმე ძალნი, მაშინღა
ⵜⵙⵊⵅ ⵈⵙ.ⴶ ⵟⵅⵂⵔⵅ	მადლნი კურნებათანი,
ⵙⵊⵅⵙⵊⵅ - - - - - - - - - -	შეწევნანი, წარმატებანი,
- - - - - - ⵟⵙ-ⵠⴶⵔ ⵟⵔⵔⵅⵏ	თესლად-თესლადი ენათაჲ,
ⵠⵙⵊⵅ ⵏⵗⵏⵠⵇ- ⵙⵊⴶⵏⵙⵊ	[თარგმანებაჲ ენათაჲ]
ⵅⵙⵊⵏⵙⵊⵇ ⵏⴶⵈⵅⴶⵏⵏⵙⵊ	ნუ ყოველნი
ⵅⵙⵊⵅ ⵔⵊⵔⵔ ⵆⵙ-ⵠⵔⵔⵔⵅ:	წინაჲსწარმეტყუელ
ⵔⵔⵍⵟⵙⵊⵅ ⵟⵙⵊⵙⵍⵙⵊⵇ:ⴶ	იყვნენა? ნუ ყოველნი
ⵖⵔⵍⵇ—ⵔⵊⵅ ⵟⵙⵊⵙⵍⵙ	მოციქულ [იყვნენა?]
ⵟⴶⵜⵟ ⵔⵔⵏⵠⴶⵊⵔⵔ ⵏⵙⵊⵟⵍⵙⵊⵔ	ნუ ყოველნი
ⵈⴶⵅⵙⵊⵅ ⵅⵔⵏⵔⵔ ⵡⵍ:ⵟⴶ	მოძღუარ [იყვნენა?]
ⵜⵟ ⵔⵔⵏⵠⴶⵊⵔⵔ ⵏⴶⵈⵅⵏⵔⵔ	ნუ ყოველთა მადლი
ⵡⵍ ⵅⵔⵏⵔⵔ ⵡⵍ: ⵟⴶⵜⵟ	აქუნდეს კურნებათაჲ
ⵔⵔⵏⵠⴶⵊⵔⵔ ⵈⵔⵍⵏⵔⵔⵜⵔ	ნუ ყოველნი
ⵙⵊⵅⵙⵊⵅ ⵏⵔⵔⵍⵏⵔⵔⵜⵔ	
ⵙⵊⵅⵙⵊⵅ ⵟⵔⵔⵍⵏⵔⵔⵜⵔ	
ⵔⵔⵏⵠⴶⵊⵔⵔ ⵟⵔⵔⵅⵏ ⵏⵗⵏⵠⵇ	

სურათი 12

საქმე მოციქულთა 12. 1-2
N13, 56v-57r
(სურათი 13)

ⵏⵅⵊⵍ ⵏⵍⵔⵕ	მას უამსა შინა
ⵙⵕⵀ ⵢⵚⵍ---- ⵄⵊⵅⵏ	ჴელი მიყო ჰეროდე
ⵜⵕⵅⵊ ⵠⵏⵊⵔⵊⵏ - ⵏⵍⵙⵏ	მეფემან ძჳრის ყოფად
--	რომელთამე
ⵅⵔ ⵒⵏⵏⵕⵅⵃ ⵚⵉⵊⵚⵏⵏⵃⵜ	ეკლესიისაგანთა. და
ⵟⵕⵅⵍⵏⵏⵕⵅⵏ ⵊⵔⵉⵔⵕⵠⵔⵃ	მოკლა იაკობ, ძმაჲ
ⵑⵏⵚⵏⵚ ⵊⵕⵕⵢⵊⵔⵏ	იოანესი მახჳლითა



სურათი 13

ებრაელთა 11, 17-19
5r-2v
(სურათი 14)

›ᏅᏓᎩᎸᏁᎢ	სარწმუნოებით
ᏦᎫᏦᏎ ᎫᏆᎧᎩᏉ.Ꮖ ᎧᏠᏓᎩ›ᎧᏆ	შეწირა აბრაჰამ ისაკი
›ᎧᏆᎫᎫᏎ ᏓᎧᏓᎫᏂᎧᎩᏅᏍᏏ	გამოცდასა მას და
ᏎᏇᏗ ᏎᏂᎧᎩᏗ ᏆᎧᎩᎫᏗᎧᏆ:	მხოლოდ შობილსა მას
ᎤᏂᎧᏀ ᎧᏀᏅᎤᏂᏭᎧᎧᎧ	შესწირვიდა, რომელმან
ᎤᎫᏎ ›ᏗᎫ›ᎧᏀᏉᏗᎤᏎ	აღთქუმაი იგი მოიღო,
ᎤᏂ-›ᎫᎧᏀᏀ ᎧᏎᎧᏀᎤ ᏖᎧ	რომლისა მიმართ ითქუა,
ᏕᎫ›ᏗᏂ: ᎤᎩᏗ ᎧᏎᎧᏀᎤ	ვითარმედ: ისაკისაგან
ᎤᏂᏂᏕᎫ ᏎᏂᎧᏕᎫᏍᎤᎢ	გეწოდოს შენ ნათესაჲად.
ᏂᎧ- - ᎧᏃᎧᎫᎩ-ᏓᎤᏂᏃ	ესრეთ შეჰრაცხა,
ᏗᏣᏎᎧᏀᏎ ᎤᎫᏎ ›ᏓᏂ	ვითარმედ მკუდრეთითცა
- - - - - - - - - - - -	აღდგინებად შემძლებელ
ᎧᏀᏕᏎᏫᎤᏕ-Ꭷ- -Ꮥ	არს ღმერთი, რომლისთჳს
›ᎧᏣᏃᏆ-ᏫᎤᏂᎫ-Ꭷ ᏫᎫ	ცა იგაჲით მოიყუანა იგი.
ᏫᎧᏄᎫᏎᎧ-ᏎᏀᎧᎧᏀ›Ꭻ	
ᎧᎧ-›ᎧᏀᎤᎤᏀᏓᎫ ᎤᏎᎤᎤᏂᏂ	

სურათი 14

მათე 17, 1-5
N13, 13v-10r
(სურათი 15)

ⵗⵃⵑ ⵚⵒⵐⵄⵍⵃⵑⵐⵖⵜⵚ	და შემდგომად ექუსისა
ⵏⵐⵚⵚⵄⵑⵑⵃⵐⵑ ⵜⵐⵒ	დღისა, წარიყვანნა იესო
ⵒⵔⵃⵏⵚⵑ ⵔⵃⵑ ⵊⵚⵔⵔⵃⵚⵑ	პეტრე და იაკობ და,
ⵔⵃⵑ ⵊⵔⵏⵚⵑⵚⵚⵑ ⵑⵑ	იოანე ძმაჲ მისი, და აღი-
ⵆⵑ ⵊⵐⵑⵔⵊⵚ: ⵏⵚⵊⵖⵔⵚ	ყვანნა იგინი მთასა
ⵊ ⵔⵐⵐⵑ ⵔⵃⵏⵔⵃⵑⵏ- -	მაღალსა თჳსგან.
ⵔⵃ - ⵖⵔⵃ- - ⵑⵆⵚⵊ ⵖⵑ	და იცვალა მათ წინაშე
ⵊⵐ- - - ⵒⵏⵚⵟⵒⵐⵑ	სხუად ფერად, და განბრ-
- - ⵑⵚ - - ⵗⵏⵃⵚⵑⵔⵔⵃⵔⵐⵜ	წყინდა პირი მისი, ვითარ-
ⵋⵚ - - ⵎⵑ - - ⵔⵚⵔⵔⵊⵚⵖⵏⵐ	ცა მზე, ხოლო სამოსელი
ⵏⵔⵃⵑ - ⵔⵃ - ⵚⵑⵎⵐ:	მისი იქმნა სპეტაკ, ვითარ-
ⵏ- - - ⵟⵟ- - ⵚⵖⵑⵐⵔⵃⵋⵚⵟ	ცა ნათელი. და აჰა ეჩუენ-
ⵚⵑⵎⵐ	ნეს მათ მოსე და ელია
ⵚⵏⵚ ⵚⵎⵚⵏ-ⵑⵗⵜⵚ ⵟⵔⵃ	მის თანა და თანა-ზრახ-
ⵅⵎⵅ ⵔⵃⵑ ⵐⵑⵑⵊⵚ -ⵚ-	ვიდეს. მიუგო პეტრე და
ⵎⵚⵏⵚⵋⵊⵅⵑⵎⵐⵔⵃ	ჰრქუა იესოს: უფალო,
ⵑⵊⵔⵃⵎⵔⵒⵐⵅⵑⵎⵚⵋⵐ	კეთილ არს ჩუენდა აქა
ⵜⵐⵋⵐⵔⵔⵃⵐⵑ ⵔⵃⵑⵒ	ყოფაჲ, და თუ გნებავს,
ⵜⵅⵃⵚ: ⵣⵐ ⵄⵖⵚⵐⵊ -	ვქმნეთ აქ სამ ტალავარ:
- - - -ⵏⵚⵅⵐⵑⵎⵐ ⵖⵔⵃ	ერთი შენდა, ერთი მოსესა
ⵚⵚⵐ.ⵐ ⵏⵚ ⵖⵑⵊⵚⵊ- -ⵚ	და ერთი ელიაჲსა.

ჩჯᲧ ᏧᏊᏮ ᏏᏥᏀᏥᏥᏥᏓ	და ვიდრეცა იგი ამას
ᏂᏥ ᎥᏥ: ᏂᏥ ᏈᎾᎭᏂᎬᏂᏥ-	იტყოდა, აჰა ესერა ღრუ-
ᏂᏥ ᏗᏀᏎᏀᏥ -	ბელი ნათლისაჲ აგრილო-
ᎾᏗᏣ ᏎᏀᎾᎭᎬᏥᏃ ᏈᏥ	ბდა მათ, და აჰა ჴმაჲ
ᏏᎾᎭᏎᎬᏗᏃᎬ: ᏥᏃᏥ ᏧᏥᏏ	იყო ღრუბლით გამო
ᏎᏎᏥᎢᏗᏟᎾ-ᏎᏃᏂᏎᏀ	და თქუა:
ᏃᏥᏀᏥ : ᎬᏥ- - -ᏎᏗᏗ Ꮵ	ესე არს ძე ჩემი
ᎢᏗᏟᏥᏂᎾᎢ ᎾᎭᎬᏥᏃᎬ	საყუარელი,
ᎾᏎᏗ ᎣᏥᏓ ᏮᏗᎾᏎ ᏮᎾᎭ	რომელი მე სათნო-ვიყავ
ᏥᏥᎳᏥᎾ : ᏮᎾᎭᏥᎮᏥᏥ	მაგისი ისმინეთ
ᎳᏥᏀᎾᎾᎭᏂᎬᏗ ᎣᏥ- -	
ᎾᎭᏋ ᏮᎳᎳᏥᏥᎳ —- Ꮃ	

სურათი 15

N13
23r-16v
ებრაელთა 3, 1-5
(სურათი 16)

ⴆⵊⵁⵔⵛ- - - ⵏⵑ- - - -	ზიარნო, განიცადეთ
ⵔⵛⵜⵔⵁⵊ ⴣ - - - - - - - -	მოციქული იგი და
ⵅⵑⵏⵑⵅⵁⵛⵏⵁⵊ ⴣⵑⵛⵏ	მღდელთ მოძღუარი აღსა-
ⵋⵗⵆⵏ ⵜⵗⵆⵏ ⵅⵄⵊⵆⵀ ⵔⵛ	რებისა ჩუენისაჲ, იესო
ⵏ ⵅⵎⵑ ⴣⵆⵆ - ⵔⵊ ⵏⵑⵔ	ქრისტე, რომელი სარწმუ-
ⵒⵔⵛⵗⵔⵗ ⵅⵆⵛⵏⵍⵎⵑ	ნო არს შემოქმედისა
ⵊⵔⵆⵛⵔⵎⵑⵔⵛⵗⵊⵊⵊ:	თჳსისა, ვითარცა-იგი მო-
ⵏⵏⵔⵔⵐⵄⵔⵛⵏ ⵆⴣⵄⵏ	სცეა ყოველსა მას სახლ-
ⵏⵅ-ⵆⵏⵆⵍⵑ ⵑⵆ ⵒⵔⵛ	სა მისსა. რამეთუ უმრაე-
ⵗⵎⵗⵆⵀ - - ⵏⵏⵔⵛ	ლესსა დიდებასა ესე
ⵔⵜⵗⵆⵏⵌⵒ-ⵔⵛⵏⵑⵐ	ლირს იყო უფროჲს
ⵅⵆⵒⵆⵔⵛⵏⵑ ⵑⵍⵔⵜⵗⵆ	მოსესსა, ვითარცა იგი უფ
ⵄⵔⵐ ⵏⵏⵔⵊⵔⵍⵔⵛⵗⴣⵆ	როჲს პატივი აქუნ სახლი-
ⵆⵒⵏⵑ : ⵜⵑⵄ ⵍⵔⵛ ⴣⵔ	სა მის მაშენებელსა მას
ⵄⵔⵄⵆⵆ ⵆⵏⵍⵑ ⴣⵔⵄⵔⵄⵆⵆ	მისსა. რამეთუ ყოველი
ⵅⵆⵒⵔⵗⵒⵆⵏⵍⵑ: ⵖⵔⵐⵑ	სახლი აღეშენის ვისგან-
ⵑⵜⵑⵄ ⴣⵏⵊⵆⵊ ⵅⵏⵆⵆⵜ	მე; ხოლო რომელმან ყო-
ⵔⵑⵏ ⵍⵑ ⴣⵛⵛⵏ ⵆⵒⵆ:	ველივე აღაშენა, ღმერთი
ⵊⵔⵗⵆⵏⵌ ⵅⵄⵊⵆⵄⵗⵏ	არს. და მოსეცა სარწმუნო
ⵏⵑⵅⵔⵗⵆⵍⵔⵛⵗⵆⵒⵔⵅⵊ	იყო ყოველსაცე სახლსა
ⵏⵆⵊⴣⵔⵗⵅⵆⵒ-ⵏⵍⵑ:	მისსა, ვითარცა მსახური
ⵟⵔⵗⵊⵆⵊ---ⵆⵏⵆⵄⵔⵗⵒ	მოწამედ თქუმულთა მათ

სურათი 16

ალბანური ენის გრამატიკული აღწერა[246]

ფონეტიკა

წინასწარი დათვლით, ალბანურ ტექსტში გრაფემათა (ფონემათა) საერთო რაოდენობა უნდა ყოფილიყო 54 — 56 (უფრო მეტად საკარაუდოა 54). დღეს ამაზე შორს წასვლა ჯერ კიდევ ნაადრევია. ამიტომ უნდა ამოვიდეთ გრაფემათა იმ რაოდენობიდან, რომელიც მოცემული გვაქვს სომხური ხელნაწერის ანბანში — 52.

ქვემოთ მოცემული ალბანური ანბანი (ის, რაც დაზუსტებულია) დალაგებულია ქართული ანბანის თანმიმდევრობით, რადგან სომხურ ხელნაწერში შემონახული ანბანის რიგს დაზუსტება სჭირდება.

ხმოვნები: Ջ ა, Ս ա, Ժ ე, Կ ი, Օ ო, Օ՝ უ.

ნახევარხმოვნები: Ղ ი, Ղ յ.

თანხმოვნები: Ն ბ, Ր გ, Ւ დ, Ւ ვ, Զ ზ, Ց თ, Ξ კ, Ղ ლ, Ձ მ, Կ ნ, Ֆ პ, Ք ჟ, Ա რ, Հ ს, Ճ ტ, Վ ფ, Ֆ ქ, Ճ ღ, Ջ ყ, Ս შ, Ճ შ, Ճ՝ ჩ, Ր ც, Ֆ՝ ძ, Կ ჯ, Ց ჭ, Կ ხ, Կ՝ ხ, Ղ ჰ.

დიფთონგი: Ա՝ Ճ յ.

ფონეტიკური მოვლენები:

Կ “ი“-ს რედუქცია (Կ ი > Ղ ი): 1. ხმოვნებს შორის — *ՋՂԿՂՕՀՂՋ ალილუია > ՋՂՕՂՋ აღოდა; 2. ხმოვნებს შემდეგ სიტყვის ბოლოს — ՆՀՆԿ-Կ ჰები-ი > ՆՀՆԿ-Ղ ჰებიი, ՀՎՀՀՋՕՀՃՕ-Ղ ეფესაულო-Կ > ՀՎՀՀՋՕՀՃՕ-Ղ ეფესაულო-ი; 3. ხმოვნის წინ სიტყვის თავში — ՂՋՀՕՆ ჲაკობ.

Ղ “ლ“-ს რედუქცია (ლ > 0) ხმოვნებს შორის: *ՋՂԿՂՕՀՂՋ ალილუია > ՋՂՕՂՋ აღოდა. შესაძლოა ეს იყოს ლ>ი-ც ՋՂԿՂՕՀԿՋ ალილუია > ՋՂՕՂՋ აღოდა, რომელიც დადასტურებულია უდიურ ენაში (შდრ. უდ. *ბალ-ი > ბა-ი)[247].

Օ՝ “უ“-ს რედუქცია (Օ՝ უ > 0) უმახვილო პოზიციაში: *ԻԿՖՕՀԿ *დიპუნ > ԻԿՖԿՕՀՂՕՐ დიპნ-უხ-ოც.

ᲝᲗ და Ო-ს მონაცვლეობა (ᲝᲗ <>Ო), რაც ასევე დამახასიათებელია ქართულისათვის. შესაძლოა, ჩვენს შემთხვევაში (ᲯᲘᲙᲘᲝᲗᲘᲯ > ᲯᲘᲝᲘᲯ ალილუია > აᲯოᲯა) ეს იყოს მომხდარი გრაფიკულ ნიადაგზე. ამ შემთხვევაში ᲝᲗ უ-ს მოსდევს Ⴡ ი, რომელიც გრაფიკულად ძლიერ გაუს მის შემადგენელ ნაწილს Ⴢ ჯ.

მორფოლოგია

სახელის ბრუნება:

სახელობითი	— 0 უნიშნო (ᲘᲯᲔᲝᲑ Ჯაკობ, Ხ̃Ⴢ Ხ(ᲣᲙᲐᲜᲝ)Ⴢ ქ[რისტო]ს),
მოთხრობითი	— -ᲥᲙ -ენ (Ხ̃ᲘᲜ Ხ(ᲣᲙᲐᲜᲝⴢ)ᲥᲙ ქ[რისტო]სენ, ᲨᲥᲜᲣᲝⴢ-ᲥᲙ პეტროს-ენ),
მიცემითი 1	— -ᲯᲩ -ახ (ᲨᲥᲜᲣᲝⴢ-ᲯᲩ პეტროს-ახ, ᲘᲯᲔᲝᲑ-ᲯᲩ Ჯაკობ-ახ, ᲘᲝᲩᲯᲙᲯᲙᲯᲩ Ჯოჰანან-ახ),
მიცემითი	— - ᲝᲩᲙ უნ?
ნათესაობითი	— -Ⴙ -ი (ᲨᲯᲘᲘᲝⴢ-Ⴙ პაᲯლოს-ი, ᲜᲙᲜᲝⴢ-Ⴙ ტიტოს-ი, ᲘᲯᲔᲝᲑ-Ⴙ Ჯაკობ-ი, ᲧᲯᲓᲥᲝⴢ-Ⴙ მათეოს-ი და ა.შ.); -ᲝᲩᲙ (ᲯᲮᲔᲩᲯᲙ-ᲝᲩᲙ Ჯაზან-უნ),
გამოსულითი	— -ᲝᲢ -ოც (ᲮᲙᲨᲙᲝᲩ-ᲝᲢ დიპნ-უხ-ოც), მრ. — ᲝᲩ-ᲝᲢ -უხ-ოც /-ᲝᲩ-ᲝᲢ -ოხ-ოც (ᲯᲔᲯᲔᲯᲔᲘᲨ-ᲝᲩ-ᲝᲢ აბაზაკულ-ოხ-ოც),
ადგილობითი	— -Ⴢ -ა (ᲮᲘᲘᲯᲮ-Ⴢ ქალაქ-ა, ᲔᲜᲯᲔᲧ-Ⴢ კშაბან-ა),
მოქმედებითი	— -ᲧᲙ -ინ (ᲦᲝᲩᲜ-ᲧᲙ ბუს-ინ)

მრავლობითის მაჩვენებელი ფორმანტია -ᲝᲩ -უხ / ᲝᲩ -ოხ (ᲮᲙᲨᲙ-ᲝᲩ დიპნ-უხ, ᲯᲔᲥᲜᲝᲩᲙ-ᲝᲩ აკესუნ-უხ).

რიგობითი რიცხვითი სახელების წარმოება

ᲜᲥᲣᲔᲯ-ᲝᲩᲙ სერბა-უნ (პირველი),

ᲨᲝᲩᲣᲯᲙ-ᲧᲙ პურან-ინ (მეორე), შდრ. უდიური ფურან/ფურუნ - შემდეგი

ᲧᲧᲔᲯᲣ -ᲝᲩᲙ ხ̣იბარ-უნ (მესამე).

შენიშვნა: ამჟამად უდიურში რიგობითი რიცხვითი სახელის საწარმოებლად გამოიყენება აზერბაიჯანულიდან ნასესხები სუფიქსი -უმჯი, თუმცა დასტურდება ზოგჯერ საკუთარი სუფიქსით (-უნ) წარმოებაც[248]. მაგალითად: სა-უნ *პირველი,* (სა=ერთი), პაᵢ-უნ *მეორე* (პაᵢ=ორი), ხᵢიბ-უნ *მესამე* (ხᵢიბ=სამი). შდრ. ალბანური სე-რბა-უნ, პუ-რა-ნინ, ხᵢიბ-არ-უნ.

ზმნა

ზმნის ინფინიტივის მაჩვენებელი ფორმანტია -ᲥᲨ-ᲝᲨᲧ ეს-უნ (ᲯᲔ-ᲥᲨ-ᲝᲨᲧ აკ-ეს-უნ, ნახვა),

ბრძანებითი კილო (მრ. რიცხვი) — -ᲯᲧᲯ (ᲦᲝᲨᲯ-ᲥᲨᲝᲨᲧ > ᲦᲝᲨᲯ-ᲯᲧᲯ ბუყ-ანა, გიყვარდეთ). ბრძანებითის ფუნქციას, როგორც ჩანს ასრულებდა, აგრეთვე, მასდარი: ᲝᲨᲩᲥᲨᲝᲨᲧ ᲜᲥᲣᲚᲝᲨᲧ Ბ-ᲐᲝᲢ უფესუნ პეტროსი ბ-ღოი (შესრულდეს პეტრეს მეორე-თაგან)

ლექსიკა

ალბანური ენის ლექსიკა, გაშიფრულის ფარგლებში, ხშირად ემთხვევა უდიურის იმ ლექსიკას, რომელიც დღემდე არის ამ ენაში შემორჩენილი.

მაგალითად:

ნათესაური კავშირების აღმნიშვნელი:

ᲾᲧᲦᲝᲨᲪ ჩიბუხ	— ცოლი,
ᲝᲨᲦᲝᲩ უსბონ	— ქმარი
ᲩᲧᲾᲧ ვიჩი	— ძმა,
ᲕᲯᲣ ღარ	— ძე, შვილი,

ადამიანის, მისი სხეულის ნაწილებისა და მოქმედების აღმნიშვნელი:

ჯ(ჩჯჟჯ)ქ ა(დამა)რ –ადამიანი,
ჰᲝᲩᲘ ქულ — ხელი,
ნᲝᲩᲘ ბულ — თავი,
ჟᲝᲩᲐქ მუზრ — ენა (უდიურში "მუზ"),
ჯნჯᲐჯჟჴ აბაზაკ — აბაზაკი,
ჯჴᲯᲮᲝᲩᲙ აკესუნ — ნახვა,
ᲧᲯᲮᲝᲩᲙ ფესუნ — კეთება,
ᲩᲝᲩქᲙᲙᲝᲩᲙ პურინუნ — მოკლა,

ადამიანის მდგომარეობის აღმნიშვნელი:

ნᲝᲩჯᲯᲮᲝᲩᲙ ბუყესუნ — სიყვარული,
ჟჯქ ჯჴᲯᲮᲝᲩᲙ მარ აკესუნ
— ჭირის ნახვა, გაჭირება,
ნᲝᲩᲮ(ჯ) ბუს(ა) — შიმშილი,
ᲩᲝᲩქᲙ პური — მკვდარი,
ჟჯქ მარ — ჭირი (უდიურში "ჩირჩი"),

რელიგიური:

ნ̃Ნ ბ(იხაჯუ)ღ — ღმერთი,

დღე-ღამის აღმნიშვნელი:

ᲫᲝᲩ შ̧უ — *ღამე,*
ᲜᲙ ღი — დღე,

ბუნების მოვლენები:

ᲖᲝᲩქ ტურ — მდინარე,
ᲔᲡჯნჯᲙ კშაბან — უდაბნო,
Მჯს ხაშ — ნათელი (უდ. მთვარე),

ՀՕԿՕԹՅ გონუთ — წმიდა (სომხ. գույն გოდნ / გუდნ + უდ. უარყოფითი ნაწილაკი ՕԹՅ უთ — უ. უდიურში გონუთ = უფერული),

ՑՕԹՎՕԹՁ მუჭ̣ურ —სუფთა, წმიდა,

ნაცვალსახელები:

ნՁՏԿ ბეში — ჩვენი,
ՅՕԹ ზუ (მიც. ՅՋԿ ზახ) — მე,
ԻՋ ვა — შენ
ԿՖՋՂ იჩად — თავისი
ნՁՅԿ ბეზი — ჩემი,
ΣՁ კე — ეს, ეგ,
ԿՖԿ იჩი (ԿՖΣ იჩც) — თავისი,
ՕՁԿ ოენ — რათა.

რიცხვითი სახელები:

ՀՋ სა — ერთი,
ՎԿნ ხ̣იბ — სამი,
ՀՁՆՋՕԹԿ სერბაუნ — პირველი,
ԳՕԹՆՋԿԿԿ პურანინ — მეორე,
ՎԿნՋՆՕԹԿ ხ̣იბარუნ — მესამე,

ჩვენ დაჟინახეთ, რომ ალბანური ენა როგორც ლექსიკის, ისე მორფოლოგიის თვალსაზრისით ძლიერ ახლოს არის უდიურთან. მათი ერთმანეთთან მისაყვანად ბევრ შემთხვევაში არც არის საჭირო დაღესტნურ ენათა შედარებითი გრამატიკის მოშველიება.

უეჭველია, რომ დამწერლობის გარეშე ენისათვის დაცილება თავის წინაპარ ენასთან გაცილებით უფრო მეტი იყო მოსალოდნელი, ვიდრე

გვაქვს ჩვენ შემთხვევაში. ვფიქრობ, ესეც ერთი დამატებითი საბუთია იმის სამტკიცებლად, რომ ალბანური სალიტერატურო ენა სრულიად ჩამოყალიბებული იყო ადრეულ შუა საუკუნეებში და საკმაო ხანსაც გაძლო. შესაძლოა, ჩვენ მოგვიწიოს მისი გაქრობის ზედა თარიღის გადახედვამაც.

ალბანურ „ლექციონარში“ დადასტურებული ლექსიკა საკუთრივ ალბანური სიტყვების გარდა შეიცავს, რა თქმა უნდა, უცხო (ბერძნულ, ქართულ, სომხურ, ებრაულ) ენებში დადასტურებულ საკუთარ სახელებს, სიტყვებსა და ფორმებს. ეს სიტყვები გვიჩვენებენ ბერძნულ, ბერძნულ-ქართულ, ბერძნულ-სომხურ, ქართულ, ქართულ-სომხურ, სომხურ და სირიულ-ებრაულ ფორმებს, რაც არ გვაძლევს საშუალებას განვსაზღვროთ ალბანური „ლექციონარის“ წარმომავლობა. ყველა ეს სიტყვა მოცემული ფორმით, როგორც ჩანს, გავრცელებული იყო ალბანურ სამყაროში “ახალი აღთქმის“ თარგმნამდე.

მაგალითები მოტანილია სიტყვათა ფორმების საჩვენებლად და არა ეტიმოლოგიისა:

საეკლესიო ტერმინები

ჯყრკჟჷჽ ანგელოს – ბერძნ. "αγγελος, ქართ. ანგელოზ-ი / ანგელოს-ი, სომხ. հրեշտակ (ჰრეშტაკ).

ჯჷჽჯყჷ ეკლესია – ბერძნ. εκκλησία, ქართ. ეკლესია, სომხ. եկեղեցի (ეკელეცი /ეკეღეცი),

ჷყჟრჯკჷ კათოლიკე – ბერძნ. καθολική, ქართ. კათოლიკე, სომხ. կաթուղիկէ / կաթողիկէ (კათულიკე /კათუღიკე // კათოლიკე /კათოღიკე), საყოველთაო.

ყჟრყ აჯოჯა – ბერძნ. αλληλουία , ქართ. „ალელუჯა" / „ალილუია", ალელუია (ალწლუია),

ფონეტიკური ცვლილებებით ალბანურ ნიადაგზე.

ჯჯაქ პასექ – ებრ. paska, ბერძნ. πάσχα / φάσεχ ქართ. პასექ, სომხ. Պասէք (პასՁქ), აღდგომა[1].

ჰჯიეოჰ სალმოს – ბერძნ. ψαλμός, ქართ. ფსალმუნი, სომხ. Սալմոս (სალმოს / საღმოს), ფსალმუნი.

ქჯიჯყჯ ქაჰანა – არამეული kāhānā, სომხ. Քահանայ (ქაჰანაჯ), მღვდელი.

ჯრჯაჯყ ავაზან – ქართ. ავაზანი სომხ. աւազան (ავაზან), აბაზანა, „წყლის სადგური", საბანელი, ემბაზი[2].

ჯჯძრეჯყ თარგმან – სირ. targmānā, ქართ. თარგმანი, სომხ. թարգման (თარგმან) თარგმანი, კომენტარი.

ჯჯძნჯრაყ მარღავენ – სომხ. մարգարէ? (მარგარՁ), წინასწარმეტყველი[3].

ირჯძჯჯაჯ ვარტაპეტ – სომხ. վարդապետ (ვარდაპეტ), მოძღვარი.

ჰაჯყოჰ ჰეთანოს – ბერძნ."ἔθνός, სირ. hetnos / hetanos(?)[4], სომხ. հեթանոս (ჰეთანოს), წარმართი.

ჭოძნჯ კორბა – ებრ. korban, ბერძნ. κορβᾶν, ქართ. კორბან, სომხ. կորբան / կորպան (კორბან/ კორპან), ძღვენი, ნიჭი, შესაწირავი[5].

ჯჯეჯრძ ტალავარ ქართ. ტალავარი (კარავი), სომხ. փալաւար /փալաւար (ტალავარ / ტალღავარ).

საკუთარი სახელები

ეჰაოჰ ჲესუს – ბერძნ. Ἰησούς, ქართ. იესუ / ჲესუ, სომხ. Յիսուս (ჲისუს).

ⴕⴰⵍⴰⴽⵜⵓⵙ ქ(რისტო)ს – ბერძნ. Χριστός, ქართ. ქრისტე, სომხ. Քրիստոս (ქრისტოს).

ⵎⵓⵙⵉ მუსწს – ბერძნ. Μωυσῆς, ებრ. -სირ. Muše ქართ. მოსე, სომხ. Մովսէս (მოვსწს).

ⵉⵍⵢⴰⵙ ელიდა – ბერძნ. Ἠλιας, ებრ. Eliyah -სირ. Eliya, ქართ. ელია, სომხ. Ելիա (ელია).

ⴱⴰⵓⵍⵓⵙ პაულოს – ბერძნ. Παῦλος, ქართ. პავლე, სომხ.Պաւղոս (პაულოს / პაულოს).

ⵎⴰⵜⵜⴰⵢⵓⵙ მათეოს – ბერძნ. Ματθαῖος, ქართ. მათე, სომხ. Մատթէոս (მატთეოს).

ⵍⵓⴽⴰⵙ ლუკას – ბერძნ. Λουκᾶς, ქართ. ლუკა, სომხ. Լուկաս (ლუკას).

ⵉⴰⴽⵡⴱⵓⵙ დაკობ – ბერძნ. Ἰάκωβος, ქართ. იაკობ / დაკობ, სომხ. Յակոբ (დაკობ).

ⵜⵉⵜⵓⵙ ტიტოს – ბერძნ. Τίτος, ქართ. ტიტე, სომხ. Տիտոս (ტიტოს).

ⵜⵉⵎⵓⵜⵉⵓⵙ ტიმოთეოს– ბერძნ. Τιμόθεος, ქართ. ტიმოთე. სომხ. Տիմոթէոս (ტიმოთეოს).

ⵊⵓⵏⴰⵏ დოჰანან – ებრ. დოჰანან, ბერძნ. Ἰωάννης, ქართ. იოანე / დოანე, სომხ. Յոհաննէս (დოჰანნეს).

რიგითი სიტყვები

ⴽⴰⵍⴰⴽ ქალაქ – ასურ. Kalak, ქართ. ქალაქი, სომხ. քաղաք (ქალაქ /ქაღაქ).

ⵜⴰⵍⴰⵡⴰⵔ ტალავარ – ქართ. ტალავარ-ი, სომხ. փաղաւար (ტალავარ / ტაღავარ).

ⴰⴱⴰⵣⴰⴽ აბაზაკ – ქართ. ავაზაკ, სომხ. աւազակ (ავაზაკ)[6],

